დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის
21 - 27 ნოემბერი
N 48 1460
ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

## კუტუზოვისა და პოლიტიკური კუტების შესახებ, ანუ 10 20 21





## ნუ შევხედავთ ისტორიას ცალი თვალით! 15



## ავად არის, ახველებს... 11



## ევროკოლბინი 2

*გასულ კვირას ქართველებს ევროკომისარი გვსტუმრობდა. უფრო დაზუსტებით რომ ვთქვათ, ევროკომისარი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეი.*

***ჩამოვიდა, დაგვხედა, შეგვამოწმა, შეგვაფასა და მხარზე ხელი მოგვითათუნა — ყოჩაღი ბიჭები ხართ, ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულებას კარგად მიჰყვებითო! როგორც კომისრების წესია, ვარჰეიმ ცოტა ჭკუაც დაგვარიგა, ბოლოს წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ნამამულარში, კაი პურიც ჭამა და წავიდა.***

# ევროკოლბინი



ევროკომისარი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეი



გენადი კოლბინი – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი 1975-1983 წლებში

ღმერთმანი, არ ჩანს ცუდი კაცი ეს ევროკომისარი **ოლივერ ვარჰეი.** ცუდი კი არა, **კუბილიუსების, ფოტიგების, ფონ კრამონებისა და ქრისტეს ფეხის მკვნეტელი სხვა ევროპარლამენტარების ფონზე, ძალიანაც კარგი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს.** ყოველ შემთხვევაში, არამკითხე მოამბესავით არ მოქცეულა, დიპლომატიის ჩარჩოებს არ გასცდენია და მუქარიან თითის ქნევას არ მოჰყოლია, როგორც ამას ზემოხსენებული გვამები გვიკეთებენ ხოლმე.

ამიტომაც არის, რომ **ევროკომისარ ვარჰეის ევროკოლბინი** დავუძახეთ. როგორც ამბობენ, საქართველოს კომპარტიის ცეკას მეორე მდივანი **გენადი კოლბინი,** რომელიც ჩვენსას კრემლის თვალად და ყურად იჯდა, კეთილი კაცი იყო, საქართველო უყვარდა, ქართულსაც სწავლობდა და მთელი 8 წელი, 1975 წლიდან 1983 წლამდე, თბილისში ისე იცხოვრა და იმუშავა, ქართველების წინააღმდეგ ბოროტი და სისხლიანი საქმე არ უქნია. **ის კი არა, კომუნისტურმა პარტიამ 1978 წლის 14 აპრილს თბილისში ქართული ენის დასაცავად გამართული ხალხმრავალი აქცია რომ არ დაარბია და ეროვნული პროტესტი სისხლში არ ჩაახშო, ეს დიდწილად სწორედ კოლბინის დამსახურება იყო.** მოკლედ, **გენადი კოლბინი,** მიუხედავად იმისა, რომ კრემლს ქართველების ზედამხედველად ჰყავდა გამოგზავნილი, სხვანაირი კაცი იყო და არაფრით ჰგავდა თუნდაც იგივე **ბორის ნიკოლსკის** — საქართველოს კომპარტიის ცეკას მეორე მდივანს, რომელმაც თბილისში 1989 წლის 9 აპრილს ქართველების ხოცვა-ჟლეტას ხელი არ შეუშალა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **კოლბინმა** საკუთარი ქალიშვილის ცხედარი საქართველოს მიწას მიაბარა და ესეც ბევრ რამეს ამბობს.

**ცხადია, იმპერიის მიერ მოჩენილი ზედამხედველი, ცეკას მეორე მდივანი ერქმევა, ევროკომისარი თუ სხვა რამ, მაინც ზედამხედველია და იმის სახე-სიმბოლოს წარმოადგენს, რომ შენი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მთლად დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი არ არის, თუმცა, ბოროტ ზედამხედველსა თუ კომისარს კეთილი ზედამხედველი თუ კომისარი ნამდვილად სჯობს.**

ჰოდა, ეს **ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი,** ჩვენ რომ **ევროკოლბინი** დავარქვით, უბოროტო კაცი ჩანს, რითიც ნაცებისა და ნაცებთან გათანაბრებული პოლიტიკური სუბიექტების გაბოროტებას იწვევს. აი, მაგალითად, **ყოფილმა ნაცმა და ამჟამად ლელოელმა სალომე სამადაშვილმა** განაცხადა — **ოლივერ ვარჰეი უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ორბანის პარტიის წევრია, ორბანი კი ევროსკეპტიკოსი და პუტინის მოკავშირე ბრძანდება!** იქით **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ** თქვა — ევროკომისარი საქმეში ჩაუხედავი კაცია და „ოცნების სბროდს“ პროევროპული იმიჯის შენარჩუნებაში უწყობს ხელსო!





ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **რადიკალურმა ნაცოპოზიციამ ევროკოლბინი შეაჩვენა და ლამის პუტინის აგენტად შერაცხა.** ლამის კი არა, შერაცხა და ეგ არის. კი მაგრამ, რისი გულისათვის? მხოლოდ იმიტომ, რომ **ევროკოლბინმა** ნაცოპოზიციისათვის საამური და ხელსაყრელი განცხადებები არ გააკეთა! **არ თქვა, რომ** საქართველოს ხელისუფლება არაფერს აკეთებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად! **არ თქვა, რომ** საქართველოს მთავრობამ ზურგი აქცია დასავლეთს და სახით მიტრიალდა რუსეთისაკენ! **არ თქვა, რომ** ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქია და დეოლიგარქიზაციის კანონი პერსონალურად მის წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული, როგორც ამას **ფოტიგები** და **ჯუკნევიჩიანეები** აწვებიან! **ევროკოლბინმა არც ის თქვა,** რომ **მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია** პოლიტპატიმრები არიან! უფრო მეტიც, **ევროკოლბინმა სულ იმის საწინააღმდეგო რაღაცე-**

# უბოროტო ევროკომისარს ბოროტი ნაცები დაესივნენ!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ასეთი **დასუსტებული, დაქსაქსული, დეგრადირებული რადიკალური ოპოზიცია** მე არ მინახავს, ათი წელია ისევე, როგორც **„ქართული ოცნება“ ასეთი ერთიანი და ერთ მუშტად შეკრული,** რაც არის საწინდარი და საძირკველი ჩვენი ქვეყნის განვითარების. ერთადერთი ხსნა გაქვთ ოპოზიციის წარმომადგენლებო, რომ თავმჯდომარედ აირჩიოთ **„კლოუნი“ ხაზეიშვილი.**

ოპოზიცია მზად არის, ხელი მოაწეროს ქვეყნის პოლიგონად გადაქცევას, მაგრამ **დამთავრდა ის დრო, როცა უნდა შევასრულოთ საზიანო დირექტივები,** ყველას მოვუსმენთ, მაგრამ **გავაკეთებთ იმას, რაც ქვეყანას სჭირდება!**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



მე **ლევან ხაბეიშვილს** ვემხრობი — თუ მას აირჩევენ **ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ,** უფრო მეტს გავერთობით.

„ინტერპრესნიუსი“

**ოლივერ ვარჰეი**
*ევროკომისარი*



**ეკონომიკა ყვავის,** ქალაქში გავიარე და **ყველასთვის თვალსაჩინო პროგრესია საქართველოში.**

„რეზონანსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობას **უნდოდა რიგგარეშე არჩევნები** ქვეყანაში და მიიღო საკუთარ პარტიაში.

„იმედინიუსი“

**გია გზირიშვილი**



სიტყვის ხალხია ნაცები: **ითხოვდნენ ვადამდელ არჩევნებს** და კიდევაც ასრულებენ... **მალე ჩაატარებენ ვადამდელ არჩევნებს...** თავის პარტიაში!

„GTMEDIA“



ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს პარლამენტში. 2022 წლის 18 ნოემბერი

# ირაკლი ღარიბაშვილმა ევრო-ამერიკელ არამკითხეებს ქიში გამოუცხადა!

***ოცდაათწლიანი დამქანცველი ლოდინის შემდეგ საქართველოს პარლამენტში, როგორც იქნა, გაისმა ხმა, რომელსაც მთელი ერი რუდუნებითა და გულისფანცქალით ელოდა!***

ე.წ. ინტერპელაციის წესით, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გამოცხადებულმა **საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა,** რომელიც ამ ბოლო დროს პოლიტიკურად აშკარად ერთი ათად გაიზარდა, სხდომათა დარბაზში თავშეყრილი რამდენიმე უცხო ქვეყნის აგენტისა და მათი პატრონების გასაგონად სიტყვასიტყვით და ხმამაღლა ასეთი რამ თქვა: **„დამთავრდა ის დრო, როცა ჩვენ ვასრულებდით ჩვენი ქვეყნის საზიანო დირექტივებს! ჩვენ მოვუსმენთ ყველას, მაგრამ ვიმოქმედებთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად!"**

**აკაკი წერეთელი** რომ ცოცხალი ყოფილიყო და ის ენახა, რაც 2022 წლის 18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლის დროს მოხდა, აუცილებლად თავიდან დაწერდა ან ხმამაღლა შესძახებდა თავის უკვდავ სტრიქონებს — **„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, აღარ ვსტირი მე!"**

მართლაც სანიშანსვეტო მოვლენა მოხდა — **საქართველოს ხელისუფალმა ქვეყნის პირველი და ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ, ფაქტობრივად, პირველად განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყანა იცხოვრებს და ილვაწებს არა სხვისი, არამედ თავისი ეროვნული და სტრატეგიული ინტერესების კარნახით!**

ედუარდ შევარდნაძე, რომელიც სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საქართველოში რუსებმა და ამერიკელებმა ჩამოიყვანეს, იძულებული იყო, ხან — ამერიკელებისა და ხანაც რუსების დაკრულზე ეცეკვა! მაგალითად, აფხაზეთის ომის გაჩაღებაში ამერიკელიც დაინტერესებული იყო და რუსიც... ამერიკელს სურდა, რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიის რკინიგზა მოეგლიჯა, რაც აღსრულდა და სწორედ იმიტომაც ყმუის დღეს კრემლის ქონგურებზე გადმომდგარი **ანდრანიკ მიგრანიანი** ასე თავგამოდებით — **აიძულეთ ქართველები და საქართველო, აფხაზეთის რკინიგზა გახსნას, რადგან ეგ „ტვარები" რუსებსა და აფხაზებს კი არა, ყველაზე მეტად სომხებს ჩაგრავენო!** არადა, რუსს ეგონა, რომ აფხაზეთის სანაპიროს მიტაცებით დედამიწის სამოთხეს დაეპატრონებოდა, მაგრამ სოხუმის დაცემიდან 29 წლის შემდეგაც კი აფხაზეთი ღმერთისგან და კაცისგან მიტოვებულია.

## რუსებმა ვერ გათვალეს, რომ აფხაზეთში აპარტეიდის წახალისებითა და ქართველების დასჯით მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში სეპარატისტულ მოძრაობას და, რაც ყველაზე მთავარია, თურქეთის გავლენებს გააძლიერებდნენ.

ახლა რუსი უკრაინის ჭაობშია ჩაფლული, ხოლო თურქეთი თურქულენოვანი ხალხების სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს ქმნის და იმ დღეს ელის, როცა იალბუზის კენწეროზე მუსტაფა ქემალის დროშა აფრიალდება!

**სააკაშვილიც რუსებმა და ამერიკელებმა მოათრიეს და ამიტომაც ორივეს მონაა! 2008 წლის აგვისტოს ომით, რომელიც სწორედ ამერიკელებთან და რუსებთან შეთანხმებით გააჩაღა, ნაცფიურერმა მიშამ აფხაზეთი და სამაჩაბლო კრემლს გაუფორმა და საქართველოს სტრატეგიული ობიექტებიც ზედ მიაყოლა.** რაც შეეხებათ ამერიკელებს, გეი-პარადების გასამართად და იუვენალურ იუსტიციად წოდებული ფაშიზმის დასამყარებლად სააკაშვილმა მათ დანარჩენი საქართველო უფეშქაშა. ამიტომაა, რომ საქართველოში ამერიკული პოლიტიკის კუტურიეებად ხმობილი **კურტ უოკერების,** სენატორ **რიშების, კინზინგერების, ფოტიგების, კუბილიუსებისა და მარკეტების** მიერ ზურგგამაგრებული ქართველი აგენტები პარლამენტში, ქუჩაში, თვითმფრინავში, ევროპარლამენტსა თუ სააკაშვილის პოლიტიკურ ბორდელში ყველგან ერთსა და იმავეს გაიძახიან — **ეს ხელისუფლება უნდა დაემხოს!**

**შევარდნაძე,** რომელმაც ქართველების გვამებზე გადმოაბიჯა და 1992 წლის 7 მარტს თბილისში ხელისუფლება ჩაიბარა, 1992 წლის 26 მაისს რესპუბლიკის მოედანზე ამერიკის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა **ჯეიმს ბეიკერმა** აკურთხა!

**სააკაშვილი** 2003 წლის ნოემბერში რუსეთის საგარეო საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა **იგორ ივანოვმა** აკურთხა, რომელიც ნაცების მიტინგზე გამოვიდა და ხალხს ქართულად მიესალმა — **„გამარჯობა!"**

რაც შეეხება დღევანდელ ხელისუფლებას, **ის 2012 წლის 1 ოქტომბერს მხოლოდ ქართველმა ხალხმა აკურთხა, რასაც ვერც ამერიკელები ინელებენ და ვერც — რუსები. ამიტომაა, რომ ირაკლი ღარიბაშვილსა და მის მთავრობას ყოველი მხრიდან უჩხიკინებენ.**

მიხარია და ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს ამ ახალგაზრდა, ნიჭიერი და სუფთა კაცის სახით პატრონი და ჭირისუფალი გამოუჩნდა, რომელმაც ღალატიც ნახა, შეურაცხყოფაც და უსამართლობაც, მაგრამ, როგორც კონფუცი იტყოდა, სიკეთის გარდა ყოველივე დაივიწყა!

**დარწმუნებული ვარ, ირაკლი ღარიბაშვილმა იცის, რომ იმ განცხადების გორგალი, რომელიც მან საქართველოს პარლამენტში გააკეთა, ხშირად წიწამურისკენ და ძველი ხიბულისკენ მიგორავს, მაგრამ ახალგაზრდა პრემიერი უცხო ქვეყნის აგენტურას არ შეეპუა და სათქმელი მაინც თქვა!**

ბოლოს და ბოლოს, ეს ვიღაცას უნდა ეთქვა!

**ვიღაცას ისიც უნდა ეთქვა, რომ საქართველოსთვის ევროკავშირი და ნატო კი არა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა მთავარი!**

კარგია, რომ ევროპელ და ამერიკელ არამკითხეებს ეს სწორედ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უთხრა!

**ეჭვი არ მეპარება, რომ ირაკლი ღარიბაშვილი თავის სიტყვას კიდევ იტყვის!**

## დღევანდელი ხელისუფლება 2012 წლის 1 ოქტომბერს მხოლოდ ქართველმა ხალხმა აკურთხა, რასაც ვერც ამერიკელები ინელებენ და ვერც – რუსები!

*დიტო ჩუბინიძე*



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის წინანდალში – ჭავჭავაძეების ძველ მამულში უმასპინძლა

## ევროკოლბინის საქართველოში სტუმრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა – ვინც საქართველოს მეგობარია, ის ნაცების მტერია და ვინც ნაცების მეგობარია, ის არის საქართველოს მტერი!

**ბი ილაპარაკა,** რასაც ნაცრადიკალები და მათი აპეკუნი **ფონ კრამონები** ღაღადებენ — ვხედავ, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ქვეყანამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა მიიღოსო! ქალაქის ქუჩებში გავიარე და დავინახე, რომ, შარშანდელთან შედარებით, ეკონომიკა ყვავისო!

ქართული ეკონომიკის აყვავებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად აშკარაა — **ევროკომისარმა ევროპის გაფართოების საკითხებში ნაცრადიკალები თვალებგაფართოებული და ყბაჩამოგდებული დატოვა!**

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ევროკომისარი** ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში **ოლივერ ვარჰეი** თავისი თანამდებობით, გავლენითა და პოლიტიკური წონით ერთად აღებულ მთელ **კუბილიუს-ფოტიგა-ფონ კრამონ-ჯუკნევიჩიანეებს** აღემატება და მის სიტყვას გაცილებით მეტი ფასი აქვს, ვიდრე ნაცსექტის მოკავშირე ევროპარლამენტართა ენის სისინს.

ამიტომაც ამოხტნენ ტანსაცმლიდან ნაცრადიკალები, როცა თბილისში ჩამოსულმა **ევროკოლბინმა** მათ წისქვილზე არ დაასხა წყალი!

**ნაცსექტის კოლბიდან** ბოლმის შადრევანმა **ევროკოლბინის** დიპლომატიური და საქართველოსადმი კეთილგანწყობილი განცხადებების გამო ამოხეთქა!

**ევროკოლბინის საქართველოში სტუმრობამ და მასზე ნაცრადიკალების თავდასხმამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ, ვინც საქართველოსადმი კეთილად არის განწყობილი, იმას ვაშაძე-სამადაშვილები, ჯაფარიძე-დეკანოიძეები და ხოშტარია-გოცირიძეები მტრად მიიჩნევენ, ხოლო, ვინც საქართველოს ნამდვილი მტერია, სწორედ ის არის დეკანოიძე-ვაშაძეთა, სამადაშვილ-ხოშტარიათა და ჯაფარიძე-გოცირიძეთა ნამდვილი მეგობარი!**

**ევროკოლბინის** თბილისში სტუმრობამ კიდევ ერთი რამ დაგვანახა — ევროპული ინსტიტუტები ჯერ კიდევ არ დარჩენილან მხოლოდ **კუბილიუს-ფოტიგების** ამარა და **ოლივერ ვარჰეის** მსგავსი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებიც მოიძებნებიან!

მართალია, კეთილი **ევროკოლბინები** უმცირესობაში არიან, მაგრამ ყოველთვის არსებობს იმედი, რომ მცირე სიკეთეს დიდი ბოროტების დამარცხება შეუძლია, როგორც შურდულიანმა დავითმა დასცა მძვინვარე გოლიათი.

## საბჭოთა კავშირი დიდი ხანია, აღარ არსებობს, მაგრამ ქართველთა მეხსიერებაში შემორჩენილია კეთილი კაცის – ცეკას მეორე მდივნის გენადი კოლბინის სახელი! შესაძლოა, ხვალ-ზეგ აღარც ევროკავშირმა იარსებოს, მაგრამ ქართველთა მეხსიერებას კეთილი ევროკოლბინის – ოლივერ ვარჰეის სახელი შემორჩეს!

**სხვა თუ არაფერი, ევროკომისარმა ვარჰეიმ ნაცსექტას „ვარჰეი ვარლალალოს" მაგივრად „თავო ჩემო" ამღერა!**

*ჯაბა ხუბუა*

### კვირგვინოსნები



**მამუკა მდინარაძე**

*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*

სააკაშვილის **მძიმე დიაგნოზი** „ფეიკია". **ნაციონალურ მოძრაობას ქვეყნის დანგრევა უნდოდა და ანგრევენ საკუთარ გუნდს,** თავად როგორც ფუთავენ, რომ პარტიის გადახალისებაა, გადახალისება კი არ არის, **ერთმანეთის დაჭმა მიდის.**

„ახალი თაობა"



**ანდრო ბარნოვი**

*მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი*

სიმართლეს თვალი გავუსწოროთ: **ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საბოლოოდ მოკვდა და ვერანაირი არჩევნები ვერ გააცოცხლებს!** „ვითომ სიცოცხლეს" სიკვდილი ჯობდა, გვირგვინს მაინც დავდებთ. თან გვეცოდინება, რომ მზისქვეშეთში ადგილი განთავისუფლდა. **უფრო სავალალო ისაა, რომ მკვდარი ენმ-ს ადგილზე ახალიც ვერაფერი ამოვა. შეიძლებოდა, ამოსულიყო, თუმცა, ეს პირადად მიშამ არ დაუშვა. მან ვერ აღიქვა პარტიის დიდი ხნის წინ გარდაცვალების ფაქტი. ვერ, ან — არ. საბოლოოდ, საკუთარი პოლიტიკური კაპიტალიც მკვდარს გაანიავებინა და ვერ აღიქვა ეს მანამ, სანამ თავად ფიზიკურად არ დადგა დღევანდელი სავალალო რეალობის წინაშე.**

„ფეისბუქი"



**სალომე ზურაბიშვილი**

*საქართველოს პრეზიდენტი*

განსხვავება არის ჩემსა და მთავრობას შორის, რომელიც მიიჩნევს, რომ **ფრთხილი რიტორიკაა საჭირო,** რათა არ მოვიზიდოთ რუსეთის დამატებითი რისხვა, **მე არ ვიზიარებ ამ სიფრთხილეს!**

„პირველი არხი"

# ეს პოლიტიკური ნეკროფილიაა!!!

***ამერიკის შეერთებულ შტატებში კონგრესმენად მიცვალებული აირჩიეს. ეს მოხდა 2022 წლის 8 ნოემბერს პენსილვანიის შტატში, სადაც დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა, 85 წლის ტონი დელუკამ ამომრჩეველთა ხმების 85 პროცენტი მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე — 2022 წლის 9 ოქტომბერს გარდაიცვალა.***



ტონი დელუკა, რომელიც კონგრესის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე 85 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ არჩევნებში ხმების 85 პროცენტი მიიღო და გაიმარჯვა!

## პენსილვანიის შტატში კონგრესმენად მკვდარი აირჩიეს!

ბევრჯერ გაგვიგია და აღარ გვიკვირს, რომ არჩევნებში **მიცვალებულები** მონაწილეობენ, ოღონდ — ამომრჩევლის სტატუსით! მაგალითად, **შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირს"** ათასობით **მკვდარი ამომრჩეველი** ჰყავდა, რომელთა საარჩევნო სიაში ყოფნასაც და საარჩევნო უბანზე გამოცხადებასაც წარმატებით უზრუნველყოფდნენ არჩევნების გაყალბების ისეთი გროსმაისტერები, როგორებიც **ხათუნა გოგორიშვილი და მიხეილ მაჭავარიანი** ბრძანდებიან. **მიცვალებულ ამომრჩევლებს** არჩევნებზე სიარული და მმართველი პარტიისათვის ხმის მიცემა არც მას შემდეგ შეუწყვეტიათ, რაც შევარდნაძემ ძალაუფლება სააკაშვილს გადააბარა, ხოლო **გოგორიშვილმა და მაჭავარიანმა** „მოქკავშირიდან" ნაცმოძრაობაში გადაინაცვლეს.

დღეს, ციფრული ტექნოლოგიების ერაში, როცა საქართველოში ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია ბიომეტრიული ფოტოს საშუალებით ხდება, **საარჩევნო სიაში მიცვალებულთა ყოფნა და, მითუმეტეს, საარჩევნო უბნებზე მათი გამოცხადება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, თუმცა, გამონაკლისი ფაქტები აქ-იქ მაინც იჩენს თავს.**

მოკლედ, ქართველებს **მკვდარი ამომრჩეველი** არ გვაოცებს!

ის კი არა, ქართველ ამომრჩეველს ვერც **პოლიტიკურად მიცვალებული** კანდიდატებით გააკვირვებს ვინმე, რადგან ასეთები ჩვენთან ყოველ საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივ არჩევნებში იყრიან კენჭს, მაგრამ არჩევნებში **პირდაპირი მნიშვნელობით მკვდარ კანდიდატს** მიეღოს მონაწილეობა და მეტიც, არჩევნებში **პირდაპირი მნიშვნელობით მკვდარ კანდიდატს** გაემარჯვოს, ასეთი შემთხვევა საქართველოში არ გვქონია.

სამაგიეროდ, მსოფლიო დემოკრატიის მექაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში **მკვდრები კონგრესმენებად იყრიან კენჭს და იმარჯვებენ კიდეც!**

დემოკრატი კანდიდატი პენსილვანიის შტატიდან **ტონი დელუკა** გასულ წლებშიც კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი გახლდათ, მაგრამ თავის სიცოცხლეში ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ ისტორიაში შესულიყო, ამიერიდან კი არამხოლოდ შეერთებული შტატების, არამედ მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში დარჩება, როგორც **კანდიდატი, რომელმაც სიკვდილის შემდეგ არჩევნებში გაიმარჯვა!**

ხედავთ, რა ხდება? ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ ამერიკული დემოკრატია ისეთ სიმაღლეებზე აიყვანა, რომ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე **გარდაცვლილი კანდიდატები** არჩევნებში ხმების 85 პროცენტს იღებენ და ლიწინ-ლიწინით იმარჯვებენ!

ისე, კონგრესის არჩევნებში ოდესმე **მიცვალებულს** თუ უნდა გაემარჯვა, ეს სწორედ ახლა უნდა მომხდარიყო, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს პრეზიდენტად **ცოცხალი მიცვალებული ჯო ბაიდენი** უზის, რომელიც ხან გაჩერებული ველოსიპედიდანვარდება, ხან თეთრი სახლის ბაღში იკარგება და ხანაც რომელიმე საერთაშორისო ღონისძიების მასპინძელ შენობაში ერევა გზა-კვალი.

მაგალითად, **ამა წლის 25 ოქტომბერს ბაიდენმა თეთრი სახლის ბაღში ხეების დარგვის ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა, რის შემდეგაც საკუთარი რეზიდენციის ტერიტორიაზე გზის გაგნება გაუჭირდა და დახმარებისათვის თანმხლებ პირებს მიმართა. „საით მივდივართ?" — იკითხა ბაღში მოლასლასე პრეზიდენტმა, რომელსაც ადმინისტრაციის თანამშრომლებმა სიტყვიერადაც აუხსნეს და თითითაც მიანიშნეს, თუ როგორ უნდა დაბრუნებულიყო თეთრ სახლში.**

2022 წლის 15 ნოემბერს **ინდონეზიის კუნძულ ბალიზე,** სადაც „დიდი ოცეულის" სამიტი გაიმართა, ბაიდენს შენობის შესასვლელში საგანგებოდ დაახვედრეს **ადამიანი-კომპასი,** რომელიც მას სხდომათა დარბაზისაკენ მიუძღვებოდა და



ამა წლის 25 ოქტომბერს ბაიდენს საკუთარი რეზიდენციის ტერიტორიაზე გზის გაგნება გაუჭირდა და დახმარებისათვის თანმხლებ პირებს მიმართა. „საით მივდივართ?" — იკითხა ბაღში მოლასლასე პრეზიდენტმა, რომელსაც ადმინისტრაციის თანამშრომლებმა სიტყვიერადაც აუხსნეს და თითითაც მიანიშნეს, თუ როგორ უნდა დაბრუნებულიყო თეთრ სახლში.

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ევროპული საქართველოს" წარმომადგენელი, „ტაბულას" მფლობელი*



თუ გაინტერესებთ, როგორი იქნება ხელისუფლებაში **ენმ-კეზერაშვილ-ვანოს ალიანსი** და მათ ქვეშ დაჯგუფებული ჯუჯალარი პარტიები, შეხედეთ **„მთავარის" და „ფორმულას"** სარედაქციო პოლიტიკას. **შემთხვევით არ შეცდეთ და არ იფიქროთ, რომ მათ წარსული გაიაზრეს.** ისინი მოიპარავენ თქვენს იდეებს, დაბლოკავენ განსხვავებულ აზრს, დაბლოკავენ იმათ, ვინც მათდამი კრიტიკულია, დააზიანებენ საჯარო ინტერესს და **არად ჩააგდებენ ამომრჩეველს.**

„იმედინიუსი"

**გიორგი ჩალაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**რომან გოცირიძეს** შეუძლია, აკეთოს რაც უნდა, მისით არ ვინტერესდები, ადამიანის სიტყვას უნდა ჰქონდეს წონა და ძალიან ცუდია, თუ ამას **კუპონის წონა** ექნება.

„პირველი არხი"

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



შემოვდივარ წინადადებით, **ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობისთვის დაწესდეს კრიტერიუმები,** ჰქონდეს პოლიტიკური საქმიანობის სტაჟი, არ ატარებდეს წვერ-ულვაშს.

„პირველი არხი"

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს" წევრი*



**ნაციონალური მოძრაობაა** ქვეყნის გადარჩენის საუკეთესო საშუალება? მგონია, რომ **„ლელოა"!** ნაციონალური მოძრაობის გარეშე დაიქცევა ქვეყანა? არა მგონია.

„პირველი არხი"

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



**ოლიგარქი კეზერაშვილი** შესაძლოა, **გერმანელი და სხვა ევროპელი პენსიონერების გაძარცვით ნაშოვნი მილიონებით** აფინანსებდეს ნაცმოძრაობას და პროპაგანდისტულ მედიას.

„აიპრესი"

# რამდენიმე მწარე სიტყვა ცოცხალი და მკვდარი მიცვალებულების შესახებ

გზადაგზა ხელის გაშვერით ანიშნებდა, თუ საით უნდა წასულიყო. **მას შემდეგ, რაც ამერიკის პრეზიდენტი თეთრი სახლის ბაღში დაიკარგა, როგორც ჩანს, „დიდი ოცეულის“ სამიტის ორგანიზატორებმა თადარიგის დაჭერა გადაწყვიტეს და სწორადაც მოიქცნენ, თორემ კუნძულ ბალიზე ჩასული დეზორიენტირებული ბაიდენი სხდომის დარბაზის მაგივრად ქალების საპირფარეშოში ან სულაც საევაკუაციო კიბის უჯრედში რომ აღმოჩენილიყო, ამერიკას მთლად 9-ბალიანი სირცხვილი დაატყდებოდა თავს.**

ძალიანაც არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამერიკელი ამომრჩევლის ერთი ნაწილი **პოლიტიკური ნეკროფილიით** არის შეპყრობილი, რაზეც პრეზიდენტად **ცოცხალი მიცვალებულის — ჯო ბაიდენის,** ხოლო კონგრესმენად **მკვდარი მიცვალებულის — ტონი დელუკას** არჩევა მეტყველებს!

არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გარდაცვლილი ტონი დელუკას კონგრესმენად არჩევას ამერიკის ოფიციოზი ასე ხსნის: **შტატების კანონმდებლობით, კანდიდატის დაყენება მხოლოდ მანამდე შეიძლება, სანამ საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდება; რადგან საარჩევნო ბიულეტენები 2022 წლის 28 სექტემბერს დაიბეჭდა, ხოლო დელუკა 9 ოქტომბერს გარდაიცვალა, მისი სხვა კანდიდატით ჩანაცვლება ველარ მოხერხდა.**

კი ბატონო, მაგრამ საინტერესოა — პენსილვანიის შტატის ამომრჩეველთა 85 პროცენტმა, რომელმაც **მკვდარ კანდიდატს** მისცა ხმა, არ იცოდა, რომ 85 წლის დელუკა არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მოკვდა? **თუ არ იცოდა, გამოდის, რომ პენსილვანიის ამომრჩეველთა 85 პროცენტი, უბრალოდ, სიბნელეში ცხოვრობს და არაინფორმირებულ არჩევანს აკეთებს, რაც ნაკლებად სავარაუდოა, ხოლო, თუ იცოდა და მაინც გარდაცვლილ კანდიდატს მისცა ხმა, ეს ადასტურებს, რომ პოლიტიკურ ნეკროფილიასთან გვაქვს საქმე.**

**პოლიტიკური ნეკროფილიის** დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ამერიკის დემოკრატიული პარტიის მიერ სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ განთავსებული ოფიციალური განცხადებაც: **„უზომოდ დამწუხრებულნი ვართ წარმომადგენელი ტონი დელუკას გარდაცვალებით. ამასთან, სიამაყით შევნიშნავთ, რომ ამომრჩევლები აგრძელებენ მის და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ ნდობის გამოხატვას მისი გარდაცვალების შემდეგაც კი მისთვის ხმის მიცემითა და ხელახლა არჩევით“.**

## გესმით? ამერიკელი დემოკრატები ამაყობენ იმით, რომ ამომრჩევლის 85 პროცენტმა კონგრესმენად მკვდარი აირჩია!

**რომელიმე ქვეყნის, მაგალითად, საქართველოს ამომრჩეველთა სიაში მიცვალებულები რომ აღმოაჩინონ, ამერიკა ამას უმალ მონათლავს დემოკრატიის უკუსვლად, მაგრამ თვითონ ამერიკაში მიცვალებულს კონგრესმენად რომ ირჩევენ, ეს, თურმე, დემოკრატიის ზეიმი ყოფილა!**

ეს დემოკრატიის ზეიმი კი არა, **პოლიტიკური ნეკროფილიაა,** პატივცემულო გრინგოებო!

ამიტომაც, **რომელიმე კონგრესმენი კინზინგერი ან რომელიმე სენატორი შაჰინი** ქართული დემოკრატიის უკუსვლაზე ენას რომ აასარსალებს და ჭკუის დარიგებას დაგვიწყებს, მაშინვე უნდა მივახალოთ — **მკვდრის კონგრესმენად ამრჩევო პოლიტიკურო ნეკროფილებო, საკუთარ მამიდებს მიხედეთ!**

***ჯაბა ხუბუა***

*თემის გაგრძელება მე-6 გვერდზე*



კონგრესმენი ადამ კინზინგერი

რომელიმე კონგრესმენი კინზინგერი ან რომელიმე სენატორი შაჰინი ქართული დემოკრატიის უკუსვლაზე ენას რომ აასარსალებს და ჭკუის დარიგებას დაგვიწყებს, მაშინვე უნდა მივახალოთ: მკვდრის კონგრესმენად ამრჩევო პოლიტიკურო ნეკროფილებო, საკუთარ მამიდებს მიხედეთ!



სენატორი ჯინ შაჰინი

**კონგრესის არჩევნებში ოდესმე მიცვალებულს თუ უნდა გაემარჯვა, ეს სწორედ ახლა უნდა მომხდარიყო, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს პრეზიდენტად ცოცხალი მიცვალებული უზის!**







2022 წლის 15 ნოემბერს ინდონეზიის კუნძულ ბალიზე, სადაც „დიდი ოცეულის“ სამიტი გაიმართა, ბაიდენს შენობის შესასვლელში საგანგებოდ დაახვედრეს ადამიანი-კომპასი, რომელიც მას სხდომათა დარბაზისაკენ მიუძღვებოდა და გზადაგზა ხელის გაშვერით ანიშნებდა, თუ საით უნდა წასულიყო.

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ზაქარეიშვილი**
*იურისტი*



დროულად გადააბრძანეთ **მიხო კუზანოვის კურორტიდან** რუსთავის ციხეში!

იცით თუ არა, რომ სააკაშვილის დროს ციხეებში პატიმრების წამება სამედიცინო ექსპერიმენტის ნაწილს წარმოადგენდა. **ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, ნაცებისდროინდელი პენიტენციური სისტემა წარმოადგენდა „გუანტანამოს“, „აბუგრეიბისა“ და აშშ-ის საწამებელი ექსპერიმენტული ციხეების კვლევითი ქსელის ნაწილს, რა დროსაც შეისწავლებოდა შიშისა და ტკივილის შედეგად ადამიანის ორგანიზმში გამოყოფილი ადრენოხრომისა და სხვა ნივთიერების მოქმედების მექანიზმი.** ბიოქიმიურ და პათანატომიურ კვლევებს უძღვებოდა **ლუგარის ლაბორატორია** პენიტენციური სისტემის სარეჟიმო და სამედიცინო სპეცკონტინგენტის დახმარებით.

„ფეისბუქი“

**ბიძინა გიორგობიანი**
*უზენაესი საბჭოს დეპუტატი*



მელიას წინააღმდეგ ნაცების აჯანყებაზე ვხუმრობთ, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბოლო დროის საინფორმაციო ომების მთავარი მიზანი ნაცების **„მთავარ ოპოზიციურ პარტიად“** მონოპოლიზება და საბოლოო ჩაბეტონებაა.

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილის** ოჯახსა და მის გულშემატკივრებზე მეტად ხელისუფლება არის დაინტერესებული, რომ **ლეტალური შედეგი** არ დადგეს.

„რეზონანსი“

**გია ხუხაშვილი**
*ყოფილი მაღალჩინოსანი*



შეიძლება, **მელიას** მუშაობით არ იყო კმაყოფილი, მაგრამ **„იმ ჭაში არ უნდა ჩააფურთხო, საიდანაც წყალს სვამ“!**

„ალია“

*თემის დასაწყისი მე–4 გვერდზე*

*„არჩევნები ხშირად ორ ბოროტებას შორის არჩევანის წინაშე გვაყენებს, ამიტომ პატრიოტი ადამიანები ცხოვრების წესს არ ცვლიან და ისევ საკუთარი ქვეყნის სამსახურს განაგრძობენ“, —* ***ამბობს ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი და ამერიკაში ჩატარებულ არჩევნებსა და საქართველოში მიმდინარე პროცესებს აფასებს:***



შვილი და მამა – ჰანტერ და ჯო ბაიდენები

# *ჯეფრი სილვერმანი:*

## არჩევნების მერე უფრო მეტი ადამიანი გამოიქცევა ამერიკიდან და საქართველოში ჩამოვა საცხოვრებლად!



**„პირადად მე ამერიკის არჩევნებში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან თაღლითებზე დროის დაკარგვა არ მინდოდა!“**

— ამერიკის შუალედურ არჩევნებს და კონგრესის შემადგენლობის ცვლილებას ამერიკის შიდა პოლიტიკისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამერიკის გარეთ, თუმცა, მაინც **კარგია, ჯო ბაიდენი და მისი პარტია — დემოკრატები მოწინავე პოზიციებს რომ კარგავენ.** ნამდვილი ბრძოლა ახლა იწყება, ზოგ შტატში მეორე ტური უნდა ჩატარდეს. კარგი იქნება, პოლიტიკოსები საკუთარ დაწინაურებასა და მოგებაზე კი არა, ქვეყნის დაწინაურებაზე რომ ფიქრობდნენ. მაგრამ როგორც აქ, ისე ამერიკაშიც თავიანთი პოლიტიკური ნაბიჭვრები ჰყავთ და მათ ქვეყნის ბედი არ ადარდებთ.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ამერიკაში არჩევნების ბედს ფული წყვეტს და არა ხალხი. ახლაც დიდი უპირატესობა არც რესპუბლიკელებს ექნებათ, არც — დემოკრატებს, რადგან დიდი ხანია, იქ ორივე მხარე ნაყიდი ჰყავთ ფულიან ძიებსა და ელიტურ წრეებს, რომლებიც არჩევნებს ყიდიან და ყიდულობენ, წერენ კანონებს, მანიპულირებენ უგუნური და არაინფორმირებული ამომრჩევლით. **წარმომადგენლობით პალატაში რესპუბლიკელებს მცირე უპირატესობა კი მისცეს, ხოლო დემოკრატებს — სენატში, მაგრამ არჩევნები ჯერ არ დამთავრებულა, კიდევ იქნება ტირილი და პრეტენზიები გაყალბებაზე, თან ხომ ხედავთ, ორ შტატში გარდაცვლილებსაც გაამარჯვებინეს.**

**— ამ შემთხვევაზე ზოგს ეცინებოდა კიდეც...**

— მაგრამ სასაცილო არაფერია —

**სრულიად მოსალოდნელი იყო მკვდრების არჩევა, რადგან ჯერ კიდევ შარშან პრეზიდენტად „მკვდარი“ ჯო ბაიდენი დასვეს.**




პირადად მე ამერიკის არჩევნებში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან თაღლითებზე დროის დაკარგვა არ მინდოდა.

**— რას მიიღებს მსოფლიო რესპუბლიკელების გამარჯვებით?**

— ვინაიდან დემოკრატიული პარტია ომების წამოწყების მომხრეა და ახლაც მხარს უჭერს უკრაინაში ნაცისტების ფინანსურ დახმარებას და იარაღის მიწოდებას, ხალხი ცოტა ამოისუნთქებს, ვინაიდან რესპუბლიკელები თავშეკავებულები არიან და ყურადღებას ამახვილებენ ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე, საგადასახადო სისტემაზე, ცდილობენ, მოსახლეობას ნაკლები გადასახადები დაეკისროთ. მათ უნდათ, რომ პრეზიდენტის პოსტზე **ტრამპი** დაბრუნდეს...

**— 15 ნოემბერს ტრამპმა განცხადება გააკეთა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ...**

— მდიდარი და ძალიან ძლიერი ჯგუფები ფიქრობენ, ტრამპი თუ აირჩიეს, მედიის ზოგიერთ წარმომადგენელსა და კორუმპირებულ პოლიტიკოსებს, მათ შორის, ჯო ბაიდენის შვილს **ჰანტერ ბაიდენს,** რომელიც უკრაინასა და ჩინეთში უკანონო გარიგებებს დებდა, პატიმრობა დაემუქრება. არადა, დამნაშავეა არამარტო ბაიდენის შვილი, არამედ პრეზიდენტი მამაც — ეს ორი ნაგავი, რომელთა დირიჟორობით მიმდინარეობს ომი უკრაინაში. რა სიახლეებსაც ახლა ვეცნობი, შემიძლია ვთქვა — **ამ პერიოდისთვის მამა-შვილმა ბაიდენებმა პუტინთან გარიგება დადეს და უკრაინას ორად გაყოფენ.**

**— დონალდ ტრამპის საწინააღმდეგო რა აქვთ?**

**– ტრამპი რომ აერჩიათ, უკრაინაში ეს სიგიჟე არ იქნებოდა. მან დაასრულა ომი ავღანეთში, სძულს მსოფლიო ბანკი, გაერო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ყველა მსგავსი ინსტანცია.**

ტრამპი, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა, გამოიძიებს უკრაინაში მიმდინარე ომის მიზეზებს, ამხელს კორუმპირებული ბაიდენის ოჯახს, გამოიკვლევს კოვიდ-19-ის რეალური წარმოშობის მიზეზს და იმუშავებს სხვა მნიშვნელოვან საქმეებზე.

**— რა გავლენა ექნება ამერიკის არჩევნებს საქართველოზე?**

— უფრო მეტი ადამიანი გამოიქცევა ამერიკიდან და საქართველოში ჩამოვა საცხოვრებლად, რადგან აქ ჯერ კიდევ არის თავისუფლება და ცხოვრება ბევრად უფრო უსაფრთხოა! ამერიკასა და საქართველოს შორის თანამშრომლობა კიდევ გაგრძელდება, ზოგიერთი დაბალი დონის დიპლომატი ისევ უხეშად ჩაერევა საქართველოს საშინაო საქმეებში. როცა ასეთი შემთხვევების მოწმე ვხდები,

**მე, როგორც ამერიკელი ქართველი, ვბრაზდები მათზე, ვინც ცდილობს ქართველებს შორის კონფლიქტის აგორებას, მართლმადიდებლური ეკლესიის დაკნინებას.**

**— სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას როგორ შეაფასებთ?**

— მართალია, ამერიკელებს არ უყვართ დამარცხებულები და ნარკომანები, მაგრამ, ვინც სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვს, მათ მოქმედებას ვაფასებ, როგორც ქართულ პოლიტიკაში ძალისმიერ ჩარევას. სააკაშვილი დამნაშავეა და სასჯელი უნდა მოიხადოს, ხოლო, თუ ნაცმოძრაობაზე მიდგება საქმე, მოჰკიდონ ხელი და უკრაინაში ნეონაცისტებთან ჩაიყვანონ. იქ კი, თავიანთი ბელადის მსგავსად, გინდა, ხელი გაუხმეთ და გინდა, თავი!

## „კარგია, ჯო ბაიდენი და მისი პარტია – დემოკრატები მოწინავე პოზიციებს რომ კარგავენ!“

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**გიორგი არველაძე**
*მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსანი*



საქართველოს მოსახლეობის **დაახლოებით 25-30% სტაბილურად შედგება გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი მოღალატეებისგან!**

„GTMEDIA“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**კობახიძე** პუტინის აგენტია, **ფილიპე მახარაძისგან** არაფრით განსხვავდება! ვურჩევ, სანამ დრო აქვს, **ტულაში შეიძინოს ერთი პატარა ბინა,** სადაც ნავსაყუდელს მოიწყობს. მე რომ ვიყო ახლა ხელისუფლებაში, **2 თვეში მოვიტანდი ევროკავშირის სტატუსს.**

„ჯორჯიან თაიმსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



თუ ვინმე დაზარალდა **სააკაშვილის** რეჟიმის დროს, მეც ვიყავი. მე მასზე დღესაც გაბრაზებული ვარ **და ბევრ რამეს ვერ ვაპატიებ,** მაგრამ დღევანდელი მოცემულობით **მისი ციხეში ჯდომა სადიზმად მიმაჩნია!**

„კვირის პალიტრა“

**მაყვალა გონაშვილი**
*პოლიტიკური ხედვის ცენტრის ხელმძღვანელი*



არ შეიძლება, უკრაინას **მოლაპარაკებები აიძულონ ან სამშვიდობო შეთანხმება მის ზურგს უკან გააფორმონ,** როგორც 2008 წელს საქართველოსთან დაკავშირებით მოხდა.

„პირველი არხი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



რაც არ უნდა მოგვიწოდონ ჩვენმა უკრაინელმა კოლეგებმა, უშიშროების ხელმძღვანელებმა, **საქართველო ომში არ ჩაერთვება!**

„TV იმედი“

# ელიზბარ ჯაველიძე:

# მივმართავ იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს –

## ზნედაცემულმა ნუნუ გინტურმა, რომელმაც ჩამორთმეული ნოტარიუსობა აღიდგინა, ჩემს უახლოეს მეგობარს თამაზ გელაშვილს უსირცხვილოდ განუცხადა: ფულს რომ დავინახავ, ორგაზმი მეწყებაო!

*აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე წყეული ადეიშვილის ნოტარიუსის ნუნუ გინტურის შესახებ მორიგ სკანდალურ ფაქტებს ასაჯაროებს და აცხადებს, რომ ნაცმოძრაობაში რაც ფული გაკეთდა და რა ქონებებიც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ მიიტაცეს, სუყველაფერი ნოტარიუსმა გინტურმა გააფორმა:*







— ქართველი ერის მთავარი პრეტენზია დღევანდელი ხელისუფლების მიმართ მაინც ის არის, რომ

**ქვეყანაში სამართლიანობა არ აღდგა და ხალხის მწამებლები, გამაუპატიურებლები და გამტყავებლები არ დაისაჯნენ!**

ქვეყნიდან გაქცეულ არაკაცებსა და ცივსისხლიან მკვლელებზე რომ არაფერი ვთქვათ, ხელისუფლებამ ორი უსირცხვილო ქალი **სალომე სამადაშვილი** და ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი **ნუნუ გინტურიც** კი ვერ მოთოკა! ერთიც და მეორეც თავისი არსით მწამებელი, მწვალებელი და სააკაშვილის რეჟიმის მსახურია, მაგრამ სამართალი დღემდე ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ მიეწია. **ვითომ დიპლომატი სამადაშვილი, რომელიც შემწვარ გოჭს ჰგავს და სააკაშვილის რეჟიმს უცხოეთში ამართლებდა, დღეს ათას სისულელეს როშავს და თვალებს ისე აბრიალებს, სექსუალურად აშკარად დაუკმაყოფილებელია.** ეს არაქალი, რომელიც თავს გარეთ ვერ უნდა ყოფდეს, ისევ ქვეყნის ასარევად ემზადება და გადატრიალებას ლამის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გეგმავს, მაგრამ კაციშვილი პასუხს არ სთხოვს! **შევარდნაძემ იმისთვის დამიჭირა, რომ გაყალბებული არჩევნების შემდეგ განვაცხადე — ჩვენს ხმებს კანონიერი გზებით დავიცავთ-მეთქი! ესენი პირდაპირ სისხლისღვრისკენ მოუწოდებენ და ამის მიუხედავად თავს არხეინად გრძნობენ!** სამადაშვილი ასე იმიტომ იქცევა, რომ მხოლოდ უწიგნური და უვიცი კი არა, ბოროტია, ხოლო ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი **ნუნუ გინტური,** რომელიც სააკაშვილის ბანდას წართმეულ ქონებებს უკანონებდა, ნაცვლად იმისა, ციხის კედლებს ხეხავდეს, სალომე სამადაშვილზე ნაკლებად არ აბრიალებს თვალებს!

**მივმართავ იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს:** ზნედაცემულმა ნუნუ გინტურმა, რომელმაც ჩამორთმეული ნოტარიუსობა აღიდგინა, ჩემს უახლოეს მეგობარს, საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს **თამაზ გელაშვილს** თაღლითურად დიდძალი ქონება და თანხა წაჰგლიჯა, ხოლო შემდეგ უსირცხვილოდ განუცხადა — **ფულს რომ დავინახავ, ორგაზმი მეწყებაო!**

**— ბატონო ელიზბარ, მგონი, ნუნუ გინტურმა ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე თქვენი პროვოცირებაც სცადა!**

— კი, იყო ასეთი შემთხვევაც — თითქმის ყველა სასამართლო სხდომას ვესწრებოდი, რომელიც თამაზს ამ გათახსირებულ **ნუნუ გინტურთან** ჰქონდა. ერთ-ერთ სხდომაზე **გინტურმა** ჩემი მისამართით წამოაყრანტალა — აი, **აქ ჯაველიძეც გვესწრება, რომელსაც თავი დიდ ვინმედ აქვს წარმოდგენილიო!** მე ვუთხარი — **ჩემი თავი წარმოდგენილი არ მაქვს, მაგრამ შენ სანამ არ მოგსპობ, მანამდე არ გავჩერდები-მეთქი!** ცხადია, აქ გინტურის ფიზიკურ მოსპობას არ ვგულისხმობდი, მაგრამ მისი, როგორც მოვლენის ამოძირკვას, ნამდვილად მივესალმებოდი და მივესალმები, რადგან **ნუნუ გინტური არის სააკაშვილის ძალმომრეობისა და უკანონობის სიმბოლო.**

ვატყობ, ნუნუ გინტურს რასაც დავპირდი, ჯერჯერობით ვერ ვუსრულებ, რადგან სასამართლოსა და პროკურატურაში თითქმის ყველა გინტური და ყანდურია! **რომ მეგონა, მე და თამაზ გელაშვილმა სამართლიანობის აღდგენაში მცირედი წვლილი მაინც შევიტანეთ, რადგან ნუნუ გინტურს ნოტარიუსობა სასამართლოს ძალით ჩამოვართვით-მეთქი! — თურმე სადა ხარ?!** ამ გაფუჭებულმა ქალმა უზენაეს სასამართლოში ნოტარიუსობა ისევ აღიდგინა. ვფიქრობ,

**მოსამართლე, რომელმაც ეს უკანონობა ჩაიდინა და თაღლითი და ყაჩაღი გაამართლა, დასაპატიმრებელია!**

**წესიერი და განათლებული კაცია:**

**ბატონო რატი, ეტყობა, თქვენ არ იცით, ამ გათახსირებული და უსირცხვილო ნუნუ გინტურის სახით ვისთან გაქვთ საქმე! ცხოვრებაში პროკურატურისა და პოლიციისთვის საჩივრით არ მიმიმართავს, მაგრამ მიხედეთ ამ ბინძურ ქალს, რომელიც ბიძინა ივანიშვილით დაწყებული, ირაკლი ღარიბაშვილით დამთავრებული, მთელ „ქართულ ოცნებას“ თავს სჭრის!**

არ შეიძლება დემოკრატიულობაზე პრეტენზია ჰქონდეს იმ სახელმწიფოს, სადაც **მძარცველი ნუნუ გინტური** სასამართლოში საქმეებს იგებს! სხვათაშორის, ნუნუ გინტურს, რომელმაც ბაკურიანში, უმაღლესი კატეგორიის ზონაში **ჩვიდმეტი ბინა მიიტაცა,** ხოლო ლონდონსა და საფრანგეთის ატლანტის ოკეანის სანაპიროზე **კერძო სახლები იყიდა,** „სოციალურად დაუცველის“ სტატუსი აქვს მინიჭებული და სასამართლოში ბაჟსაც კი არ იხდის!

**— ეს როგორ ხდება?**

— **ეს იმიტომ ხდება, რომ ნაცმოძრაობაში რაც ფული გაკეთდა და რა ქონებებიც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ მიიტაცეს, სუყველაფერი ნოტარიუსმა ნუნუ გინტურმა გააფორმა!** ამ ბინძურმა ქალმა ყველაზე ყველაფერი იცის, რადგან დანაშაულის თანამონაწილეა... **სამართლიანობა რომ ვერ აღდგა, იმიტომაც სხედან დამნაშავე მოსამართლეები პატიოსანი პროფესიონალების ადგილზე და იმიტომ აღუდგინეს ხალხის მძარცველ გინტურს ნოტარიუსის სტატუსი!**

**აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მივმართავ იუსტიციის მინისტრს რატი ბრეგაძეს, რომელიც ძალიან**

**— თქვენ ზემოთ ახსენეთ ჩვიდმეტი ბინა, რომელიც ნუნუ გინტურმა ბაკურიანში მიიტაცა!**

— როგორც ჩემი მეგობრისგან ვიცი, **იმისათვის, რომ ნუნუ გინტურს ამხანაგობა „ბაკურიანიდან“ ჩვიდმეტი ბინა მიეტაცებინა, ეს გათახსირებული ქალი ადგა და სააკაშვილის რეჟიმის ორ მაღალჩინოსანს, კრიმინალური დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ზაზა ქიქავასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის შოთა უტიაშვილის უახლოეს ნათესავს დავით უტიაშვილს ორი ბინა, ფაქტობრივად, აჩუქა.** ამ ნაბიჯით მან ბაკურიანში აშენებული ორმოცდაათბინიანი ორი პატარა კორპუსი გააკოტრა.

**— ბაკურიანში ჩვიდმეტი ბინა ნუნუ გინტურმა ვისზე გააფორმა?**

— როგორც თამაზისგან ვიცი, თერთმეტი ბინა გინტურმა თავისი უფროსი ვაჟის ცოლზე **მარი ფუტკარაძესა** და მის მამაზე **კახა ფუტკარაძეზე** გააფორმა, ხოლო ოთხი ბინა — თავის უახლოეს ნათესავზე **ნონა დოთიაშვილზე.** დარჩენილი ორი ბინა, როგორც მოგახსენეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებს — **ზაზა ქიქავასა და დავით უტიაშვილს** აჩუქა, რათა ხელფეხი გახსნოდა და ამოდენა ქონება მიეტაცებინა!

მთელი ეს თაღლითური სქემა ნუნუ გინტურმა განახორციელა და აღასრულა თავისი ქმრის ბიძაშვილთან **ზაზა მაღლაფერიძესთან** ერთად, რომელიც თბილისში ბინების თაღლითურად მიტაცების გამო ერთხელ უკვე იხდიდა 5-წლიან სასჯელს, რომელიც ისევ და ისევ გინტურის დანაშაულებრივი კავშირების შედეგად პირობითი სასჯელით შეეცვალა! **თამაზ გელაშვილისგან ისიც ვიცი, რომ ნუნუ გინტურისა და ზაზა მაღლაფერიძის წინააღმდეგ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში უამრავი საჩივარია შესული, მაგრამ არც გინტურსა და არც მაღლაფერიძეს პროკურატურა უბატონოდ ხმას არ სცემს!**

**— ეს ყველაფერი რაზე მეტყველებს?**

— ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღსადგენია და თაღლითების, მძარცველებისა და მკვლელების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა ქართველ ერს ჯერ კიდევ წინ აქვს!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*










„ასავალ-დასავალი“. 2022 წლის №45, №46, №47

## «მიხედეთ ამ ბინძურ ქალს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ თავს სჭრის!»

# სატანისტ-ლიბერასტებო, შორს თქვენი ბინძური ხელები და ნესვიანი ენები ქართული რაგბისა და ვაზის ჯვრისაგან!

*თანამედროვე მებრძოლ უღმერთოთა მშობლიურმა იდეოლოგიამ — ნეოლიბერალიზმმა საქართველოში უკვე მიაღწია ხრწნილების უკანასკნელ ფაზას, როცა ქართველ ნეოლიბერალებს, იგივე ქართველ ნეოფაშისტებს ჯვრის დანახვაზე გულყრა ემართებათ და ცოფის ნთხევა ეწყებათ.*

სრული საფუძველი გვაქვს, კიდევ უფრო შორსაც წავიდეთ და პირდაპირ ვთქვათ, რომ **ქართველი ნეოლიბერალები, განსაკუთრებით კი მათი ყველაზე აგრესიული და რადიკალური ქვეკლასი — ნაცლიბერასტები ოფიციალურად გაფორმდნენ სატანისტებად!**

ეს მოხდა საქართველოსა და სამოას მორაგბეთა მატჩის შემდეგ, რომელიც თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე", ამა წლის 12 ნოემბერს გაიმართა.

**თამაშის დაწყებამდე სამოას ნაკრების მორაგბეებმა თავიანთი ტრადიციული საბრძოლო რიტუალი — ჰაკა შეასრულეს, საქართველოს ნაკრების მორაგბეები კი მოედანზე იმდაგვარად განლაგდნენ, რომ ჯვარი, კონკრეტულად კი, საქართველოს გაქრისტიანების სიმბოლო — წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი გამოსახეს.**

აი, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო სოციალურ ქსელში **ქართველი სატანისტების შაბაში.**

ატეხეს, მაგრამ რა ამბავი ატეხეს ნაცლიბერასტებმა — **რა ჯვარი და რის ჯვარიო! თეოკრატიული ქვეყანა ხომ არა ვართო! ფუნდამენტალიზმიო! ბნელი „ღრუზინობაო!" რუსული პროპაგანდაო! გოიმობაო! ჰი-ჰი-ჰი და ჰა-ჰა-ჰაო!** ზოგი იგინებოდა, ზოგი კი ღლიცინებდა და ჯვარს, ეკლესიასა და ქართველ მორაგბეებს დასცინოდა!

ზოგიერთი ნაცლიბერასტი უფრო შორსაც წავიდა და ქართველი მორაგბეების მიერ მოედანზე ჯვრის გამოსახვაში საქართველოს ხელისუფლებისა და საპატრიარქოს კვალი დაინახა. მაგალითად, **ერთმა ყაზილარმა, რომელსაც ადრე პოეტად მოჰქონდა თავი, ახლა კი დიეტოლოგობას აწვება, ასეთი რამ დაწერა:** *„ეს რომ ყოფილიყო ხალხის არჩევანი, მაგალითად, ფანებს დაეწერათ, ასე ჯობიაო და მაშინ გაეკეთებინათ, არ იქნებოდა პრობლემა, მაგრამ ესაა ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად 2013 წლიდან რეგულარულად ძალადობს ადამიანებზე".*



თბილისი. 2022 წლის 12 ნოემბერი. საქართველო-სამოა. ქართველმა მორაგბეებმა მოედანზე ვაზის ჯვარი გამოსახეს!

**ქართველ ლიბერასტ-სატანისტებს ქართული რაგბი და ქართველი მორაგბეები იმიტომ ეზიზღებათ, რომ ისინი მოედანზე ქართულ მებრძოლ სულს, ქართულ ეროვნულ ხასიათს, პატრიოტიზმს, რწმენასა და მამულისათვის თავდადებას განასახიერებენ!**

**გესმით? ქართველმა მორაგბეებმა მოედანზე ვაზის ჯვარი რომ გამოსახეს, ეს საქართველოს ხელისუფლებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ადამიანებზე ძალადობის გამოხატულება ყოფილა!** ასეთ მარაზმში არიან ქართველი მებრძოლი უღმერთოები, ქართველი ნეოლიბერალები, აწ უკვე ოფიციალური ქართველი სატანისტები.

არსებობს ასეთი არსება — **ნიქო გორგილაძე,** ოფიციალური მამათმავალი, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ ერთმა ქართველმა პატრიოტმა ბიჭმა — იმხანად 15 წლის მოზარდმა **სერგი კაკაჩიამ** ყბაში მოსდო, რადგან იგი მთავრობის ადმინისტრაციის წინ იდგა, ლგბტ ლოზუნგებს გაჰყვიროდა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მისამართით შეურაცხმყოფელ ფრაზებს ისროდა. ჰოდა, **ეს მამათმავალი ნიქო გორგილაძეც გამოეხმაურა ქართველი მორაგბეების მიერ მოედანზე ჯვრის გამოსახვას — „შემდეგზე ნახევარმთვარე გეცადათ, ჯვარი ხუთი გაქვთ დროშაზე და მაინც არაფერი გშველით".**

სატანისტების შაბაშს არც ცნობილი ნაცპროპაგანდისტი, დიდი ინტელექტუალი და ექსპერტი არტილერიის საკითხებში **ნანუკა ჟორჟოლიანი**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*პარლამენტარი*



ზოგიერთი პოლიტიკურ მოდას არის აყოლილი და ფიქრობს, რომ **რადგან ევროპულია, ცუდიც კი კარგია!** ასე კეკლუც-კეკლუც, მოდა-მოდა **შესაძლოა, ჩვენი კულტურა, ტრადიციები და ჩვენი ღირსებაც სხვის ინტერესებს შევწიროთ.**

„ინტერპრესნიუსი"

**ვატო გელაშვილი**
*„შეჩერე კორუფციას" თანადამფუძნებელი*



**დღეს ქართული ოპოზიციის ლიდერშიპი არის უფარჩაკესი, ეგეთი საზიზღარი ქუჩაში მოსაქმებულიც კი არ აგდია!** პოლიტიკურ უფალს უკვე კაი ხანია, მიებარნენ და **ხსოვნა იყოს ჩვენი ოპოზიციური ლიდერებისა და მათი პარტიებისა,** რომლებიც ნელ-ნელა ქრებიან და ქრებიან.

„ალია"

**მამუკა გამყრელიძე**
*ყოფილი დიპლომატი*



ქართული პოლიტიკისათვის კარგი იქნება, თუ **ნაციონალური მოძრაობა მარტივ მამრავლებად დაიშლება.** ჩემთვის ბევრად მნიშვნელოვანია ევროკომისრის ვიზიტი, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესები.

„ახალი თაობა"

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის" დამფუძნებელი*



ძველად როგორც **მეფისნაცვალი და ეგზარქოსი** იჯდა აქ და იმათ უნდა გადაეწყვიტა რაღაცები, ასე უნდათ ახლაც, რომ **რომელიმე ქვეყნის ელჩმა ან ევროპარლამენტარმა** გვითხრას, რა ვაკეთოთ.

„TV იმედი"

# ქართული რაგბი და ქართველი მორაგბეები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან და ანგრევენ ქართველი ლიბერასტ-სატანისტების ფორმულას...

ჩამორჩა — **„ერთ ადამიანს რა რიტუალი ექნება, ილოცებს თუ მიწას აკოცებს, მისი გადასაწყვეტია და გუნდურ სპორტში ვინ იღებს გადაწყვეტილებას საერთო თილისმაზე ან რწმენაზე?“**

ასეთი და ამაზე უფრო დიდი სიბრძნეები კიდევ ბევრი დააფრქვიეს სოციალურ ქსელში **ქართველმა სატანისტებმა,** რომლებიც თავიანთ თავს ლიბერალებს უწოდებენ!

ყველაზე დიდი ქართველი ბოლშევიკ-ათეისტები და მებრძოლ ურმერთოთა კავშირის მესვეურები, რომლებიც ჯოჯოხეთში ნელ ცეცხლზე იხრუკებიან, **მამათმავალი ნიქო გორგილაძის, გონებაჩლუნგი ნანუკა ჟორჟოლიანისა** და მათი მსგავსი ლიბერასტ-სატანისტების შემხედვარე, ალბათ, ახერხებენ, რომ სიამოვნებისაგან ხელები მოიფშვნიტონ — ეს რა ღირსეული შთამომავლობა დაგვიტოვებია, ჩვენს საქმეს რა კარგად აგრძელებენო!

თუმცა, ბოლომდე დარწმუნებული არ ვართ, რომ ყველაზე დიდი ქართველი ბოლშევიკ-ათეისტებიც კი თავიანთ ყველაზე დიდ ოცნებებში წარმოიდგენდნენ იმას, რაც დღეს, 21-ე საუკუნეში, საქართველოში ხდება, როცა **ქართული გვარ-სახელის მქონე არსებანი ჯვრის წინააღმდეგ ილაშქრებენ და ქრისტიანობის სიმბოლოს ჩამორჩენილობის, სიბნელისა და ძალადობის სიმბოლოდ აცხადებენ!**

თუმცა, აქ კიდევ ერთი ამბავია!

**ქართველი მორაგბეების მიერ მოედანზე ვაზის ჯვრის გამოსახვას ქართველი ლიბერასტ-სატანისტების მხრიდან ამხელა გესლის ნთხევა მარტო იმიტომ არ მოჰყოლია, რომ მათ ჯვარი, მართლმადიდებლობა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეზიზღებათ!**

**საქმე იმაშიც არის, რომ ქართველი ლიბერასტ-სატანისტებისათვის ქართული რაგბი და ქართველი მორაგბეებიც ისევე საძულველნი არიან, როგორც ჯვარი, მართლმადიდებლობა და ქართული ეკლესია!**

ქართველ ლიბერასტ-სატანისტებს ქართული რაგბი და ქართველი მორაგბეები იმიტომ ეზიზღებათ, რომ ისინი მოედანზე ქართულ მებრძოლ სულს, ქართულ ეროვნულ ხასიათს, პატრიოტიზმს, რწმენასა და მამულისათვის თავდადებას განასახიერებენ!

**ქართული რაგბი და ქართველი მორაგბეები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან და ანგრევენ ქართველი ლიბერასტ-სატანისტების ფორმულას, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება წარმატებული იყოს ის, რაც ქართულია, რაც ეროვნულია, რაც სამშობლოს სიყვარულითა და უფლის რწმენით არის ნასაზრდოები!**

**და კიდევ: როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოშიც რაგბი ერთადერთია სათამაშო გუნდურ სპორტის სახეობათა შორის, სადაც ნეოლიბერალურმა სიბილწემ და ლგბტ პროპაგანდამ ვერ შეაღწია და ფეხი ვერ მოიკიდა!**

ქართველ მორაგბეებს მოედანზე ვაზის ჯვრის გამოსახვის მაგივრად ლგბტ დროშა რომ აეფრიალებინათ ან ლგბტ სამკლაურებით გამოსულიყვნენ სათამაშოდ, ქართველი ლიბერასტ-სატანისტები ფეხზე ადგომით დაუკრავდნენ ტაშს და გმირების შარავანდედით შემოსავდნენ!

აკი,

**ქართველი მორაგბეების მიერ მოედანზე ვაზის ჯვრის გამოსახვას სწორედ ის ლიბერასტული სექტა აცხადებს სიბნელედ და ძალადობად, რომელიც ფეხბურთელ გურამ კაშიას ლგბტ სამკლაურის გაკეთების გამო თავისუფლებისათვის მებრძოლ რაინდად და პროგრესული იდეების ადეპტად რაცხდა!**

დიდება ქართველ მორაგბეებს, რომლებმაც მოედანზე ვაზის ჯვარი გამოსახეს და რომლებსაც მუდამ ახსოვთ, ვისი გორისანი არიან!

**რაც შეეხებათ ქართულ რაგბთან და ჯვართან მებრძოლ ლიბერასტ-სატანისტებს, მათთვის მხოლოდ ერთი რამ გვაქვს სათქმელი — შორს თქვენი ბინძური ხელები და ნეხვიანი ენები ქართული რაგბისა და ვაზის ჯვრისაგან!**

ჯვარი ქართველების სიწმინდეა!

რაგბი ქართველების თამაშია!

***ჯაბა ხუბუა***




### ბოლოთქმა

ეს წერილი უკვე დასაბეჭდად იყო მზად, როცა **საქართველოს რაგბის ეროვნულმა ნაკრებმა კიდევ ერთი ისტორიული გამარჯვება იზეიმა — ქართველმა ბორჯღალოსნებმა მსოფლიო რაგბის გრანდი უელსის ნაკრები მისსავე მოედანზე უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხეს!**

ცოტა ხნის წინათ იტალიის ნაკრების ძლევის შემდეგ ეს არის მეორე შემთხვევა, როცა **ქართველმა მორაგბეებმა უმაღლესი ეშელონის გუნდი — „ექვსი ერის“ მონაწილე ნაკრები დაამარცხეს!**

და ეს არის **ყველაზე ადეკვატური პასუხი ქართული რაგბისა და ვაზის ჯვრის წინააღმდეგ ამხედრებული სატანისტ-ლიბერასტების შაბაშზე!**

## კვირგვინოსნები

**სოსო ცისკაძე**
*პოლიტოლოგი*



80 პროცენტით ვვარაუდობ, რომ **ოპოზიცია საერთოდ დაიშლება,** ვერ შერიგდებიან.

„საერთო გაზეთი“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



სამწუხაროდ, ოპოზიციაში არიან ჩემი კოლეგები, რომლებიც **ანტიევროპულ საქმეს** აკეთებენ.

„რეზონანსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



ოპოზიცია ივანიშვილზე ყვირის — **რუსი ოლიგარქიო** და რეალურად, **საფრანგეთის მოქალაქეა.** რაც დრო გადის, ოპოზიცია სულ უფრო და უფრო სუსტდება.

„ახალი თაობა“

**ნანუკა ხუსკივაძე**
*რუსთაველის თეატრის მსახიობი*



**პოლიტიკის გარდა აღარაფერი აღარ არის. პოლიტიკამ შეჭამა ყველაფერი.**

„კვირის პალიტრა“

## ნაცფაშისტი!



**მაია ნადირაძის გამოსვლიდან „ტვ პირველის“ ეთერში:**

***ეხლა ხო ყველაფერი თვლადია? ერთი გირგვლიანი შეიძლება ვიძახოთ ამდენ ხანს? ვაღიარეთ ყველა თვალსაზრისით, ყველა საკანონმდებლო ინსტანციით, ყველაფერი გავაკეთეთ, როგორც კანონით იყო, ხო? არა, ეგრე არა, სააკაშვილი უნდა ჩამოგეხრჩოთო, სააკაშვილი უნდა დაგეკიდათ ფეხებითო. მოთხოვნა იყო ეს. არა, ხო თვლადია ყველაფერი? ერთ გირგვლიანზე და კიდე ვიღაცას ამბობენ ხოლმე... მას მერე რამდენი ასეთი მოხდა? ის ხალხი რატომღაც ასე არ რეაგირებდა.***

# ნადირაძისებრ ათასებს ერთი სჯობს, სანდრო მკვდარია!

***მაია ნადირაძის ტონი ჯერ კიდევ მაშინ იყო გამაღიზიანებელი, როცა მოქკავშირში და შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში სიტყვა ეთქმოდა. ახლა რეგალიები აღარა აქვს, მაგრამ დამრიგებლური ტონი ისევ შენარჩუნებული აქვს, მგონი, უფრო გამძაფრებულიც. თუმცა, ერთს რომ ალთას ამბობს, მეორე წინადადება ბალთას გაურბის, რაღაცების თქმას ცდილობს, მაგრამ თავს ვერ აბამს. რაც მთავარია, ჭკუა იოტისოდენადაც არ მომატებია, თორემ ასეთ რამეს როგორ იტყოდა: ეს ერთი გირგვლიანი და კიდევ ვიღაცა პრობლემად რომ გახადეს, შემდეგაც მოხდა უარესები, მაგრამ ასეთი რეზონანსი არ ჰქონიაო...***

ისე კი, მაია ნადირაძეს რა უნდა ელაპარაკო? მისმა ნათქვამმა ქართველ საზოგადოებაში ამჯერადაც სამართლიანად დაიმსახურა რისხვა და გულწყრომა... **თუმცა, რა? ეს უტიფარი შეიგნებს თუ ბოდიშს მოიხდის? არა, მაგის იმედი არ გქონდეთ, ნაციონალობა მხოლოდ პარტიული კუთვნილება ნუ გგონიათ, ნაციონალობა სისხლის შეცვლაა, აზროვნების მოღრეცილობაა, ასი წელიც რომ გავიდეს, ვეღარ გამოასწორებ, ხელახლა რომ გააკეთო, მაინც ვერ შეცვლი.**



სანდრო გირგვლიანი

ადრე ნაცებში ისეთები იყვნენ **(საკუთარ თავს აღარ ათვლის, თავმდაბლობს)** , რაც უნდოდათ, იმას ხედავდნენო, შეცდომები კი დაუშვიათ, მაგრამ დანაშაული არ ჩაუდენიათ, სამშობლო არ გაუყიდიათო... **ამ დროს, თუ ვინმემ სამშობლო გაყიდა, სწორედაც ნაციონალები იყვნენ,** ხოლო ამ ქალს ყველაფერთან ერთად, მოკლე მეხსიერებაც ჰქონია — ერთი სანდრო გირგვლიანი ახსოვს და ისიც ბუნდოვნად.

ნადირაძე და მისთანები საგონებელში არიან, ამრევებს ეძებენ და ვერ პოულობენ, რევოლუციური ლიდერების გამოჩეკას ლამობენ და არ გამოსდით, მაგათმა ბინძურმა დრომ ჩაიარა, დაძაბულობა და გაუგებრობა ყველას მობეზრდა. **დარჩა მხოლოდ ერთი უაზრო ხროვა, რომელსაც რატომღაც რადიკალურ ოპოზიციას ეძახიან.**

ისე, სულ მიკვირს, რატომ ამოქექავენ ხოლმე ამნაირ მივიწყებულებს, რა უნდათ, თავიანთ სამარეს საკუთარი ხელით რატომ ითხრიან? ისე კი, მართლაც არ შევცდებით, თუ ვიტყვით: **ნადირაძისებრ ათასებს ერთი სჯობს, სანდრო მკვდარია!**

***გელა ზედელაშვილი***

# „ნაცმოძრაობის ამერიკელ ინსტრუქტორებსა და გადატრიალების მოსურნეებს პირდაპირ ვეუბნები, რომ მათ ოცნებებს საქართველოში ახდენა არ უწერიათ!“

## ნიკოლოზ მჟავანაძე:

# თუ სააკაშვილი „ვივამედში“ მოხვდა, ხაბეიშვილი საგიჟეთში მოხვდება!

***„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ საქართველოში ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის ამერიკული გეგმა გადამწყვეტ ფაზაში შედის და ლევან ხაბეიშვილის მეთაურობით ქვეყანაში „მივარდნა-მოვარდნებისა და შევარდნების“ სეზონი იწყება:***



**„რაკი ვერც ირაკლი ღარიბაშვილსა და ვერც ვახტანგ გომელაურს ვერაფერი დააკლეს, ახლა კახი კალაძეს დაესივნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვერც ამჯერად გახდებიან რამეს!“**

— ყველაფერი, რაც დღეს ნაცმოძრაობაში ხდება, დაკავშირებულია ამერიკელ ინსტრუქტორებთან და მათ დირექტივებთან! სწორედ მათი მოთხოვნაა გონებაშეზღუდული **ლევან ხაბეიშვილის** პარტიის თავმჯდომარედ დანიშვნა, რათა საქართველოში ვითარება აირიოს და პოლიტიკური პროცესები დესტრუქციულ რეჟიმში გადავიდეს! ამ საქმეში დიდი მისია აკისრია ამერიკის ელჩს საქართველოში **კელი დეგნანს,** რომელიც ტრამპის ადმინისტრაციის დროს დაინიშნა, მაგრამ, როგორც კი ხელისუფლების სათავეში ბაიდენი მოვიდა, ვაშინგტონიდან სულ სხვა ინსტრუქციები მიიღო და ისიც იმ რეჟიმზე გადაერთო, რაც საქართველოში ხელისუფლების ძალადობრივად ცვლილებას გულისხმობს!

**— ბოლოს და ბოლოს, ნაცმოძრაობის სათავეში ლევან ხაბეიშვილის მოსვლით ამერიკელი ინსტრუქტორები ასე დაინტერესებული რატომ არიან?**

— გაიხსენეთ 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ წინარე პერიოდი, როცა სააკაშვილის რეიტინგი **ჟვანიასა და ბურჯანაძის** რეიტინგზე მაღალი და გამორჩეული არაფრით იყო, მაგრამ, რაკი გადაწყვიტეს, რომ საქართველოს დასანგრევად საუკეთესო ვარიანტი იყო გიჟის ხელისუფლების სათავეში მოყვანა, მოიყვანეს სააკაშვილი, რომელმაც 2004 წლის ზაფხულში უკვე სცადა ომის დაწყება, მაგრამ, რაკი დროებით შეაჩერეს, 2008 წლის აგვისტოში მაინც დაგვლუპა და ქვეყანას უამრავი უბედურება მოუტანა! ამერიკელებმა იგივე გაიმეორეს უკრაინაშიც, სადაც პრეზიდენტად **მასხარა და ნაძირალა ზელენსკი** დასვეს, რომელმაც ქვეყანა მიწასთან გაასწორა. სწორედ ამ მიზნით შეარჩიეს **ხაბეიშვილიც...** დიახ,

## სააკაშვილის მსგავსად, ხაბეიშვილიც გიჟია და, აქედან გამომდინარე,

## ვიღაცა ფიქრობს, რომ, თუ კიდევ ერთ გიჟს ხელისუფლებაში მოიყვანენ, საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ დაასრულებენ!

მაგრამ ნაცმოძრაობის ამერიკელ ინსტრუქტორებსა და გადატრიალების მოსურნეებს პირდაპირ ვეუბნები, რომ მათ ოცნებებს საქართველოში ახდენა არ უწერიათ!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ამ **ხელისუფლებაში არ არიან ის ადამიანები, რომლებიც ხაბეიშვილს პარლამენტის კარს ისევე გაუღებენ, როგორც თავის დროზე მიშას გაუღეს და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ფაქტობრივად, ძალით შეათრიეს!** დააკვირდით, ვინ წამოსწიეს ნაცმოძრაობაში და ვინ დაუყენეს ხაბეიშვილს გვერდით — **დავით კირკიტაძე,** რომელიც პარლამენტის დაცვასა და პოლიციელს თავს დაესხა! **ბადრი ბასიშვილი,** რომელიც დევნილებს ატერორებდა და **პეტრე ცისკარიშვილი,** რომელიც საქართველოს პარლამენტის ტუალეტში **დავით საგანელიძეს** ჩაუსაფრდა და კაცი კასტეტით დაჭრა! ამის გამო სააკაშვილმა ცისკარიშვილი თავის დროზე ნაცმოძრაობიდანაც კი გააგდო, მაგრამ **კობა დავითაშვილის** პროტესტის გამო ისევ უკან დააბრუნა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ყოფილმა პროკურორმა **ვალერი გრიგალაშვილმა** უკვე დაწერა — „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები სარებზე უნდა ჩამოვაცვათო! ანუ უკვე გასაგებია, რისთვისაც ემზადებიან და რა არის ამერიკელი ინსტრუქტორების შეკვეთა — სიტუაციის დაძაბვა და ქვეყანაში მონასტრის არევა! სააკაშვილსაც ეს უნდა და მთავარი მიზეზი, რის გამოც მან **ნიკა მელია** მოიძულა, ის გახლავთ, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ მელია უკვე „ბულკივით“ იყო და პარლამენტში შევარდნაზე აღარ ფიქრობდა!

**— იქნებადა, ხაბეიშვილმა პარტიის შიდა არჩევნები ვერ მოიგოს!**

— **დარწმუნებული ვარ, ხაბეიშვილი ამ არჩევნებს მოიგებს და პარტიის თავმჯდომარეც სწორედ ეგ გახდება!** ასე რომ, „მივარდნა-მოვარდნებსა და შევარდნებს“ ხაბეიშვილისგან უნდა ველოდოთ, მაგრამ ღრმად მწამს, რომ

## გუნდი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დატოვა, პოლიტიკურ ბრძოლაში ისე გამოიწრთო და გამოიბრძმედა, უშეცდომოდ იმოქმედებს და ამ კრიმინალებს ერთ ადგილს მიუჩენს!

ერთი რამ ფაქტია — ასეთი ამორალური, ბინძური და ყველაფერზე წამსვლელი ხალხი, როგორიც სააკაშვილი და მისი გარემოცვაა, საქართველოს არ ახსოვს! ამ რამდენიმე დღის წინათ ბრაზილიურ სერიალში მეგონა თავი, რადგან სააკაშვილის სანახავად საავადმყოფოში ერთად მივიდნენ: სააკაშვილის უფროსი ვაჟი სანდრა რულოვსისგან **ედუარდი,** სააკაშვილის მეორე ცოლი **ლიზა იასკო,** სააკაშვილის დედა **გიული ალასანია** და სააკაშვილის დედის ახალი ქმარი **გიორგი ჩალაძე.** აი, ამ სამარცხვინო „ბუკეტს“ აკლდა სააკაშვილის კიდევ ერთი ცოლი **სოფიკო ნიჟარაძე,** რომელმაც სააკაშვილს გოგონა გაუჩინა...

**— კეზერაშვილს მართლა უნდა პოლიტიკაში ყოფნა და ფულების ხარჯვა თუ აიძულებენ, რომ პოლიტიკაში იყოს?**

— კეზერაშვილს ამერიკელე-





დავით კეზერაშვილისა და კურტ უოკერის შეხვედრა უკრაინაში. 2022 წლის 7 ივლისი



**„დარწმუნებული ვარ, ამერიკელებმა კეზერაშვილს ულტიმატუმი წაუყენეს — თუ საქართველოში გადატრიალებას არ დააფინანსებ, დაგიჭერთ და საქართველოს ხელისუფლებას გადაგცემთო!“**

## კვირგვინოსნები

**მიხეილ მაჭავარიანი**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*



რომ არა ის 2003-2013 წლები თავისი შეცდომებით და თავისი პასუხისმგებლობით, საქართველო ბევრად უკან იქნებოდა და ეს **მიხეილ სააკაშვილის** დამსახურებაა, თუმცა, **ის აგებს პასუხს იმ შეცდომებზე, ჩვენს შეცდომებზე...** საქართველოში ყოველთვის ასეა, ყველა ჩვენი დიდი ლიდერი როგორ წავიდა ამ ქვეყნიდან? — **მოკლა ქართველმა!**

„პალიტრანიუსი“

**ია მეზრეველი**
*სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა*



აღშფოთებული ვარ ევროპარლამენტის რეზოლუციის გამო და მინდა, მათ შევახსენო — **რომელ პოლიტპატიმრებზეა ლაპარაკი?! რომელი პოლიტპატიმარია სააკაშვილი, დამნაშავე კრიმინალი,** რომლისთვისაც სამუდამო პატიმრობაც არ არის საკმარისი!

„TV იმედი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



დიახ, **გიული ალასანია** არის **კლასიკური ოლიგარქი.** მას აქვს ბევრი ფული, მისი კომპანია (უნივერსიტეტი) ფლობს მედიას, კერძოდ კი **„მთავარი არხის“** წილებს.

**კურტ ვოლკერი** ის „ყმაწვილია“, რომელიც **საქართველოს ნატოში „ექაჩება“,** ოღონდ **სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე!**

„იმედინიუსი“

**მამუკა გიორგაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



„ქართული ოცნება“ ყველა ღონეს ხმარობს, რომ **ხელახლა გააცოცხლოს ნაციონალური მოძრაობა.** როცა არსებობს **სააკაშვილის** ფაქტორი, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვის აირჩევენ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ.

„ახალი თაობა“

# „ამ რამდენიმე დღის წინათ ბრაზილიურ სერიალში მეგონა თავი, რადგან სააკაშვილის სანახავად საავადმყოფოში ერთად მივიდნენ:

**სააკაშვილის უფროსი ვაჟი სანდრა რულოვსისგან ედუარდი, სააკაშვილის მეორე ცოლი ლიზა იასკო, სააკაშვილის დედა გიული ალასანია და სააკაშვილის დედის ახალი ქმარი გიორგი ჩალაძე. აი, ამ სამარცხვინო „ბუკეტს“ აკლდა სააკაშვილის კიდევ ერთი ცოლი სოფიკო ნიჟარაძე, რომელმაც სააკაშვილს გოგონა გაუჩინა!“**











ბი აიძულებენ, **ბიჟი ლევან ხაბეიშვილი** და მის გარშემო შემოკრებილი კრიმინალები დააფინანსოს! ფული, რომელსაც **კეზერაშვილი** ნაცტელევიზიებსა და **ხაბეიშვილ-ვაშაძე-ხოშტარია-ბირჩი ჯაფარიძეს** აძლევს, სინამდვილეში ნაცბანდის „ობშაკის“ ფულია! დარწმუნებული ვარ, ამერიკელებმა კეზერაშვილს ულტიმატუმი წაუყენეს — თუ საქართველოში გადატრიალებას არ დააფინანსებ, დაგიჭერთ და საქართველოს ხელისუფლებას გადაგცემთო! ცნობილი ცერეუშნიკის **კურტ უოკერის** კეზერაშვილთან შეხვედრაც სწორედ ამ გაფრთხილების ადრესატამდე მიტანას და მომავალი სამოქმედო გეგმის დაზუსტებას ემსახურებოდა. აქედან გამომდინარე, **კეზერაშვილიც** იძულებულია, დაემორჩილოს ამერიკელების ულტიმატუმს და დააფინანსოს **ხაბეიშვილი,** რომელიც სააკაშვილის მორალის კაცია და ნებისმიერ სიბინძურეზე მოაწერს ხელს, თუმცა, ხაბეიშვილის პოტენციალი მაინც ძალიან შეზღუდულია, რადგან უწიგნურია!

**— ე.წ. „სვეტსკი“, ანუ ელიტური ნაცები ხაბეიშვილის მსგავს ლიდერს აიტანენ?**

— სააკაშვილს იტანდნენ და ხაბეიშვილს ვერ აიტანენ?! ეს ერთი სექტაა, თუმცა, სექტიდან წევრების გადინების პროცესი უკვე დაიწყო...

**— ბოლო დროს ნაცსექტანტები ძალიან უტევენ კახი კალაძეს, რომელსაც ობსტრუქციას უწყობენ, რატომ?**

— **კალაძეს,** როგორც ნაცების წესია, ამორალური მეთოდებით უპირისპირდებიან. მიზანი ერთია — როგორმე გუნდს მოაშორონ და კახი აიძულონ, წავიდეს! **რაკი ვერც ირაკლი ღარიბაშვილსა და ვერც ვახტანგ გომელაურს ვერაფერი დააკლეს, ახლა კახი კალაძეს დაესივნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვერც ამჯერად გახდებიან რამეს!** ნაცები კახის განსაკუთრებით იმიტომ ვერ იტანენ, რომ წარმატებული მერია და ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა!

**— რა პერსპექტივა აქვთ ნაცებს და პირადად ხაბეიშვილს?**

**– კონგრესში რესპუბლიკელების გამარჯვების შედეგად აუცილებლად შეწყდება იმ აგენტების დაფინანსება, რომლებმაც**

**ამერიკელი ინსტრუქტორების მითითებით საქართველოში გადატრიალება უნდა მოაწყონ! შესაბამისად, ნაცსექტა დაშლისკენ წავა...**

რაც შეეხება **ლევან ხაბეიშვილს,** თუ სააკაშვილი „ვივამედში“ მოხვდა, ხაბეიშვილი ხონის ან სურამის საგიჟეთში მოხვდება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



Valeri Grigalashvili
15 სთ ·

ხერსონში უკრებმა მოღალატეები ბოძებზე გააკრეს, ქოცების ჩამოცილების შემდგომ ათამდე ბოძი თბილისშიც დაგვჭირდება!

## ყოფილმა პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა უკვე დაწერა – „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები სარებზე უნდა ჩამოვაცვათო!

# სარკოფაგიდან ამომძვრალი ვირთხა

## ბოროტების გრიგალი, რომლისგანაც ვალერიანის წვეთებიც ველარ დაგვიცავს!

***ვისზეც ახლა უნდა მოგითხროთ, ძალიან ცუდი სახელი აქვს საზოგადოებაში. ალბათ, ზოგიერთები ჩაილაპარაკებენ კიდეც — რაღა დროს ნაპროკურორალი ვალერი გრიგალაშვილია, მაგას ხომ ცხოვრებამ თვითონ წააყარა ნაფტალინი და ახლა საიდან ამოჩხრიკეთო? ჩვენ არ გაგვხსენებია, თვითონ ამოძვრა სარკოფაგიდან და ისეთი რამ თქვა, ხელს ვერ დავაფარებთ: „ხერსონში უკრებმა (უკრაინელებმა) მოღალატეები ბოძებზე გააკრეს, ქოცების ჩამოცილების შემდგომ ათამდე ბოძი თბილისშიც დაგვჭირდება“-ო!***

ხომ მიხვდით და შინაარსიც გამოიტანეთ, რას ამბობს **ნაჩათლახარ-ნაპროკურორალი გრიგალაშვილი?** ხომ კარგად გაიგონეთ? — **უკრაინელებმა მოღალატეები დასაჯეს და როდესაც ქოცებს მოვიშორებთ, ათამდე ბოძი ჩვენც დაგვჭირდება, რათა ზედ ჩამოვკიდოთო.** ამ წარმონაქმნზე ადრეც ამბობდნენ — ადამიანობისა არაფერი სცხია, ფიზიონომიითაც საფლავიდან ახლად წამომდგარსა ჰგავსო, მაგრამ, გეფიცებით, ეგეთი გაფუჭებული მაინც არ მეგონა! **პრინციპში, მეც ვარ, რაღა... სულხან მოლაშვილის მწამებელი და შემდეგ ათასნაირი სიბინძურის დამბრალებელი ყოვლად გაფუჭებული რატომ არ უნდა მგონებოდა?** იყო გაფუჭებული, რა თქმა უნდა, მაგრამ აქამდე არ ჩანდა, არც ტელევიზიებში იწვევდნენ, ახლა კი თავი ველარ შეიკავა, მისი დასნებოვნებული ორგანიზმიდან შხამმა, ბოღმამ და ბალღამმა ამოხეთქა. მეტიც, **მას სისხლი სწყურია, ბოძებს ითხოვს, ამ ბოძებზე ადამიანები უნდა ჩამოჰკიდოს და როცა სისხლი წურწურით წამოვა, შვებას იგრძნობს.** ასე დაემართა 2004 წელსაც, შემდგომშიც, როცა ციხეებში ნაცმოძრაობის მოწინააღმდეგეებსა თუ წინა ხელისუფლების მოხელეებს აწამებდნენ, **ასე სწყუროდა სისხლი, როცა სულხან მოლაშვილთან საკანში შედიოდა, სადაც მას ტანზე სიგარეტს აქრობდნენ.**

ეს ბინძური არსება 2012 წლის შემდეგ ქუჩაში გაბედულად ველარ გამოდიოდა. ალბათ, ახლა ფიქრობს, ჩემი და ჩემნაირების დრო დგებაო და მოუნდა ქოცების დაკიდება ბოძებზე.

## ეს არის!

პირველი უთუოდ ბიძინა ივანიშვილი ეყოლება სიაში ჩაწერილი. სხვათაშორის, ამ ნაგავს ბევრმა აგინა, მაგრამ, სამწუხაროდ, მიმდევრებიც გამოუჩნდნენ — ათი ბოძი რას გვეყოფა, ასობით და ათასობით დაგვჭირდებაო... გესმით?

გული მიკვდება, მოლაშვილის ტრაგედიაზე რომ მიწევს წერა, მაგრამ ამ უხსენებელმა გრიგალაშვილმა მაიძულა. ეს მართლა სარკოფაგიდან ამომძვრალი ცდილობს, საზოგადოების ყურადღება რაღაცით მიიქციოს. რა ქნას? კაცობითა და კეთილშობილებით ვერ მიიქცევს, გაკეთებულ საქმეებს ვერავის შეახსენებს, თავის დარგულ ხეს ვერავის აჩვენებს, მის მიერ გადარჩენილი ადამიანისკენ თითს ვერ გაიშვერს... **ჰოდა, ისევ რაც ეხერხება, ის უნდა გააკეთოს — ბოძი, ეშაფოტი, სახრჩობელა, ხალხის ჩამოკიდება, სისხლი, ჩირქი, სიდამპლე, ჭაობი, ძონძი, ჭუჭყი, ტალახი და შურისძიება იმიტომ, რომ თვითონ აღარ არის პროკურორი, თბილისს ველარ ეუფროსება, მოაშორეს, გააპანღურეს.** არადა, იყო დრო, ეს ბნელეთის მოციქული თბილისის პროკურორი გახლდათ, მერე თბილისს მოაშორეს და გენპროკურატურაში გადაიყვანეს, ვინაიდან მისი ძმა, აწ გარდაცვლილი **ნოდარ გრიგალაშვილი** ნაციონალობდა და სააკაშვილთანაც მეგობრობდა. პირსისხლიან პრეზიდენტთან მეგობრობის ნაცვლად ისე კი ჯობდა, იმ ცხონებულს ვალერისთვის მიეხედა, სულის წაწყმედისაგან ეხსნა. ბევრი თუ არაფერი, ეს წერილი ხომ არ დაიწერებოდა!

***გელა ზედელაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



რამდენადაც ვიცი, **გიორგი ჩალაძემ** თავისი კანდიდატურა **ლევან ხაბეიშვილის** სასარგებლოდ მოხსნა. საზოგადოების თვალში **ჩალაძის კანდიდატურა ძალიან ყვიროდა,** როგორც ოჯახის ფავორიტისა და ის ჭორები თუ მოსაზრებები, რაც მისი პერსონის გარშემო აგორდა, ნამდვილად არ მეტყველებდა მასზე, როგორც პერსპექტიულ კანდიდატზე. როგორც ჩანს, **სააკაშვილის ოჯახმა მიიღო გარანტია, რომ ხაბეიშვილის გამარჯვების შემთხვევაში მისი თემა პრიორიტეტული გახდება.**

„რეზონანსი“

**მეგი გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**სააკაშვილი,** პირველ რიგში, **მისი მომხრეების ხელიდან არის მკვდარი!**

„ალია“

# ტრისტან წითელაშვილი:
# არ დაიჯეროთ!
# ამ ომში რუსეთის დამარცხება გამორიცხულია!

***უკრაინაში ომი გასცდა ჩვეულებრივი სამხედრო კონფლიქტის ფარგლებს და ისიც ნიშანდობლივია, რომ ლიბერასტული ძალების მთავარ სამიზნედ მართლმადიდებელი სარწმუნოება იქცა. დიახ, უკრაინის უბედურება მაშინ დაიწყო, როდესაც დედაეკლესიას გაემიჯნა და კონსტანტინეპოლის პატრიარქისგან საეკლესიო სამართლის გვერდის ავლით ე.წ. ავტოკეფალიის დამადასტურებელი ტომოსი მიიღო, — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სამხედრო ექსპერტმა ტრისტან წითელაშვილმა:***

— ფაშისტურ-ლიბერასტული ძალები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ერთნაირი სცენარით მოქმედებენ — **განსაკუთრებული სიშმაგით უპირისპირდებიან იმ ქვეყნების საზოგადოებებს, სადაც მართლმადიდებელი სარწმუნოება მყარად არის ფეხმოკიდებული:** საქართველოს, რუსეთს, იუგოსლავიას, სირიას... მსოფლიოს ახსოვს აღდგომის საზარელი ღამე, როდესაც 1999 წლის 24 მარტს ნატოს ავიაციამ საერთაშორისო სამართლის, გაეროს გვერდის ავლით დაიწყო იუგოსლავიის განადგურება. დაბომბვები 10 ივნისამდე გრძელდებოდა. აღდგომა დღეს, აპრილში, ჩამოყარეს ბომბები წარწერით — **„გილოცავთ აღდგომას!“** ამ დაბომბვებმა გამოიწვია იუგოსლავიის ინფრასტრუქტურის განადგურება, 1700 მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, შემდეგ კი შეიქმნა პრეცედენტი, როდესაც დასავლეთმა მხარი დაუჭირა სეპარატიზმს — სერბეთს გამოეყო კოსოვო, სადაც გაანადგურეს მრავალი სერბული მართლმადიდებლური ტაძარი და მონასტერი...

პირდაპირ გეუბნებით — ამ ლიბერასტ-ფაშისტებს აქვთ კონკრეტულად, დეტალებში გაწერილი გეგმა, მთელ მსოფლიოში როგორ მოაშთონ მართლმადიდებლობა, აღმოფხვრან მართლმადიდებლური ცხოვრების წესი, რადგან მათი უზნეო სისტემა ვერ აშენდება და ისინი ვერ გაბატონდებიან, ვიდრე პლანეტის მოსახლეობა ქრისტეს მიერ დათქმული ცხოვრების წესებით იცხოვრებს!

**— უპრიანია, გავიხსენოთ ამერიკის საგარეო პოლიტიკის წამყვანი იდეოლოგის, აწ გარდაცვლილი ზბიგნევ ბჟეზინსკის სიტყვები: „ჩვენ დავამარცხეთ კომუნიზმი, ახლა ჩვენი მთავარი მტერი არის მართლმადიდებლობა!“**

— ლიბერასტ-ფაშისტებმა სისხლის მდინარეები დაღვარეს მართლმადიდებელ ქვეყნებში, ხოლო ამჯერად მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან დაპირისპირების ეპიცენტრმა უკრაინაში გადაინაცვლა. **მსოფლიოს პატრიარქმა ბართლომეოსმა საეკლესიო სამართლის გვერდის ავლით მწვანე შუქი აუნთო უკრაინელი ფაშისტების საეკლესიო სეპარატიზმს და ბენდერელი ფაშისტების მხარდამჭერი სექტა „უკრაინულ მართლმადიდებელ“ ეკლესიად აღიარა.** მანამდე, უკრაინის ეკლესიებში უხვად შეაპარეს და გაამწესეს თავიანთი აგენტურული კლანის ცრუ მღვდელმსახურები. ნამდვილი მართლმადიდებელი მღვდელმსახურები ეკლესიებიდან გამოყარეს და განდევნეს, არაერთი საჯაროდ დახვრიტეს. ეკლესიები, რომლებმაც ბენდერელ ფაშისტებს დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს დახურეს და ნაწილი ფიზიკურად დაანგრიეს! აი, უკვე მაშინ გახდა ცხადი, რომ უკრაინაში ნამდვილი მართლმადიდებელი მოსახლეობის სისხლი დაიღვრებოდა და აგრესიამაც არ დააყოვნა — **2014 წლის ზამთარში დედაქალაქის ცენტრში, მაიდანზე, ცეცხლი გაუხსნეს საკუთარ მოქალაქეებს.**

***— ახლა უფრო შორს წავიდნენ და დაუპირისპირდნენ რუსულ კულტურას, რომელსაც ამ ომთან კავშირი არ გააჩნია...***

— ამ დღეებში ამაზრზენი კადრები ვიხილე: შლიან და ამსხვრევენ რუსი კლასიკოსების — პუშკინისა და გორკის ძეგლებს, სკოლებიდან დევნიან რუსულ ენას, ახდენენ ობიექტური ისტორიის გადაწერას, ანგრევენ იმ ტრადიციებს, რომლითაც მონათესავე უკრაინელმა და რუსმა ერებმა საუკუნეების განმავლობაში მხარდამხარ იარეს. ქმნიან რაღაც ახალ, უზნეო ცხოვრების წესის პლატფორმებს, რათა უკრაინა არამხოლოდ რუსეთთან, არამედ უფალთან კავშირსაც მოწყვიტონ.

***— საქართველოსთან ამ ყველაფერს როგორ აკავშირებთ?***

— მაიდნის მოვლენების სათავეში მოიაზრება **დიქტატორი მიხეილ სააკაშვილი და მის მიერ მართული ზონდერჯგუფები,** რომლებიც საქართველოში სისხლის ტბების დაყენების შემდეგ უშუალოდ მონაწილეობდნენ უკრაინაში მოწყობილ სასაკლაოში. ქართველმა სააკაშისტმა ზონდერებმა არნახული სადიზმით, წამებით დახოცეს უმწეო სამხედრო ტყვეები, რომელთა უსაფრთხოება საერთაშორისო კონვენციებით იყო დაცული. ამჟამად უკრაინელი ლიბერასტ-ფაშისტების ხროვა ქართველ ზონდერებთან ერთად უკვე ქართველებს ემუქრება, რადგან ჩვენმა ხელისუფლებამ ამ უაზრო ომში ჩაბმაზე უარი განაცხადა!

## მათი მიზანია, საქართველოშიც ისე გასწორდეს მიწასთან მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ეს უკრაინაში მოხდა.

თავიანთი რეზიდენტი ცრუ მღვდელმსახურებისა და მარიონეტი მედიის საშუალებით საქართველოს ეკლესიებშიც აწყობენ პროვოკაციებს, რადგან უფლის მიერ დადგენილი ცხოვრების ზნეობრივი წესისგან ამჯერად უკვე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყვეტა სურთ! ამ ბინძურ კამპანიაში მონაწილეობს დასავლეთის რეაქციული ძალების მარიონეტი არასამთავრობო სექტორიც. **ეს არის მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამოცხადებული გლობალური ომი, რაც ყველამ უნდა გავაცნობიეროთ! ლიბერასტი ფაშისტები საქართველოშიც და უკრაინაშიც ერთი და იგივე თაღლითური სქემით რომ მოქმედებენ, ამას მოწმობს მიხეილ სააკაშვილისა და იულია ტიმოშენკოს აბსოლუტურად მსგავსი საქციელი და მათ ირგვლივ**





**სტამბოლი, 2019 წლის 6 იანვარი:** მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლს, მიტროპოლიტ ეპიფანეს გადასცემს ტომოსს, რომლითაც უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია იქნა აღიარებული.

> **„უკრაინის უბედურება მაშინ დაიწყო, როდესაც დედაეკლესიას გაემიჯნა და კონსტანტინეპოლის პატრიარქისგან საეკლესიო სამართლის გვერდის ავლით ე.წ. ავტოკეფალიის დამადასტურებელი ტომოსი მიიღო!“**

## კვირგვინოსნები

**დეივიდ ლი**
სატელეკომუნიკაციო კომპანია „მაგთიის“ და საქართველოში ევროპული ბიზნესასოციაციის ყოფილი ხელმძღვანელი



**კუბილიუსი** ნაციონალური მოძრაობის ლობისტია და ნათელია, რომ მათი მიზნებისთვის მუშაობს. ისიც ნათელია, რომ არასამთავრობო სექტორი **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“** ლიდერობით „ქართულ ოცნებაზე“ **ავრცელებს ფეიკინფორმაციას** და მას აწვდის საერთაშორისო საზოგადოებრიობას ევროპაშიც და ამერიკაშიც მაშინ, როცა ქვეყანაში რეალურად არის წინსვლა და ამას ადასტურებს საერთაშორისო რეიტინგები.

**არ მინდა, ევროკავშირის ახალი ელჩი მოატყუონ ნაციონალური მოძრაობის ისეთმა ლობისტმა და ისეთმა კორუმპირებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, როგორიცაა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“. ევროკავშირში ინტეგრაციის ყველაზე დიდი ბარიერია ნაციონალური მოძრაობა, მათი ევროპარლამენტარი ლობისტები და კორუმპირებული არასამთავრობო ორგანიზაციები.**

„კვირის პალიტრა“

**ამირან სალუქვაძე**
ანალიტიკოსი



ნაციონალებმა სწორად ვერ გაიაზრეს, თუ რატომ უთხრა ქართველმა ხალხმა უარი 2012 წელს. 10 წელი ჰქონდათ 9-წლიანი ნამოქმედარის გასაანალიზებლად. სავარაუდოდ, მათი დასკვნა ასეთია — **ხალხს იმდენად კარგად ვერ გადაუარეს, რომ ხელისუფლების შენარჩუნება მოეხერხებინათ.** ამიტომაც შურის საძიებლად აპირებენ მოსვლას. **კეზერაშვილი** მარგინალია და მისი მთავარი ინტერესი ქართული სახელმწიფოს დაზარალებაა.

„კვირის პალიტრა“

**ლადო პაპავა**
აკადემიკოსი



რუსეთის **ალტერნატიული დერეფნის ამოქმედება,** რომელიც აზერბაიჯან-საქართველოზე გაივლის, აქტუალური ხდება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ჯო ბაიდენი**
აშშ-ის პრეზიდენტი



ნაკლებად სავარაუდოა, რომ **რაკეტა, რომელიც პოლონეთში ჩამოვარდა,** რუსეთიდან ყოფილიყო გასროლილი.

„ინტერპრესნიუსი“

# „რუსეთი ბირთვულ ომზეც წავა!“









ატეხილი კამპანია.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— გაიხსენეთ, როგორ მოისაწყლა და მოიავადმყოფა თავი უამრავი ეკონომიკური და სხვა დანაშაულის გამო დაპატიმრებულმა, უკრაინის „ნარინჯისფერი“, სინამდვილეში სისხლიანი რევოლუციის ერთ-ერთმა ლიდერმა **იულია ტიმოშენკომ,** რომელიც საკმაოდ ჯანმრთელი და მოკუნტრუშე ბრძანდებოდა, მაგრამ როგორც კი ციხეში აღმოჩნდა, უამრავი „დაავადება აღმოაჩნდა“ და ფარისევლურად, ინვალიდის სავარძელშიც წამოსკუპდა.

## ტიმოშენკოსავით იქცევა სააკაშვილი, რომელიც




## „ამას მოწმობს მიხეილ სააკაშვილისა და იულია ტიმოშენკოს აბსოლუტურად მსგავსი საქციელი და მათ ირგვლივ ატეხილი კამპანია!“










## ციხიდან თავის დაძვრენას უამრავი ავადმყოფობის თაღლითურად მომიზეზებით ცდილობს.

გარწმუნებთ, ანალოგიურად მოიქცევა ამ ძალების მარიონეტი, უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტი **ზელენსკი,** თუ გაუმართლა და ცოცხალი გადაურჩა პატრიოტ უკრაინელ მეომრებს, რომლებმაც რახანია, გაშიფრეს უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი მტრული ქმედებები. ზელენსკიმ ხომ ზუსტად იმგვარად დაანგრია უკრაინის სახელმწიფოებრიობა, როგორც ეს გააკეთა სააკაშვილმა!

## გარწმუნებთ – ზელენსკის უკრაინელმა ხალხმა უკვე გამოუტანა ობიექტური განაჩენი, რომლის აღსრულებამდე ძალიან ცოტა

## «ამ დღეებში ამაზრზენი კადრები ვიხილე:

**შლიან და ამსხვრევენ რუსი კლასიკოსების – პუშკინისა და გორკის ძეგლებს, სკოლებიდან დევნიან რუსულ ენას, ახდენენ ობიექტური ისტორიის გადაწერას, ანგრევენ იმ ტრადიციებს, რომლითაც მონათესავე უკრაინელმა და რუსმა ერებმა საუკუნეების განმავლობაში მხარდამხარ იარეს. ქმნიან რაღაც ახალ, უზნეო ცხოვრების წესის პლატფორმებს, რათა უკრაინა არამხოლოდ რუსეთთან, არამედ უფალთან კავშირსაც მოწყვიტონ!“**

## დრო არ დარჩენილი!

**— მაგრამ ამასობაში უკრაინის ფრონტზე რუსეთი უკან იხევს და ზელენსკი სამხედრო წარმატებებს აღწევს...**

— **არ დაიჯეროთ! ამ ომში რუსეთის დამარცხება გამორიცხულია!** ვინც ამას იჯერებს, რომ რუსეთი ამ ომში მარცხდება — უბრალოდ, რეალობას და ობიექტურ ინფორმაციებს მოწყვეტილია. ისე კი, რუსეთი რომც დამარცხდეს, ამით საქართველო არამც და არამც არ აღმოჩნდება უკეთეს მდგომარეობაში.

პლანეტის სახელმწიფოთა იმ ლიდერებმა, ვისაც ჯანსაღად აზროვნების მისხალი მაინც შერჩენია, კარგად იციან, რომ რუსეთი ამიერიდან აღარაფერს დათმობს და თუ მის სახელმწიფოებრიობას რეალური საფრთხე დაემუქრა, ბირთვულ ომზეც წავა! აი, სად სჭირდება არნახული სიფხიზლე საქართველოსთვის ჭეშმარიტად გულანთებულ თითოეულ ქართველს, რომელმაც საკუთარ გონებაში ავანტიურისტი სააკაშვილი და არამზადა ზელენსკი რახანია, პოლიტიკურად დაასაფლავა!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ლატარია**
*ექსპერტი*



რით ვერ შეიგნო მსოფლიომ, რომ **ჩვენ გვყავდა მანიაკები ხელისუფლებაში** და ამერიკა კი არა, მთელი სამყარო რომ დადგეს მათ გვერდით, **ისინი მაინც ვერ მობრუნდებიან!**

„იმედინიუსი“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



საერთაშორისო ექსპერტი შტატებში **უოლტერ რასულ მიდი** წერდა, რომ **სააკაშვილი ყველაზე ბოროტი მტერია,** რომელიც ოდესმე ჰყოლია ქვეყანას. **ლინკოლ მიტჩელი** თავის წერილში **სააკაშვილზე** ამბობდა, რომ მან თავისი მოქმედებით საქართველოს ნატოსკენ, ევროკავშირისკენ გზა ჩაუხერგა. იგი ასევე წერს: **ვინ აკეთებს პუტინის საქმეს? — რა თქმა უნდა, პირადად სააკაშვილი. დიახ, პუტინის პირადი აგენტიც კი ვერ გააკეთებს იმას, რაც სააკაშვილმა გააკეთა!**

„საერთო გაზეთი“

**ნინო ნანეიშვილი**
*ფსიქიატრი*



ომი იწვევს პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას. **რუსეთ-უკრაინის ომმა საქართველოს განუახლა ჭრილობები,** ამიტომ მზად უნდა ვიყოთ, რომ **გაიზრდება დეპრესია,** შფოთვის სხვადასხვა სახე.

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი ჩიქოვანი**
*პარლამენტარი*



მახინჯია ლოგიკა, როდესაც **ბიძინა ივანიშვილს** — საქართველოს თანამედროვე **ყველაზე დიდ ფილანტროპს,** მოჭარბებული გავლენების მქონე პირად — **ოლიგარქად წარმოაჩენ.**

„ინტერპრესნიუსი“

**მაია ბითაძე**
*გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე*



მოქალაქეებს ძალიან მობეზრდათ **გაკოტრებული პოლიტიკური პარტიების** მხრიდან იმის მოსმენა, რომ ვიღაც უნდა გამოვიდეს ქუჩაში, რათა ოპოზიცია მოვიდეს ხელისუფლებაში.

„TV იმედი“

# აუხდა თუ არა სააკაშვილს მურმან დუმბაძის წყევლა?



***მას შემდეგ, რაც კლინიკა „ვივამედში" წამოკოტრიალებულ სააკაშვილს ბიპოლარული აშლილობის, ანუ, ფაქტობრივად, სიგიჟის გარდა არცერთი სხვა დაავადება და, მათ შორის, არც ტუბერკულოზი არ დაუდასტურდა, გიული ალასანიას მეგობარმა გიორგი ჩალაძემ და მის გარშემო გაერთიანებულმა ჩოილარებმა ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ადგნენ და შალვა ხაჭაპურიძეს მორიგი ელვა-ცნობა გაავრცელებინეს — მესამე პრეზიდენტს მარცხენა ხელი ატროფირებული აქვსო!***

ქუთაისსა და წყალტუბოში, სადაც **შალვა ხაჭაპურიძე** დაიბადა და გაიზარდა, **ხელის ატროფიას „ხელის გახმობას"** ეძახიან... ასე უწოდებენ ამ საშიშ პროცესს აჭარაშიც. გავიხსენოთ, მაგალითად, **ცნობილი პუტჩისტისა და ეროვნული ხელისუფლების დაუძინებელი მტრის, ცხრა ღობეზე გადამხტარი მურმან დუმბაძის** ცნობილი შეხვედრა მოსახლეობასთან, როცა ის 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიული არჩევნების წინ აჭარაში ბათუმის მაჟორიტარად კენჭს იყრიდა და ხალხს „ქართული ოცნების" მხარდასაჭერად მიმართავდა. ეს შეხვედრა მაშინ „აჭარის ტელევიზიამ" გადაიღო, სადაც დუმბაძე ასეთ რამეს ამბობს:

***„თქვენ როცა მიხვალთ 1 ოქტომბერს საარჩევნო ყუთთან, იქ საარჩევნო მდივანი მოგაწოდებთ სპეციალურ ქაღალდს, რომელზეც ბევრი პოლიტიკური პარტია იქნება ჩამოწერილი და ჩემი სურვილია, რომ პირველი ნომერი წაიკითხოთ, მაგრამ ნაკლებად დაიმახსოვროთ! მეორე ნომერი წაიკითხოთ და ნაკლებად დაიმახსოვროთ! მესამე ნომერიც უნდა წაიკითხოთ და არ დაიმახსოვროთ! მეოთხე ნომერი, ალბათ, არ მიიღებს მონაწილეობას იმიტომ, რომ ბარიერის გადალახვის პრობლემა შეექმნა...*** *თუ მიხვალთ ხუთიანზე,* ***ხუთიანს რომ წაიკითხავთ,*** *გაგაკანკალოთ უნდა, გაგაკანკალოთ უნდა... იმიტომ, რომ ხუთიანთან დაკავშირებით სამედიცინო დასკვნაა გაკეთებული „აჭარის ტელევიზიის" განკარგულებით.* ***თუ ხუთიანს მოხაზავთ, პირდაპირ წერია სამედიცინო დასკვნაში...*** *ვინც ხუთიანს მოხაზავს* ***მარჯვენა ხელით, კიბო გაუჩნდება,*** *მარცხენა* ***ხელით მოხაზავს — ინფექცია გაუჩნდება!"***

აი, ასე ჭიკჭიკებდა მურმანი ამ ათი წლის წინათ და თუ მის ლოგიკას მივყვებით, სააკაშვილს მარცხენა ხელი, სავარაუდოდ, იმიტომ უხმება, რომ ინფექცია შეეჭრა, რადგან ხათუნა გოგორიშვილთან და მიშა მაჭავარიანთან ერთად „მოქკავშირისა" და ნაცმოძრაობის ბიულეტენებს, როგორც ჩანს, სულ მარცხენა ხელით ხაზავდა და აყალბებდა... **მაგრამ, თუ ჩაქვის „ოაზისში" სააკაშვილის ცნობილ სიანცეებს გავიხსენებთ, როცა ასლან აბაშიძემ ის „ხელმარჯვეობის" პროცესში გადაიღო, მაშინ ადვოკატ ხაჭაპურიძის დაცვის ობიექტს მარცხენა კი არა, წესით, მარჯვენა ხელი უნდა გახმობოდა!** თუმცა,

**რაკი შევარდნაძის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტებს, როგორც წესი, „მდიდარი სექსუალური გამოცდილება აქვთ", გამორიცხული არ არის, ციხეში თუ „ვივამედში" გამომწყვდეულმა აფერისტმა სააკაშვილმა ჩაქვის „ოაზისში" მარჯვენა ხელით დაწყებული საქმე**

**კლინიკა „ვივამედში" მარცხენა ხელით გააგრძელა, ანუ „მარჯვენა ხელის წესი", მარცხენა ხელის წესში" აურია!**

ეს ძალიან სახიფათო შეცდომაა და მოკლე ჩართვას იწვევს. ასე რომ, სააკაშვილი, რომელმაც „ვივამედში" მარჯვენა ხელს მარცხენა წააშველა, ბეწვზეა გადარჩენილი!

საქმე ის გახლავთ, რომ **„მარჯვენა ხელის წესი",** რომელსაც სააკაშვილის „დანიშნულებისამებრ" კი არა, მაგნიტურ ველში მოძრავ გამტარში ინდუქციური დენის მიმართულების განსასაზღვრავად იყენებენ, ფიზიკაში ცნობილი მოვლენაა. ამ წესის თანახმად, **თუ მარჯვენა ხელისგულს ისე მოვათავსებთ, რომ გადახრილი ცერის მიმართულება ემთხვეოდეს გამტარის მოძრაობის მიმართულებას, ხოლო მაგნიტური ველის ძალწირები ხელისგულში შედიოდნენ, მაშინ ინდუქციური დენის მიმართულება გამტარში თანხვდება გაშვერილი ოთხი თითის მიმართულებას!**

იმავე ფიზიკაში ასევე ცნობილია **„მარცხენა ხელის წესიც",** რომელსაც იყენებენ მაგნიტურ ველში მოთავსებულ დენიან გამტარზე მოქმედი მაგნიტური ძალის მიმართულების დასადგენად. ცნობარებში საგანგებოდ არის მითითებული, რომ ამ წესის თანახმად, **თუ „მარცხენა ხელისგულს ისე მოვათავსებთ, რომ გაშვერილი ოთხი თითის მიმართულება დენის მიმართულებას ემთხვეოდეს, ხოლო მაგნიტური ველის ძალწირები ხელისგულში შედიოდნენ, მაშინ დახრილი ცერის მიმართულება გვიჩვენებს გამტარზე მოქმედი ძალის მიმართულებას. მარცხენა ხელის წესის გამოყენებისას მაგნიტურ ველში მოძრავ ელექტრონზე ან უარყოფით იონზე მოქმედი ძალის განსაზღვრისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ელექტრონის მოძრაობის მიმართულება ელექტრული დენის საყოველთაოდ მიღებული პირობითი მიმართულების საწინააღმდეგოა!"**

მოკლედ, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ

**„ვივამედში" თუ „ვავამედში" გამოკეტილი სააკაშვილი ფიზიკას თავს აკლავს, „მარცხენა ხელის წესს" იზეპირებს და მარცხენა ხელიც იმიტომ უხმება, რის შესახებაც ადვოკატმა ხაჭაპურიძემ მთელ საქართველოს ტრაურით ამცნო!**

**ვურჩევთ სააკაშვილს, გადაირჩინოს მარცხენა ხელი, გაითვალისწინოს ის ამბავიც, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით შეშფოთებულ ნაცმოძრაობაში ამ ბოლო დროს ყველაფერი თავდაყირა დადგა და სასწრაფოდ გადაიმეოროს „მარჯვენა ხელის წესი", რომელსაც ის წლების წინათ სულ სხაპასხუპით პასუხობდა!**

***დიტო ჩუბინიძე***






**თუ ჩაქვის „ოაზისში" სააკაშვილის ცნობილ სიანცეებს გავიხსენებთ, როცა ასლან აბაშიძემ ის „ხელმარჯვეობის" პროცესში გადაიღო, მაშინ ადვოკატ ხაჭაპურიძის დაცვის ობიექტს მარცხენა კი არა, წესით, მარჯვენა ხელი უნდა გახმობოდა!**

## მარცხენა ხელის წესი

სტატია განხილვა

მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია

**მარცხენა ხელის წესი** — წესი რომელსაც იყენებენ მაგნიტურ ველში მოთავსებულ დენიან გამტარზე მოქმედი მაგნიტური ძალის მიმართულების დასადგენად.

ამ წესის თანახმად, თუ მარცხენა ხელისგულს ისე მოვათავსებთ რომ გაშვერილი ოთხი თითის მიმართულება ემთხვეოდეს დენის მიმართულებას, ხოლო მაგნიტური ველის ძალწირები ხელისგულში შედიოდნენ, მაშინ დახრილი ცერის მიმართულება გვიჩვენებს გამტარზე მოქმედი ძალის მიმართულებას. მარცხენა ხელის წესის გამოყენებისას მაგნიტურ ველში მოძრავ ელექტრონზე ან უარყოფით იონზე მოქმედი ძალის განსაზღვრისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ელექტრონის მოძრაობის მიმართულება ელექტრული დენის საყოველთაოდ მიღებული პირობითი მიმართულების საწინააღმდეგოა. მარცხენა ხელის წესი განსაზღვრავს ლორენცის ძალის მაგნიტური ძალის მიმართულებას.




მარცხენა ხელის წესი: I — გამტარში გამავალი დენის მიმართულება; B — მაგნიტური ველის ინდუქციის მიმართულება; F — ველის მხრივ გამტარზე მოქმედი ძალის მიმართულება.

## მარჯვენა ხელის წესი

სტატია განხილვა

მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია

**მარჯვენა ხელის წესი** — წესი, რომელსაც იყენებენ მაგნიტურ ველში მოძრავ გამტარში ინდუქციური დენის მიმართულების განსასაზღვრავად.

ამ წესის თანახმად, თუ მარჯვენა ხელისგულს ისე მოვათავსებთ, რომ გადახრილი ცერის მიმართულება ემთხვეოდეს გამტარის მოძრაობის მიმართულებას, ხოლო მაგნიტური ველის ძალწირები ხელისგულში შედიოდნენ, მაშინ ინდუქციური დენის მიმართულება გამტარში თანხვდება გაშვერილი ოთხი თითის მიმართულებას. მარჯვენა ხელის წესი ლენცის წესის შედეგია.




მარჯვენა ხელის წესი: V — გამტარის მოძრაობის სიჩქარის მიმართულება; B — მაგნიტური ველის ინდუქციის მიმართულება; Emf — გამტარში აღძრული ინდუქციური დენის მიმართულება

№38 (162) ★ 2022 წლის 21 ნოემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

# ისტორიას ცალი თვალით ნუ შეხედავთ!




***უკანასკნელ ხანს ხერსონიდან რუსეთის არმიის სტრატეგიულმა უკანდახევამ და პოლონეთის საზღვრისპირა სოფლის პშევოდუპის ფერმაში მომხდარმა აფეთქებამ, რომელმაც ორი კაცის სიცოცხლე შეიწირა, ბევრი დააფიქრა, ხოლო კიდევ უფრო მეტი აალაპარაკა.***

მთელი **ნატო** და ანგლოსაქსური პოლიტიკური ალიანსი, რომელსაც რუსეთის მიერ მრავალგზის ნაგვემი და სამჯერ დაშლილი და აწყობილი პოლონეთიც აჰყვა, ხელებს ასავსავებენ და გაიძახიან — **პოლონეთში ჩამოვარდნილი რაკეტა რუსული კი არა, უკრაინულია, ზელენსკიმ კარგად ვერ დაუმიზნაო!** სამაგიეროდ, უკრაინა და ზელენსკი თავს იკლავენ — **არა, ბატონო, ჩვენ არაფერი შეგვშლია, ნატოს წევრ პოლონეთს სწორედ რუსებმა სდრუზესო!**

მოკლედ, ამ საქმეზე გამოძიებაა დაწყებული, რომელსაც უკრაინელებს ცოცხალი თავით არ აკარებენ, რადგან წინდაწინ ისეთი განწყობაა შექმნილი, რომ **ამერიკასა და მის მოკავშირეებს პოლონეთში მომხდარ აფეთქებაში რუსეთის დადანაშაულება სიკვდილივით არ სურთ, რადგან, თუ ამ საქმეში რუსეთის ბრალი დამტკიცდა, მაშინ ნატომ ელემენტარულად თავისი ღირსება უნდა დაიცვას და რუსეთს ომი უნდა გამოუცხადოს!** წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაშინგტონმა უნდა აღიაროს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი არის დიდი ბუა, რომელიც სინამდვილეში რუსეთთან საომრად კი არა, საქართველოსა და ცოტა უფრო მსხვილი მასშტაბის ქვეყნების გასამათრახებლად და ზვიად გამსახურდიას ან მერაბ კოსტავას ხიბულაში ან ბორითში მოსაკლავად შეიქმნა, რათა რომელიმე მათგანი არ გაბრიყვდეს და იმპერიალისტების დასამიწებლად ეროვნული თავისუფლების დროშა არააფრიალოს!

**რაკი პოლონეთში მომხდარი აფეთქების შესახებ ამერიკაში „გამოძიების“ ანგარიში უკვე წინასწარ დაწერილია, ე.ი. „გამოძიებაც“ სწორედ ამ „ანგარიშის“ შესაბამისად წარიმართება.** ამით ორ რამეს გვეუბნებიან — **დიდი ომი არ იქნება და ისევე, როგორც 1962 წლის ოქტომბერში, „კარიბის კრიზისის“ დროს, პლანეტა ბირთვულ კატასტროფას კიდევ ერთხელ გადაურჩება** და მეორე — **ამერიკისთვის რუსეთთან საომრად იდეალურია არა თავისი, არამედ სხვისი, ამ შემთხვევაში უკრაინის, ხოლო პერსპექტივაში საქართველოსა და ცენტრალური აზიის ტერიტორია!**

ამერიკას ყველაფერი გათვლილი და გაანგარიშებული აქვს... ამერიკის შიდა უსაფრთხოების მდივანმა **ალიხანდრო მეიორკასმა** ესეც კი თქვა — **ევროპაში ბირთვული აფეთქების შემთხვევაშიც კი ამერიკის მოსახლეობაზე პირდაპირ ზიანს არ ველოდებიო!** მაგრამ რა დაემართება საქართველოს, ევროპასა და კავკასიას? ცხადია, ეს **პატივცემულ ალიხანდროს ალისტრახოსა თუ ელისტრაკოზე ჰკიდია,** რადგან 1945 წლის 16 ივლისიდან მოყოლებული, რაც ატომური ბომბი დედამიწაზე პირველმა გამოსცადა, შეერთებული შტატების საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა გადიოდა არა პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციაზე, არამედ **ჯორჯ კენანისეულ „შეკავებაზე“,** სახელმწიფო მდივან **ჯონ დალესისეულ „უკუგდებაზე“, „მასირებულ შურისგებასა“ და „მოქნილ რეაგირებაზე“,** რომელიც ნატომ 1967 წელს ახალ სტრატეგიულ დოქტრინად დაამტკიცა...

## დღევანდელობის უკეთ გაგებისათვის ★

თითოეული ეს გეგმა მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის დანგრევას და საჭიროების შემთხვევაში ბირთვული ბომბის ამოქმედებასაც კი, მაგრამ ამერიკამ ვერც შემდეგ და ვერც მანამდე, ვიდრე 1945-1949 წლებში ბირთვულ იარაღზე მონოპოლიას ფლობდა, საბჭოთა კავშირზე ატომური იერიშის მიტანა ვერ გაბედა. **არსებობდა ათასნაირი გეგმა 70 უდიდესი საბჭოთა ქალაქის, მათ შორის, თბილისის ატომური დაბომბვის შესახებ, მაგრამ ყველა ეს ქადილი ქადილად დარჩა, რადგან**

**უდიდესი ტერიტორია რუსეთს ყოველთვის აძლევდა იმის ფუფუნებას, დაეთმო სამი და ოთხი საფრანგეთისოდენა ტერიტორიაც კი და შემდეგ რუსული ყინვისა და კოშმარული უგზოობის პირობებში ქვეყნის სიღრმიდან წამოეწყო საშინელი პარტიზანული მოძრაობა და გამანადგურებელი კონტრშეტევა.**

**ხერსონი,** რომელიც ძველმა ბერძნებმა დააარსეს, რუსეთისთვის საკრალური მნიშვნელობის ქალაქია, რადგან კიევის **რუსეთის დიდი მთავარი ვლადიმერი,** რომელიც **იაროსლავ ბრძენის** მამა იყო, 988 წელს სწორედ ხერსონში გაქრისტიანდა. მთავარი იმავდროულად ბიზანტიის იმპერატორის **ბასილი მეორე ბულგართმმუსვრელის** დაზე, პრინცესა **ელენეზე** დაქორწინდა! ამდენად, ხერსონიდან რუსების უკანდახევა დაახლოებით იმას ნიშნავს, ქართველები მცხეთიდან რომ აიყარონ და იქაურობა მტერს დაუტოვონ, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ,

**ნიჭიერი მხედართმთავრების ხელში უზარმაზარი ტერიტორიული სივრცე რუსეთს ყოველთვის აძლევდა მანევრირებისა და გასაოცარი ლავირების საშუალებას. ასე მოხდა, მაგალითად, 1812 წლის სამამულო ომის დროს, როცა რუსეთში 600-ათასიანი არმიით ნაპოლეონი შეიჭრა.**

მაშინდელი რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი **მიხეილ ბარკლაი დე ტოლი,** რომელიც დასავლეთის პირველ და მეორე არმიებს ხელმძღვანელობდა, სწორედ **სტრატეგიული უკანდახევის** კურსს მისდევდა და **ნაპოლეონთან** გენერალურ ბრძოლას გაურბოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ ბონაპარტი აუცილებლად გაანადგურებდა, რუსეთს არმიის გარეშე დატოვებდა და მერე ამოდენა ქვეყანას რაც უნდოდა, იმას უზამდა. ბარკლაი დე ტოლმა **სტრატეგიული უკანდახევით** რუსეთს არმია გადაურჩინა, თუმცა, საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების შედეგად — აქაოდა, **ბარკლაი** ნაპოლეონს პირდაპირ მოსკოვისკენ მოუძღვებაო! — გადადგა და 1812 წლის 17 აგვისტოს თანამდებობა გენერალ **მიხეილ კუტუზოვს** გადააბარა!

**კუტუზოვს,** რომელიც გამოცდილი მხედართმთავარი გახლდათ და კარგად ხვდებოდა, რომ **ბარკლაი დე ტოლის სტრატეგიული უკანდახევა** ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო, არავითარი კორექტივი ბარკლაის გეგმაში არ შეუტანია. პირიქით, მას ეყო ჭკუაც და გამბედაობაც, გაეგრძელებინა წინამორბედის კურსი, თუმცა, 1812 წლის 26 აგვისტოს მაინც იძულებული გახდა, ბოროდინოსთან ნაპოლეონის წინააღმდეგ ეომა, რაც ქვეყნისთვის კინაღამ საბედისწერო გადაწყვეტილებად იქცა და რუსეთი იძულებული გახდა, ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ მოსკოვი დაეტოვებინა!

**როცა ცალთვალა ფელდმარშალს მოსკოვის დატოვების გამო უსაყვედურეს, კუტუზოვმა კრიტიკოსებს ასეთი პასუხი გასცა — მოსკოვის დაკარგვით რუსეთი არ დაიღუპება, მაგრამ არმიის დაკარგვით, მოსკოვიც დაიღუპება და ქვეყანაცო!** საგულისხმოა, რომ იმავე მოსკოვის დაკარგვას ქართული სამეფო ოჯახის წარმომადგენელი, **მეფე ვახტანგ მეექვსის** ძმის იესეს შვილთაშვილი — **ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი** სულ სხვა ემოციით შეხვდა. როცა ბოროდინოს ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი გენერალი მამიდასთან სოფელ სიმაში გადაიყვანეს, მან უკანასკნელი წერილი გაუგზავნა უახლოეს მეგობარს **გრაფ როსტოპჩინს — „მშვიდობით პატივცემულო მეგობარო! მე მოვკვდები არა ჭრილობით, არამედ მოსკოვით!“**

ცალთვალა **კუტუზოვის** სიტყვები სულ მალე ახდა — **1812 წლის 7 ოქტომბერს ნაპოლეონი დაცარიელებული და გადამწვარი მოსკოვიდან გაიქცა და რუსეთი გადარჩა!**

რაც შეეხება **პეტრე ბაგრატიონს,** მისი სიტყვებიც ასრულდა და მოსკოვის ჩაბარებიდან სულ რაღაც ხუთ დღეში ინფანტერიის გენერალი მოკვდა. ამ დროს მისი ულამაზესი, მაგრამ მეძავი მეუღლე **ეკატერინა სკავრონსკაია** ვენის ელიტურ ბორდელებში ყირაზე გადადიოდა და როგორც რუსეთის, ისე რუსეთისთვის დაღუპული ქართველი ბაგრატიონის ბედი გამჭვირვალე საწმერთულის მაქმანზე ეკიდა!

**რა მიიღო რუსეთისგან პეტრე ბაგრატიონმა სანაცვლოდ? არაფერი — ნაგვით ავსებული და აფეთქებული საფლავი!**

ასე იყო თუ ისე, 1812 წლის დეკემბრის მიწურულს ნაპოლეონის ექვსთვიანი კამპანია სრული კრახით დასრულდა. **იმპერატორი, რომელმაც 24 ივნისს მდინარე ნემანი 600-ათასიანი არმიით გადალახა და რუსეთში შეიჭრა, სწორედ ცალთვალა კუტუზოვის სწორმა ტაქტიკამ აიძულა, 30 ათასი გაძვალტყავებული, გაუ-**

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*

# რა დგას რუსების სტრატეგიული უკანდახევის უკან?

## დღევანდელობის უკეთ გაგებისათვის ★

*დასაწყისი პირველ გვერდზე*




# ისტორიას ცალი თვალით ნუ შევხედავთ!

## რა დგას რუსების სტრატეგიული უკან-დახევის უკან?

**ბედურებული და კანიბალებად ქცეული ჯარისკაცით ქვეყნიდან გაქცეულიყო.**

დიდი სამამულო ომის დროს იმავე ხერხს მიმართა **სტალინმაც...** ბელადმა მარჯვედ ისარგებლა ჰიტლერის საბედისწერო შეცდომით, როცა 1941 წლის 19 ივლისს ფიურერმა სმოლენსკში შესული არმადა უკან, სამხრეთისკენ, შემოატრიალა და უკრაინისა და კიევის ასაღებად დაიძრა. **ჰიტლერი იმედოვნებდა, რომ კიევის, როგორც „რუსული ქალაქების დედის“, დაცემა კრემლს ხერხემალში გადატეხდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა... მართალია, 19 სექტემბერს გერმანელებმა კიევი აიღეს, მაგრამ სტალინი დანებებას მაინც არ აპირებდა. გამძვინვარებულმა ჰიტლერმა ცეცხლი და სიკვდილი დაატეხა თავს საბჭოთა ქვეყანას — 1941 წლის ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში ფაშისტებმა დაიკავეს კარელიის ნაწილი, ბალტიისპირეთი, ლენინგრადის ოლქი, ბელორუსია, რუსეთის ფედერაციის დასავლეთი ნაწილის მრავალი ოლქი, უკრაინის უდიდესი ნაწილი, თითქმის მთელი ყირიმი. ალყა შემოარტყეს ლენინგრადს და მოსკოვსა და როსტოვს მიადგნენ.** საბჭოთა კავშირმა დაკარგა უმნიშვნელოვანესი რაიონები, სადაც მოსახლეობის 40 პროცენტი ცხოვრობდა და სადაც აწარმოებდნენ თუჯის 68 პროცენტს, ფოლადის 58 პროცენტს, ალუმინის 60 პროცენტს და მოჰყავდათ ხორბლის 38 პროცენტი. უფრო მეტიც, **1941 წლის 15-16 ოქტომბერს მოსკოვში პანიკა იყო და მოსახლეობა დედაქალაქს ტოვებდა, ხოლო ახალგაზრდა მოსკოველი ქალბატონები სილამაზის სალონებთან ცოცხალ რიგში იდგნენ და თავს იწესრიგებდნენ, რათა მეორე დღეს ქალაქში შემოსულ გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს სექსუალურად მომსახურებოდნენ და ამ გზით თავი გადაერჩინათ.** აი, ასეთ ჯოჯოხეთსა და უბედურებაში ქვეყანამ იპოვა შინაგანი რესურსი და შეძლო ფაშიზმის დამარცხება. რუსეთს ჰქონდა ფუფუნება, მთელი მთავრობა მოსკოვიდან კუიბიშევში გადაეყვანა, ხოლო ციმბირის უსიერ ტყეებში, მოსკოვიდან ათასეული კილომეტრის მოშორებით, აეშენებინა საიდუმლო ქალაქები და თავშესაფრები. **რუსეთის უზარმაზარმა სივრცემ სტალინს საშუალება მისცა, სატანკო, საავიაციო, საავტომობილო და იარაღის ქარხნები საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან ციმბირში გადაეტანა და ფრონტი იქიდან მოემარაგებინა.** ფილიგრანული სიზუსტით წარმოებული დიპლომატიითა და ომიდან იაპონიის გამოთიშვით **სტალინმა** ციმბირიდან ათეულობით დივიზია გადმოისროლა და 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში, როცა მოსკოვის ბედი წყდებოდა, მტერს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა.

**აი, ამ სასწაულებს სჩადიოდა და ამ გეოგრაფიული სიკეთეებით ოსტატურად სარგებლობდა ის რუსეთი, რომლის არმიებსაც ბრძოლებში სახელმოხვეჭილი ცალთვალა ფელდმარშალი კუტუზოვი, ინფანტერიის გენერალი, ბოროდინოს გმირი პეტრე ბაგრატიონი და გენერალისიმუსი სტალინი ხელმძღვანელობდნენ.**

დღეს რუსეთს ამის ფუფუნება არა აქვს! დღეს რუსის გენერლების 99 პროცენტი კორუმპირებულია, ხოლო ჯარს „დედოვშჩინა“ ღრღნის... და მაინც, ნებისმიერ შემთხვევაში, ისტორიას ცალი თვალით არ უნდა შევხედოთ და სულ უნდა გვახსოვდეს, რომ **ცალთვალა კუტუზოვმა მოსკოვი დატოვა, რათა ნაპოლეონი თამაშგარე მდგომარეობაში დაეტოვებინა!**

რამდენად შეძლებს დღევანდელი რუსეთი ცალთვალა კუტუზოვის სტრატეგიის გაგრძელებას, არავინ უწყის!

**თუმცა, გვახსოვდეს, რომ ისტორია პირველად მეორდება, როგორც ფარსი და მეორედ, როგორც ტრაგედია...**

დღევანდელი რუსეთი, უკრაინა და დანარჩენი მსოფლიო სწორედ საშინელი ტრაგედიის ზღურბლთან დგანან!

*დიტო ჩუბინიძე*




# «ვასილი

## სვიმონ მასხარაშვილი:

# ნაძირალა ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ ვასილი სტალინს ლოთის იმიჯი შეუქმნეს!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ბელადის უმცროსი ვაჟის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ვასილი სტალინის ტრაგიკულ ცხოვრებას იხსენებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნიკიტა ხრუშჩოვთან ვასილი სტალინის ურთიერთობა თავიდან ბოლომდე კუნცევოში მომხდარმა ინციდენტმა განსაზღვრა:***

— არსებობს ძალიან სერიოზული ეჭვი იმის შესახებ, რომ სტალინი თავის უმცროს ვაჟს **ვასილის,** რომელიც 1962 წლის 19 მარტს ყაზანში ხრუშჩოვის აგენტებმა, დიდი ალბათობით, მოწამლეს და მოკლეს, შესაძლოა, თავის მემკვიდრედ ამზადებდა. ამ ეჭვს ხმამაღლა არ გამოთქვამენ, მაგრამ სამეცნიერო წრეებში ამ მიმართულებით გარკვეული მინიშნებები მაინც ისმის... **რომ არა მეოთხე ინსულტი, რომელიც კაცმა არ იცის, რისგან იყო გამოწვეული, სტალინი, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს იცოცხლებდა და, ალბათ, ვასილის დაღვინებასაც მოესწრებოდა, რომ საყვარელი ვაჟიშვილი მემკვიდრედ დაესახელებინა.** მაგრამ, სამწუხაროდ, მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა და სტალინის მკვლელობის შემდეგ ვასილის ბედი ტრაგიკულად წარიმართა!

**— ბატონო სვიმონ, თქვენც დარწმუნებული ხართ, რომ სტალინი მოკლეს?**

— ფაქტია, რომ 1952-1953 წლის ზამთარში სტალინი იდეალურად გამოიყურებოდა და ჯანმრთელობის მხრივ მას არავითარი პრობლემა არ ჰქონდა. სტალინის მეოთხე ინსულტი, რომელიც, 1953 წლის 28 თებერვლისა და 1 მარტის ღამეს დადგა, ბელადს, დიდი ალბათობით, ხელოვნური ჩარევის შედეგად განუვითარდა.

3 მარტს, მთელი 48-საათიანი იზოლაციის შემდეგ, როცა სტალინს, ფაქტობრივად, არავინ გააკარეს და გაიძახოდნენ — ბელადს სძინავსო! — **კუნცევოს აგარაკზე მივიდა ვასილი სტალინი, რომელმაც იქვე მყოფ ნიკიტა ხრუშჩოვს, მალენკოვსა და დანარჩენ საბჭოთა ლიდერებს დედა შეაგინა და შესძახა — „მამა მომიკალით, არა?!“** აი, ამ სიტყვებმა, ფაქტობრივად, განსაზღვრა ბელადის ვაჟის ტრაგიკული ბედი და ნიკიტა ხრუშჩოვთან ვასილი სტალინის ურთიერთობა კუნცევოში მომხდარ ინციდენტზე გადიოდა!

**— რას გულისხმობთ?**

— **ნიკიტა ხრუშჩოვი** ვასილი სტალინისგან საჯაროდ ითხოვდა იმის აღიარებასა და ბოდიშს, რომ სტალინის სიკვდილი ხრუშჩოვისა და მისი გარემოცვის ბრალი არ იყო და ბელადი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა! ვასილი ამ აღიარებას არ თანხმდებოდა, რასაც შეეწირა მისი კარიერა, თავისუფლება და პირადი ცხოვრება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ვასილი სტალინი** იყო უნიჭიერესი და ძალიან მამაცი ახალგაზრდა. მისი ესკადრილია ბომბავდა ბერლინს და ამ დაბომბვაში პირადად მონაწილეობდა ახალგაზრდა სტალინი, როგორც მფრინავ-გამანადგურებელი, რომელიც შტურვალთან იჯდა. სხვათაშორის, ცნობილი ფაქტია, რომ **ვასილი სტალინი** ლეგენდარულ ქართველ მფრინავ **ესტატე ტატანაშვილთან** ერთად, შეცვლილი გვარით, სტალინგრადის ცაზეც იბრძოდა და ფაშისტებს შიშის ზარს სცემდა.

შეუძლებელია, შვილის ეს თვისებები სტალინს არ მოსწონებოდა. გარდა სიმამაცისა, ვასილის აღმოაჩნდა მენეჯერის ბრწყინვალე უნარებიც. მის მიერ შექმნილი საფეხბურთო გუნდი **„ვვს“** და ასევე ჰოკეის გუნდი, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. უნიკალური სპორტსმენი **ვსევოლოდ ბობროვი,** რომელიც ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ხოლო ჰოკეიში — მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სწორედ ვასილი სტალინის აღმოჩენილია!

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტალინს თავისი შვილებისთვის ხელი არასოდეს დაუფარებია. **იაკობ ჯუღაშვილი** ომში უფროსი ლეიტენანტის ჩინით დაიღუპა, ხოლო 1946 წლის აპრილში **ვასილის** ავიაციის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება დიდი დაგვიანებით მიენიჭა. სტალინი უმცროსი ვაჟიშვილისთვის გენერლის ჩინის მიცემას განგებ აჭიანურებდა. უფრო მეტიც, **ვასილი სტალინს** ისეთი ოპერაციები აქვს ჩატარებული, ჯერ კიდევ ომის მსვლელობისას იმსახურებდა როგორც გენერლობას, ისე საბჭოთა კავშირის გმირის წოდებას, მაგრამ ბელადი ამ ყველაფერს განგებ ბლოკავდა. როცა სტალინს უკვე გენერლებმა და სახელოვანმა მარშლებმა შეჰბედეს და უთხრეს — **ვასილი ტყუილუბრალოდ იჩაგრება და გენერლობის ღირსიაო!** — სტალინი მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა უმცროსი ვაჟიშვილის კარიერულ წინსვლას.

**— ფაქტია, რომ ვასილი სტალინს ბევრი მოძულეც ჰყავდა, მათ შორის, საბჭოთა კავშირის შორეული ავიაციის მთავარი მარშალი ალექსანდ-**






ნიკიტა ხრუშჩოვი შვილთან – ლეონიდთან ერთად

# სტალინი თავისმა სიმართლემ დაღუპა!»

**რე გოლოვანოვი და 1944 წლის 21 თებერვლიდან — საბჭოთა კავშირის ავიაციის მთავარი მარშალი ალექსანდრე ნოვიკოვი! რა იყო ამ მტრობის მთავარი მიზეზი?**

— **ნაძირალა ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ** ვასილი სტალინს ლოთის იმიჯი შეუქმნეს! ვიღაცები დღესაც წერენ და უცერემონიოდ ჯღაბნიან, თითქოს **ვასილი სტალინი** ლოთი იყო. არადა, არასებობს საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის **ვიტალი პოპკოვის** მოგონებები ვასილი სტალინზე, სადაც ეს დიდი ადამიანი პირდაპირ წერს, რომ ვასილი სვამდა იმდენს, რამდენსაც ყველა საბჭოთა მფრინავი! შეუძლებელი იყო, გაგანია ომის დროს და ისიც რუსეთში სამხედრო მფრინავს არ დაელია. **ვიტალი პოპკოვი** ვასილი სტალინის უახლოესი მეგობარი იყო. ის 2010 წელს 87 წლის ასაკში გარდაიცვალა და ვიდრე პირში სული ედგა, ყაყაჩოებით და ყვავილებით ხელში ერთგული და საყვარელი მეგობრის საფლავზე დადიოდა.

რაც შეეხება მარშალ **ალექსანდრე გოლოვანოვს,** საქვეყნოდ ცნობილია, რომ სტალინს გოლოვანოვი უყვარდა და, შესაბამისად, გოლოვანოვიც ბელადს აღმერთებდა, მაგრამ მარშალი თავის მოგონებებში წერს, რომ ვასილი სტალინი „მზაკვარი" ადამიანი იყო! ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, რაშიც ვასილის ბრალი არ მიუძღოდა. ცნობისათვის, სტალინის დროს „ავიაციის მთავარი მარშლის" წოდება საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების ტოლი იყო, ხოლო „ავიაციის მარშალი" ქვეით ჯარებში „არმიის გენერლის" სამხედრო წოდებას უდრიდა. მოხდა ასეთი რამ: ომის შემდეგ ავიაციის მთავარი მარშალი **ალექსანდრე ნოვიკოვი,** რომელსაც შორეული ავიაციის მთავარ მარშალ **ალექსანდრე გოლოვანოვთან** კოლეგიალური დამოკიდებულება ჰქონდა, დააპატიმრეს. სტალინმა ის არ დახვრიტა, თუმცა, დახვრეტას აშკარად იმსახურებდა... გოლოვანოვი დაპატიმრებას გადაურჩა, თუმცა, 1949-1950 წლებში სტალინმა ის დააქვეითა...

**— რა იყო ამ ყველაფრის მიზეზი?**

— ამის მიზეზი გახლდათ **ვასილი სტალინის** აუდიენცია მამასთან და ბელადისთვის დოკუმენტებისა და ფაქტების წარდგენა იმის თაობაზე, თუ რა იყო მიზეზი საბჭოთა სამხედრო ავიაციაში კოლოსალური მსხვერპლისა და დანაკარგებისა. მართლაც, ომის დროს საბჭოთა ავიაციას კატასტროფული დანაკარგი ჰქონდა — იღუპებოდნენ როგორც უმამაცესი საბჭოთა მფრინავები, რომელთა მომზადებასაც ჯარის სხვა სახეობის მებრძოლებთან შედარებით ბევრად დიდი დრო სჭირდებოდა, ასევე უმოწყალოდ ნადგურდებოდა ძვირადღირებული საბჭოთა თვითმფრინავები, რომელთა დამზადებაც სახელმწიფოს სისხლის ფასი უჯდებოდა!

**— ეს შედეგი, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ ფაშისტების თვითმფრინავები რუსებისას სჯობდა და 1944 წლის ბოლომდე ჰაერში გერმანელები ბატონობდნენ?**

— კი, ბატონო, ეს მთავარი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო, მაგრამ ვასილი სტალინმა მამას უთხრა, რომ საუკეთესო საბჭოთა ავიაკონსტრუქტორების — **იაკოვლევის, ტუპოლევის, ილიუშინის, გურევიჩ-მიქოიანის, სუხოვისა და ბერიაშვილის** მიერ შექმნილი ბრწყინვალე პროექტები, რომლებიც გერმანელი ავიაკონსტრუქტორების პროექტებს არაფრით ჩამოუვარდებოდა, ქარხნულ წარმოებაში შესაბამის ასახვას ვერ პოულობდნენ და **საბჭოთა საავიაციო ქარხნები დიდი რაოდენობით დეფექტურ პროდუქციას აწარმოებდნენ.** ცხადია, ეს ყველაფერი აისახებოდა იმ კოლოსალურ დანაკარგებში, რაც მფრინავებისა და თვითმფრინავების სახით ქვეყანამ განიცადა. მონაცემები და ფაქტები იმდენად შემაძრწუნებელი იყო, რომ საბჭოთა საავიაციო მრეწველობის მინისტრი **ალექსეი შახურინი,** რომელიც ომის დროს ნამდვილ ვარსკვლავად იქცა, 1946 წლის მაისში „ავიატორების საქმეზე" დააპატიმრეს და შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს! მართალია, სტალინის გარდაცვალებისთანავე **შახურინი** უმალ გაათავისუფლეს და მისი სრული რეაბილიტაციაც მოახდინეს, მაგრამ ფაქტია, რომ ბელადთან ვასილის აუდიენციას დიდი წმენდა და ცვლილებები მოჰყვა...

**— მაინც რა მასშტაბებს აღწევდა ქარხნული წუნით გამოშვებული საბჭოთა თვითმფრინავების რაოდენობა?**

— პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საუკეთესო საბჭოთა ავიაკონსტრუქტორების მიერ დაპროექტებული თვითმფრინავების დაახლოებით 80 პროცენტს ქარხნული წუნი ჰქონდა! ასეთი უხარისხო თვითმფრინავების ჩამოგდება და დაღუპვა ფაშისტური ლუფტვაფეს ანგარიშზე იწერებოდა, არადა, სინამდვილეში ყველაფერი **მინისტრ შახურინის, გიორგი მალენკოვის,** მთავარი მარშლის **ნოვიკოვისა** და მთავარი მარშლის **გოლოვანოვის** უყურადღებობისა და სამსახურებრივი გულგრილობის ბრალი იყო. ამ საქმეში ყველაზე ცუდი ის გახლდათ, რომ **გოლოვანოვის, შახურინისა და ნოვიკოვის** გარდა, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ **მალენკოვი,** რომელიც ავიაციას კურირებდა და ასევე **ანასტას მიქოიანის ძმა არტემ მიქოიანი,** რომელიც ცნობილი ავიაკონსტრუქტორი იყო! საქმეს კიდევ უფრო ართულებდა იმის გამოძიება, თუ სად მოხდა ამ ქარხნული წუნის დაფიქსირება — საავიაციო ქარხნის ევაკუაციამდე, ევაკუაციის შემდეგ თუ ა.შ.

**— სინამდვილეში რა მოხდა?**

— **ხრუშჩოვის** მიერ შექმნილმა კომისიამ „დაადგინა", რომ შეცდომებისა და ქარხნული წუნის მთავარი მიზეზი იყო სიჩქარე, რაც განპირობებული გახლდათ საავიაციო ქარხნების სასწრაფო ევაკუაციით! თუმცა, დღევანდელი კვლევებით დასტურდება, რომ საქმე ნამდვილად გვქონდა კრიმინალთან და **შახურინი, ნოვიკოვი** და ნაწილობრივ **გოლოვანოვიც,** რომლებიც იღებდნენ ორდენებს, მედლებსა და აურაცხელ პრემიებს, სინამდვილეში თვალს ხუჭავდნენ და ხმას არ იღებდნენ იმ კატასტროფულ დარღვევებზე, რომელიც მერე ბრძოლის ველზე დაღუპულ მფრინავებად და განადგურებულ ტექნიკად გვიჯდებოდა. არადა, **ვასილი სტალინის** მსგავსად, მთავარი მარშალი **ალექსანდრე გოლოვანოვიც** ძალიან მამაცი კაცი იყო, პირადად იჯდა შტურვალთან და ბომბავდა გერმანელების პოზიციებს! ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, **ვასილი სტალინი** გოლოვანოვის თვალში ამიტომაც გახდა „მზაკვარი"... მარშალი პირდაპირ წერს — **ვასილიმ ეს ყველაფერი აგვიგორაო!** არაფერი მას არ აუგორებია, ვასილიმ მამას უზუსტესი ინფორმაცია მიაწოდა და მოკვლევამ მისი სიმართლე დაადასტურა. მოკლედ, ამ ყველაფერს მოჰყვა დიდი ამბები და **შახურინზე, ნოვიკოვსა და გოლოვანოვზე** რომ არაფერი ვთქვათ, მთელი სამი წლის განმავლობაში, 1946-1949 წლებში, ბელადმა **გიორგი მალენკოვი** მოიძულა და, ფაქტობრივად, თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა. **ანდრეი ჟდანოვის** გარდაცვალების შემდეგ გახდა მალენკოვის ფიგურა ისევ აქტუალური, თორემ დიდი იყო იმის ალბათობა, რომ **მალენკოვი** სტალინს პოლიტბიუროდანაც გაეგდო და ცეკადანაც.

**— როგორ აისახა ყოველივე ზემოხსენებული ვასილი სტალინის ბედზე?**

— ვასილი სტალინი თავისმა სიმართლემ დაღუპა! მას შემდეგ, რაც მან მამას საბჭოთა ავიაციაში განვითარებული დრამატული მოვლენების შესახებ ვრცელი და დოკუმენტური ინფორმაცია მიაწოდა, **ვასილის მტრად მოეკიდნენ მალენკოვი, მიქოიანი, გოლოვანოვი, ნოვიკოვი, მთელი უმაღლესი სარდლობა და რაც ყველაზე მთავარია, ხრუშჩოვიც!**

**— ხრუშჩოვი რატომ?**

— ნიკიტა ხრუშჩოვის ვაჟის — **ლეონიდის** ასავალ-დასავალი, რომელიც მფრინავი იყო, დღემდე გაურკვეველია. ფაქტია, რომ სტალინმა ხრუშჩოვი დაინდო და შვილის ღალატი აპატია, რასაც ბელადი არავის პატიობდა... მოგეხსენებათ, **ლეონიდ ხრუშჩოვის** შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ცნობები არსებობს... ერთი ვერსიით, ის რაღაც დანაშაულისთვის სადისციპლინო ბატალიონში გაუშვეს, საიდანაც გაიქცა და გერმანელების მხარეს გადავიდა. მეორე ვერსიით, გაქცეული **ლეონიდ ხრუშჩოვი** საბჭოთა სპეცსამსახურებმა მოიტაცეს და დახვრიტეს. სხვა ვერსიით, ის მტერს ჩაბარდა და ა.შ. ფაქტია, რომ **ლეონიდ ხრუშჩოვმა** ომის დროს ჩაიდინა ისეთი რაღაც, რაც ღალატის ტოლფასი იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, **ნიკიტა ხრუშჩოვი** თავისი შვილის გვარსა და სახელს გააფეტიშებდა და მსოფლიოს მხსნელად შერაცხდა, მაგრამ ნიკიტამ ლეონიდ ხრუშჩოვის შესახებ ყველა ინფორმაცია გააქრო, მოსპო და მიჩქმალა. აი, ამ ფონზე ნიკიტა ხრუშჩოვს, ანუ **მოღალატე ლეონიდ ხრუშჩოვის მამას,** ბელადის უმამაცესი, უნიჭიერესი და უსაყვარლესი შვილის **ვასილი სტალინის** შურდა!

**— ცნობილია, რომ 1952 წლის ივლისში ბელადსა და ვასილი სტალინს შორის უთანხმოება მოხდა! რა იყო ამის მიზეზი?**

— ამის მიზეზი ის იყო, რომ 1952 წლის 1 მაისს, ნისლიან დღეს, **ვასილის** ავიატორებმა მოსკოვში, წითელ მოედანზე, ბრწყინვალე შოუ მოაწყვეს და ცაში თვითმფრინავებით Сталин გამოსახეს. ამ ყველაფერში, როგორც მფრინავი, პირადად მონაწილეობდა **ვასილი სტალინიც,** მაგრამ მოხდა ტრაგედია — განგებ თუ შეცდომით, რადგან ნისლი იყო და ხედვა ჭირდა, მფრინავებს თვითმფრინავების დასმის დროს არასწორი კოორდინატები უკარნახეს, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ ორი გამანადგურებელი — **„ილ-28"** აფეთქდა. მომხდარის გამო 1952 წლის ივლისში ტუშინოს აეროდრომზე გამართულ საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების ზეიმზე **ვასილი სტალინმა** ავიაციის მთავარ მარშალ **პაველ ჟიგარევს** სახალხოდ დედა აგინა, რის შემდეგაც სამთავრობო ბანკეტზე ნასვამი მივიდა. ამის გამო ვასილი სტალინი ბელადმა ბანკეტიდან გამოაძევა, ჩამოაქვეითა და ვოროშილოვის სახელობის სამხედრო აკადემიაში სასწავლებლად გაგზავნა. ამ ინციდენტის შემდეგ ბელადი შვილს ხშირად ეუბნებოდა, რომ სინამდვილეში **„სტალინი"** მათი გვარი არ იყო, მაგრამ **„სტალინი" იყო იდეა,** რომელსაც გაფრთხილება სჭირდებოდა!

**— ამის შესახებ სად წერია?**

— ამას **ვასილი სტალინი** წერს მემუარებში, რომელიც ამ ბოლო ხანს ჩინეთში გამოიცა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

ისტორიკოსის თვალით



იოსებ სტალინი შვილთან – ვასილისთან ერთად

## „ბელადი შვილს ხშირად ეუბნებოდა, რომ სინამდვილეში „სტალინი" მათი გვარი არ იყო, მაგრამ „სტალინი" იყო იდეა, რომელსაც გაფრთხილება სჭირდებოდა!"

## „ვსევოლოდ ბობროვი, რომელიც ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ხოლო ჰოკეიში – მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სწორედ ვასილი სტალინის აღმოჩენილია!"



ვსევოლოდ ბობროვი

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## გამიგონია, რომ გამოთქმა „მეხუთე კოლონა", რომელიც საკუთარ რიგებში ღალატს აღნიშნავს, ესპანეთში 30-იანი წლების სამოქალაქო ომის დროს წარმოიშვა. გთხოვთ, დაწვრილებით გვიამბოთ, რატომ დაიწყო ეს ომი და როგორ მიმდინარეობდა იგი?






1931 წლის აპრილში ესპანეთში ბურბონების მონარქია დაემხო. ქვეყნის სათავეში **ლარგო კაბალიეროს** რესპუბლიკური მთავრობა მივიდა, მაგრამ მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო. ამით ისარგებლა **გენერალმა ფრანკომ** და რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო. 1936 წლის ივლისში მას აქტიურად დაუჭირეს მხარი ნაცისტურმა გერმანიამ და ფაშისტურმა იტალიამ. მათ ესპანეთში თავიანთი ექსპედიციური რაზმები გადასხეს. საბჭოთა მთავრობა, ბუნებრივია, რესპუბლიკური ხელისუფლების მხარეს იყო, მაგრამ რეგულარული ნაწილები ესპანეთში არ გაუგზავნია, იარაღით, ტექნიკით, სამხედრო მრჩევლებით და ე. წ. მოხალისეებით დაკმაყოფილდა. **ესპანეთის საქმეებში სამი დიდი სახელმწიფოს ჩარევის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო დაძაბული და მწვავე გახდა. ეს სამოქალაქო ომი, ფაქტობრივად, მეორე მსოფლიო ომის უვერტიურად იქცა.** საბჭოთა „მოხალისეების" გარდა ესპანეთში რესპუბლიკელთა მხარეს ევროპის და ამერიკის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ, კერძოდ, ამ ომის აქტიური მონაწილეები იყვნენ მწერლები **ერნესტ ჰემინგუეი და ჯორჯ ორუელი.**

ესპანეთში ომი 1939 წელს რესპუბლიკელთა დამარცხებით და **ფრანკოს** დიქტატორული რეჟიმის დამყარებით დასრულდა. ეს გასაკვირი არც არის, რადგან, თუ **ფრანკოს** მხარეს 20 ათასი გერმანელი და 50 ათასი იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი იბრძოდა, საბჭოთა დახმარება 2 ათასი მრჩევლით და „მოხალისით" შემოიფარგლა.

რაც შეეხება გამოთქმა **„მეხუთე კოლონას"**, იგი მართლაც ესპანეთში წარმოიშვა სამოქალაქო ომის დროს. მისი ავტორი **ფრანკოს** ერთ-ერთი გენერალი **კლეიპო დე ლიანოა.** ესპანეთის დედაქალაქზე ლაშქრობის წინ მან თავის ჯარისკაცებს განუცხადა: **„ჩვენი ოთხი კოლონა მადრიდისკენ მიემართება, მეხუთე კი პირდაპირ ქალაქში დაგვხვდება!"**

უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთის ომში გამარჯვებამ **ჰიტლერს და მუსოლინის** ცუდი სამსახური გაუწია, რადგან ისინი ბოლშევიზმის სისუსტეში დაარწმუნა და მსოფლიო ომის დაწყებისაკენ უბიძგა. **გენერალი ფრანკო** მათზე გამჭრიახი და ფრთხილი აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, **ჰიტლერისა და მუსოლინის** დაჟინების მიუხედავად, მან ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და ამით რეჟიმი შეინარჩუნა.

## როგორ გახდა სტალინი ცკ-ის გენერალური მდივანი? სადღაც წამიკითხავს, რომ ამ დაწინაურების ინიციატივა სტალინის მომავალი მტრების – ზინოვიევისა და კამენევისაგან მოდიოდა, ტროცკის წინააღმდეგ იყო მიმართული და ლენინის ნების გვერდის ავლით განხორციელდა!


ლევ კამენევი


გრიგორი ზინოვიევი

სტალინი ცკ სკპ (ბ)-ის გენერალურ მდივნად აირჩიეს 1922 წლის 3 აპრილს ცკ-ის პლენუმზე, რომელსაც **ლენინი** ესწრებოდა და **კამენევი** თავმჯდომარეობდა. სტალინის კანდიდატურა მართლაც მან წამოაყენა და იგი ერთხმად გაიარა (მხოლოდ ტროცკიმ შეიკავა თავი). მრავალი წლის შემდეგ წიგნში „სტალინი" **ტროცკი** წერდა: **„ზინოვიევ-კამენევის ინიციატივის გარეშე სტალინი გენმდივანი ვერ გახდებოდა. მათ ის ჩემთან საბრძოლველად დააწინაურეს. ლენინმა კი სტალინთან დაკავშირებით მაშინ ისტორიული ფრაზა წარმოთქვა: „არ გირჩევთ. ეს მზარეული ცხარე კერძებს მოამზადებს." მაგრამ ზინოვიევის კურსმა გაიმარჯვა, მითუმეტეს, რომ ლენინი ბრძოლაში არ ჩაბმულა. მაშინდელ პირობებში ხომ მდივნის პოსტს, ფაქტობრივად, ტექნიკური მნიშვნელობა ჰქონდა."**

**ტროცკის** ამ ნააზრევში ერთადერთი სიმართლეა — იმ დროს მის წინააღმდეგ მართლაც გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა, რომელშიც **სტალინი, ზინოვიევი და კამენევი** (ლენინის უჩუმარი მხარდაჭერით) ერთ ბლოკად გამოდიოდნენ. რაც შეეხება ლენინის „ცნობილ" ფრაზას **„ცხარე კერძების დამამზადებელ მზარეულზე"**, იგი არსად არის დაფიქსირებული, თავად **ტროცკის** თხზულებების გარდა. მეტიც გეტყვით, **სტალინის არჩევის ინიციატივა პირადად ლენინისაგან მოდიოდა.** სამდივნო წევრთა სიაში, რომელიც პლენუმის წინა დღეს შედგა, სტალინის გვარის გასწვრივ ლენინის ხელით არის მიწერილი — **გენერალური მდივანი.** **კამენევმა** პლენუმზე უბრალოდ წაიკითხა ეს სია. როგორც ჩანს, **ლენინი** ზინოვიევზე და კამენევზე არანაკლებ იყო დაინტერესებული სტალინის მიერ ამ პოსტის დაკავებით. მართლაც, იგი ხომ ესწრებოდა პლენუმს, რამ შეუშალა ხელი **სტალინის** კანდიდატურის წინააღმდეგ გამოსულიყო? **„ბრძოლაში არჩაბმული ლენინი"**, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ გამოიყურება. რაც შეეხება გენმდივნის პოსტის „ტექნიკურ მნიშვნელობას", თავად ლენინმა მოგვიანებით განაცხადა, რომ სტალინმა **„ხელში უზარმაზარ ძალაუფლებას მოუყარა თავი."**

გავა დრო და **ტროცკისთან** ბრძოლა ხსენებული ტრიუმვირატის სრული გამარჯვებით დასრულდება. **სტალინის მზარდი გავლენით შეშინებული ლენინი გენმდივნის პოსტიდან მის გადაყენებას მოითხოვს. ამავე მიზეზით ზინოვიევი და კამენევი 1926 წელს თავიანთი მტრის — ტროცკის ბანაკში გადაინაცვლებენ.**



## სვეტლანა ალილუევას წიგნში „ოცი წერილი მეგობარს" წავიკითხე, რომ ნიკოლაი ბუხარინი სტალინის უახლოესი მეგობარი იყო, ხანგრძლივად ცხოვრობდა მათთან აგარაკზე თუ კრემლის ბინაში და სტალინის შვილებს – სვეტლანასა და ვასილის სიგიჟემდე უყვარდათ. რით ავხსნათ, რომ ისინი ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ და როგორ აღმართა ხელი სტალინმა მეგობარზე, თითქმის ოჯახის წევრზე?



დასაწყისში სტალინის ორ ციტატას შეგახსენებთ. მწერალ **დემიან ბედნის** იგი წერს: **„ნივთების ლოგიკა უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანური ზრახვების ლოგიკა." მაქსიმ გორკისადმი** წერილში კი ვკითხულობთ: **„რევოლუცია არ დასტირის და არ მარხავს თავის მიცვალებულებს."** სწორედ „ნივთების", ანუ გარემოებათა ლოგიკამ მიიყვანა **ბუხარინი** სტალინის მტრების ბანაკში. ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის, როდესაც ახლობელი ადამიანები ბარიკადის საპირისპირო მხარეს აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. **რობესპიერი და დემულენი** ბავშვობიდან მეგობრობდნენ, მაგრამ ჩამოჰკრა ჟამმა და რობესპიერმა აუღელვებლად გაგზავნა გილიოტინაზე საუკეთესო მეგობარიც და მისი მეუღლე **ლუსიც.** ისტორია მეორდება.

**ნიკოლაი ბუხარინი** (პარტიის უხუცესი წევრი, ლენინის უახლოესი თანამებრძოლი) ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო სტალინის ახლო მეგობარი და თანამოსაგრე, მასთან ერთად ებრძოდა **ტროცკის, ზინოვიევს** და სხვა ოპოზიციონერებს. მაგრამ 20-იანი წლების ბოლოს **ბუხარინმა** სტალინის მიერ გატარებული როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ დაიწყო გამოსვლა. იგი მწვავედ აკრიტიკებდა განკულაკებას, ინდუსტრიალიზაციას, ბრალს სდებდა სტალინს გლეხობის „სამხედრო-ფეოდალურ ექსპლუატაციაში" და ა. შ. **რიკოვთან, ტომსკისთან და სხვებთან** ერთად **ბუხარინმა** ახალი ოპოზიცია ჩამოაყალიბა და ტროცკისტებთანაც დაამყარა კავშირი.

როგორც ჩანს, სტალინს არ სურდა მეგობრის სიკვდილი. 1936 წლის თებერვალში მან **ბუხარინი** მივლინებით გააგზავნა პარიზში მარქსის ხელნაწერების შესასყიდად. სტალინის ჟესტი ფრიად გამჭვირვალე გახლდათ — **ბუხარინს საშუალება ეძლეოდა, ემიგრაციაში დარჩენილიყო. მაგრამ იგი, თავისდა საუბედუროდ, რუსეთში დაბრუნდა.** მეტიც, საზღვარგარეთ ყოფნისას პირადი კონტაქტი დაამყარა სტალინის მტრებთან. ამას შედეგად მოჰყვა 1937 წლის თებერვალში მისი დაპატიმრება, ერთწლიანი გამოძიება და 1938 წლის მარტში — დახვრეტა. **მოლოტოვის** მოწმობით, სტალინის პირად სეიფში ციხიდან გადმოცემული ბუხარინის ბარათი ინახებოდა: **„კობა, რაში დაგჭირდა ჩემი სიცოცხლე?"**









გენერალისიმუსი
2022 წლის 21 ნოემბერი. № 38 (162)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალი" საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

*გავიხსენოთ სცენა ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲘᲡ კინოშედევრიდან „ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔᲑᲐ“ — ტანჩია პერსონაჟი, სახელად ᲔᲠᲐᲡᲮᲔ ᲪᲔᲠᲔᲪᲝ ვარლამ არავიძის კუბოსთან დგას და მიცვალებულის განსადიდებელ ტექსტს კითხულობს, რომელშიც ასეთი სიტყვებია: „ᲑᲐᲢᲝᲜ ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲣᲜᲐᲠᲘ, ᲛᲢᲔᲠᲘ ᲛᲝᲧᲕᲠᲐᲓ ᲔᲥᲪᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ — ᲛᲢᲠᲐᲓ“.*

# ზელენსკისეულ უკრაინასთან მეგობრობა ძლიერ საშიშია!





## რა საერთო აქვს ზელენსკის ხელისუფლებას ვარლამ არავიძესთან?

ღვთის პირიდან გადავარდნილი **ვარლამ არავიძისა არ იყოს,** ამ საოცარი უნარით უკრაინის დღევანდელი ხელისუფლებაც გახლავთ დაჯილდოებული.

უფრო სწორად, მტრის მოყვრად გადაქცევისა რა მოგახსენოთ, მაგრამ **ზელენსკის ხელისუფლებას მოყვრის მტრად გადაქცევა ნამდვილად კარგად გამოსდის.**

თუნდაც მარტო საქართველოს მაგალითი ავიღოთ!

**საქართველოს პარლამენტი მთელ მსოფლიოში პირველი იყო, რომელმაც საგანგებო რეზოლუციით დაგმო უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია!**

იმის შემდეგ **საქართველოს ხელისუფლებას არ დაუტოვებია არცერთი საერთაშორისო პლატფორმა, სადაც უკრაინას ღია მხარდაჭერა არ გამოუცხადა და ხელი არ მოაწერა ან სულაც ინიციატორად არ დაუდგა ყველა რეზოლუციას, რომელშიც რუსეთი აგრესორად იყო გამოცხადებული!**

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **საქართველომ უკრაინაში ომის დაწყების პირველივე დღიდანვე ფართოდ გაუხსნა კარი უკრაინიდან გამოქცეულ ლტოლვილებს, ხოლო ომის ქარცეცხლში დარჩენილი უკრაინელების დასახმარებლად ათეულობით ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა!**

მოკლედ, ქართულმა სახელმწიფომ უკრაინის დასახმარებლად გააკეთა ყველაფერი, რაც მის ძალებს არ აღემატებოდა და რასაც მეგობარი გასაჭირში მყოფი მეგობრისათვის გააკეთებდა!

**და რა მიიღო საქართველომ უკრაინის ხელისუფლებისაგან ამ მეგობრობის პასუხად**?

**ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** უმადურობა!

**ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** შეურაცხყოფა!

**ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** თითის ქნევა!

**ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** არახამია-არესტოვიჩ-პოდოლიაკების მიერ ყურიდან ენის გამოყოფა!

**ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** სანქციების დაწესება ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის წევრებისათვის!

**ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** მხარდაჭერის გამოცხადება სახელმწიფო გადატრიალების მოსურნე ნაცრადიკალებისათვის!

**ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** ქართული მართლმსაჯულების მიერ ბრალდებული და ძებნილი ლორთქიფანიძის დანიშვნა უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ!

**ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** ქართული მართლმსაჯულების მიერ გასამართლებული ადეიშვილის დანიშვნა უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩევლად!

**ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** მოწოდებები — მეორე ფრონტი გახსენით და რუსები აიძულეთ, უკრაინელების ხოცვიდან ქართველების ხოცვაზე გადაერთონო!

პირდაპირ რომ ვთქვათ, **ქართულ მეგობრობაზე უკრაინული პასუხი იყო მტრობა!**

თუმცა, **ზელენსკის ხელისუფლების ვარლამ არავიძისეული უნარი — მოყვარე მტრად იქციოს, არამხოლოდ საქართველოსთან, არამედ უკვე პოლონეთთან მიმართებაშიც გამომჟღავნდა!**

ის კი არა, პოლონეთთან მიმართებაში უკრაინის ხელისუფლება კიდევ უფრო შორს წავიდა!

ჰო, **თუ ზელენსკი და მისი ბიჭბუჭობა საქართველოს ვერბალურად და პოლიტიკურად ბომბავენ, პოლონეთს მთლად რაკეტები დაუშინეს!**

აი, ოფიციალური ინფორმაცია:

*2022 წლის 15 ნოემბერს პოლონეთში, უკრაინის საზღვრიდან დაახლოებით 7 კილომეტრში მდებარე სოფელ პრჟევოდოვში, რაკეტა აფეთქდა, რასაც 2 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დაწყებულია გამოძიება, თუ ვინ ისროლა რაკეტა ნატოს წევრი პოლონეთის მიმართულებით, თუმცა, უკვე არსებობს წინასწარი დასკვნა, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე აფეთქებული რაკეტა უკრაინის ანტისაჰაერო სისტემის კუთვნილება იყო. მაგალითად,* ***სააგენტო „როიტერსის“ ინფორმაციით,*** *რომელიც ნატოსთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ წყაროს ეყრდნობა, ამერიკის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა „დიდი შვიდეულისა“ და ნატოს პარტნიორებს უთხრა, რომ პოლონეთში აფეთქება უკრაინის საჰაერო თავდაცვის სისტემის რაკეტამ გამოიწვია.* ***ინდონეზიაში „დიდი ოცეულის“ სამიტზე მყოფმა ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲛᲐ ჟურნალისტებს საჯაროდაც განუცხადა*** *— ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოლონეთს რაკეტა რუსეთმა ესროლაო!* ***ნატოს გენერალური მდივნის ᲘᲔᲜᲡ ᲡᲢᲝᲚᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡᲐ და პოლონეთის პრეზიდენტის ᲐᲜᲓᲟᲔᲘ ᲓᲣᲓᲐᲡ განცხადებითაც,*** *პოლონეთის ტერიტორიაზე რაკეტის აფეთქება უკრაინის საჰაერო თავდაცვას უკავშირდება, თუმცა, პასუხისმგებლობა მაინც რუსეთს უნდა დაეკისროს, რადგან სწორედ ის აწარმოებს ომს უკრაინაში.*

**ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ზელენსკის ხელისუფლებამ რაკეტა ესროლა და ორი მშვიდობიანი მოქალაქე მოუკლა თავის მეგობარ პოლონეთს, რომელიც უკრაინის თავგადაკლული დამცველი და მხარდამჭერია!**

სიმართლე გითხრათ, მთლად დარწმუნებულიც არა ვართ, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე რაკეტის აფეთქება უკრაინული მხარის უნებლიე შეცდომა და უბედური შემთხვევაა, რადგან საქართველოსთან მიმართებაში უკრაინის ხელისუფლების ყველა საქციელი ერთ რამეს ამტკიცებს: **არახამია-არესტოვიჩ-პოდოლიაკების ბანდა ყველანაირ სიბინძურესა და პროვოკაციაზეა ხელის მომწერი!**

დიახ, ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ ზელენსკის უკრაინამ მეგობარ პოლონეთს რაკეტა სრულიად გამიზნულად ესროლა, რათა ეს რუსეთს დაბრალებოდა და ნატოს წევრი პოლონეთი პირდაპირ გამხდარიყო სამხედრო კონფლიქტის მხარე!

და თუ ნატოს წევრი პოლონეთი რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში შევიდოდა, ეს ავტომატურად გამოიწვევდა ნატოს მეხუთე მუხლის — კოლექტიური თავდაცვის ამოქმედებას, ანუ ომს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და რუსეთის ფედერაციას შორის!

**ეს კი, მოგეხსენებათ, მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს!**

უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებული ავანტიურისტები პოლონეთს ვერასოდეს გაუბედავენ იმის თქმას, რასაც საქართველოს უბედავენ — **ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲝᲪᲕᲘᲡ ᲑᲐᲠᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲝᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲔᲡᲝ!**

სამაგიეროდ, **უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებული ავანტიურისტები თავისუფლად არიან წამსვლელი იმაზე, რომ პოლონეთს მეორე ფრონტის გახსნისაკენ ვირეშმაკური მეთოდებით უბიძგონ!**

მოკლედ, ზელენსკის ხელისუფლება ნაკლებად ჰგავს ცნობილი ფრანგულ-ბრიტანული კინოკომედიის „დიდი გასეირნების“ პერსონაჟს — **ᲔᲚᲐᲛ ᲛᲔᲢᲧᲕᲘᲐᲛᲤᲠᲥᲕᲔᲕᲔᲡ,** რომელსაც მიზანი აერევა და მტრის ვერტმფრენის მაგივრად თავისიანების ვერტმფრენს ჩამოაგდებს!

ზელენსკის ხელისუფლებას უფრო შეგნებული პროვოკატორისა და გაიძვერას სახე აქვს!

**ზელენსკისეულ უკრაინასთან მეგობრობა ძლიერ საშიშია!**

**ზელენსკის უკრაინას აქვს საოცარი უნარი, მოყვარეს მტრად ექცეს!**

***ᲯᲐᲑᲐ ᲮᲣᲑᲣᲐ***

## კვირგვინოსნები

**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲔᲕᲘ**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



პოლონურ ფერმაზე სავარაუდოდ, უკრაინის „სარაკეტო დარტყმის“ ინციდენტი ერთ რამეს ამტკიცებს: **რუსეთის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის გაჩაღებით დასავლეთი მსოფლიო ომს უახლოვდება.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲒᲘᲐ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ**
*ანალიტიკოსი*



უმორჩილესად ვთხოვ ხელისუფლებას — **დროზე უშველეთ განათლების სისტემას,** თორემ ის მაღალი რეიტინგები, რასაც სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციები გვაძლევენ, ოხრად დაგვრჩება.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*პოლიტიკური ორგანიზაციის „ერის“ თავმჯდომარე*



ნაციონალური მოძრაობა **მედასავლეთე არასდროს ყოფილა.** ზუსტად ვიცი, რომ აშშ-ში მცხოვრებმა ქართველებმა, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის მომხრეები იყვნენ, პოზიცია შეიცვალეს. **ისინი პარტიას განუდგნენ.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილე*



არსებობს გამოთქმა: **„ნუ დაანგრევ სისტემას, თუ არ გაქვს ახალი რეცეპტი!“** ახალი რეცეპტი ოპოზიციურ ველზე არ არსებობს და ხალხმა არარსებულზე რატომ გააკეთოს აქცენტი, როცა **შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინს.**

„ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲜᲘᲣᲡᲘ“

***ხაბეს წიგნი ბავშვობიდან არ უყვარდა, ვერა და ვერ აუღო ალღო მოთხრობებსა და ლექსებს, საშინაო დავალებად რომ აძლევდნენ და მერე სკოლაში დაკითხვას უწყობდნენ. ყველაზე მეტად მაინც საზეპიროები სძაგდა და ეზიზღებოდა, მითუფრო „ვეფხისტყაოსანი", მოუნიშნავდნენ ხოლმე, აქედან აქამდეო და მორჩა, ტვინი უნდა ეჭყლიტა. ერთხანობა სცადა, განა არ სცადა? ძალიანაც მოიწადინა კიდევაც, მაგრამ რად გინდა? მის თავში არაფერი შევიდა.***



# ხაბე

კლასის დამრიგებელმა შეატყო, რომ ყმაწვილი გონზე არ იყო, ბოლო მერხზე გადასვა და თვეში ერთხელ თუ ჰკითხავდა რამეს ზრდილობის გულისთვის. ის ხვნეშით წამოიზლაზნებოდა, თავს ჩაჰქინდრავდა და მერხზე ერთ წერტილს დააშტერდებოდა. თუ სიჩუმე ცოტა დიდხანს გასტანდა, საულვაშეზე ცივ ოფლს დაასხამდა, ჩვენი წინაპრები ეგეთ რამეს ჭირის ოფლს ეძახდნენ.

როგორც იქნა, დაამთავრებინეს, ატესტატში „დამაკმაყოფილებლები" ჩაუწერეს და მოიშორეს, მასწავლებლებმაც დაისვენეს და სკოლამაც ამოისუნთქა. რაც მთავარია, თვითონ ეწია საწადელს — აღარც გასაზეპირებელსა სთხოვდნენ, აღარც საწერ-დასაზუთხს. გაუმარჯოს თავისუფლებასო — შესძახა ჩახრინწული ხმით და მას შემდეგ ლაქლაქად იქცა. ეხლა უმაღლესიც უნდა დავამთავროო, პოლიტიკას ვუმიზნებ, პარლამენტში მოხვედრა დავისახე მიზნადო... ვინც მისი მიზნების თაობაზე გაიგო, ყველამ იცინა, როგორ და რანაირადო? ერთმა ახლობელმა ურჩია — აკადემიაში ჩააბარე, აკადემიკოსი გამოხვალ, მე ჩაგიწყობო. მაგ აკადემიას მცირე რომ ჰქვია, მაინც აკადემიკოსი გამოვალო? რა თქმა უნდა, გამოხვალო. ეგეც ძლივს ჩაამთავრა, დიპლომში „ბიზნესის მართვა" ჩაუწერეს. არავის უთქვამს — წიგნი წაიკითხეო, პირიქით, ზოგიერთი ლექტორი ურჩევდა — ბიზნესის მართვას ბევრი წიგნების კითხვა არ უყვარს, ხელს უშლისო.

უმაღლესში სიარულისას უნებურად ჩამოუყალიბდა ცხოვრებისეული კრედო: „მუშაობამ ვირი მოკლა, სწავლამ კიდე — ლენინი". არც მუშაობა უნდოდა, არც სწავლა, მხოლოდ პოლიტიკოსობისკენ ილტვოდა და მიაღწია კიდევაც — ჯერ დედაქალაქის საკრებულოში მოახვედრეს, შემდეგ — ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. როგორ? როგორ და ჩვეულებრივად: **იმდენი ილაქლაქა, იმდენი იჯღნავლა, იმდენი ირბინა, ყოველივე მონდომებასა და ნიჭში ჩაუთვალეს და სიაში ჩაწერეს.** ჰო, იმან ჩაწერა, მიხეილ სააკაშვილმა, ერთ დროს უკრაინიდან რომ მიჰყავდა პარტიაში „პარადი", მაშინ ჯერ ტუსაღი არ იყო.

ამ გარემოებამ გააშლევინა ფრთები ხაბეს, მისთვის დიდ სტიმულად იქცა და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარსავე თავში ისე განმაღლდა, ერთხანობა პარტიის თავმჯდომარეობაც კი მოუნდა. **რაც მართალია, მართალია, ბედი სწყალობდა — პოლიტიკურ სივრცეებს უწიგნოდ, ყოველგვარი ჭკუა-გონების გარეშე იპყრობდა.** აგერ, გუშინ თუ გუშინწინ იყო, იმან დაურეკა სადღაციდან, 2008 წლის აგვისტოში უცებ რომ გამდიდრდა და 2012-ში საქართველოდან გაიპარა. მანამდე კალოშებით დადიოდა, არჩევნებამდე სააკაშვილის პლაკატებს დაარბენინებდა, კედლებზე აკრავდა, შარვალ-ხალათი და ხელები დღენიადაგ წებოში ჰქონდა ამოსვრილი. ახლა ეგრე აღარ არი, ფული ადედაშვილა, უფრო მეტი იშოვა და ხელისუფლებაში მოსვლის სურვილიც გაუჩნდა.

**— ალიო, ხაბე, კეზერა ვარ, ბიჭო!** — გაისმა ტელეფონში დინჯი ხმა.

**— ჰო, რას შვრები, რავა ხარ?** — წამოდგა ფეხზე ხაბე.

**— რავა უნდა ვიყო, სამშობლოში ვერ ჩამოვდივარ, შენა და... ბრძოლის ხასიათზე ხარ?**

**— ავაჰმეეეეე... მე მაგას უნდა მეკითხებოდე? მე თუ არა, აბა, ვინ არი ბრძოლის ხასიათზე? გინდა, ხვალ დილითვე მთები გადავდგა და მერე ისევ გადმოვდგა? ჰა, გინდა? მითხარი, რომელი მთა გადავდგა, კავკასიონი თუ ჯომოლუნგმა?!** — ამოიქოქა ხაბე.

**— ჰოოო, მაიცა, მთები კი არა, ბიძინა უნდა გადადგა!** — შეაწყვეტინა კეზერამ.

**— გადავდგამ, რა პრობლემაა? მაგის ნათესავებსაც გადავდგამ, პარტიასაც!**

**— აგაშენა ღმერთმა, ძმები ვართ!**

**— მე რამე მითქვამს და არ შემისრულებია? ხო იცი, როგორი პრინციპული და პატიოსანი ვარ? აი, დღემდე ვარკეთილში ვცხოვრობ და საავიაციო ქარხნის გამოშვებული კარმითა ვთბები!** — ამოიხვნეშა ხაბემ, როგორც ნამეტნავად პატიოსნებმა იციან ხოლმე.



**— სახლი იქნება, კარიც იქნება, ჭერიც, შარვალ-კასტუმიც, ჰალსტუხიც, პალტოც, მეტი რა გინდა?** — შემოჰკრა ტაში კეზერამ.

**— კიდე მინდა ისა... ახალი ფლოსტები, სახტუნაო თოკი, ლაკის ტუფლები და სიგარა, შეიძლება კიდე მომინდეს რაღაცები, მერე გეტყვი,** — მოიჩლიქა ენა ხაბემ, გეგონება, ბავშვობაში გადასახლდაო, ცხვირში თითის შეყოფაც კი მოუნდა.



**— ეგ ყველაფერი იქნება, ხელფასსაც დაგინიშნავ, ოღონდ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე უნდა გახდე, პარტიის სადავეები ხელში უნდა აიღო, ნიკანორ მელიას გადააყენებ და მის მომხრეებსაც ზედ მიაყოლებ, გასაგებია?!** — გასცა ბრძანება კეზერამ.

ხაბეს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, კისრის მალებში დაიწყო და ნეკა თითებში გავიდა. პარტიის თავმჯდომარე უნდა გახდეო? მერე, ამაზე არ ოცნებობდა მთელი სიჭაბუკე? აჰა, ესეც აუსრულდა უწიგნოდ და უყველაფროდ, პოლიტიკაში მწვერვალების დასაპყრობად თუ მხოლოდ კახა კალაძისა და ბიძინა ივანიშვილის გინება იყო საკმარისი, არც კი იცოდა. **უცებ თავისი კლასის დამრიგებელი გაახსენდა — შენგან არაფერი გამოვაო, ყოველი კვირის ბოლოს რომ ჩასძახოდა... აჰა, ნეტავ ეხლა რაღას იტყვის? რამდენიმე დღეში გამოვა ტელევიზორში თანაპარტიელებთან ერთად, მისი დაწინაურების ამბავს მთელი რესპუბლიკა გაიგებს. თუმცა, მანამდეც გაიგებენ, ამ ცელქ ჟურნალისტებს რა გამოეპარებათ? თავიდან უნდა იუაროს, ხელები გაასავსავოს, მერე კი უცებ დაჰკრას. აი, ამაშია პოლიტიკის მუღამი.** უცებ იქით მოუნდა გადარეკვა, რაღაც ისეთი გაახსენდა, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად ჩათვალა, საულვაშე ჭირის ოფლით დაეცვარა, სკოლაში რომ დაეცვარებოდა ხოლმე, ისევ ეგრე.

**— ალიო, დავით, ერთი რაღაცა გამახსენდა, გითხრა?**

**— ჰო, მითხარი, მა რა უნდა ჰქმნა?**

**— ბიჭო, დაცვა მჭირდება.**

**— რის დაცვა?**

**— ჩემი თავის დაცვა... ხო იცი, ძაან მნიშვნელოვანი ფიგურა რო ვიქნები, ბიძინას უშიშროება დევნას დამიწყებს. ისედაც იძახიან, ბიძინას ყელში ჰყავხარ გაჩხერილიო და რავი, თავს არავინ დამესხას,** — მოისაწყლა თავი ხაბემ.

**— ორი კაცი გეყოფა?**

**— ვააა... მეყოფა კი არა, მეტიც არი, მე ერთსა ვფიქრობდი!**

**— ბიჭო, ყველაფერი გავიგე, მაგრამ ეს სახტუნაო თოკი რად გინდა?** — ჩაეკითხა კეზერა.

**— ეეე... არ იცი, ტოოო? ტანს აყენებს!**

**— რას აყენებს?**

**— ტანსა-მეთქი, ტანსა, სხვა რამეში არ შეგეშალოს, უნდა ვიხტუნაო, ტანკლი-ტუნკლი-ტანკლები და რამე.**

**— ჰოოო... მივხვდი, დანარჩენში ვანო მერაბიშვილი გაგათვითცნობიერებს.**

**— ჰა, ვანო? მერე, მიშა?**

**— მიშა უნდა დავიკიდოთ, წავიდა მაგისი დრო, ეხლა შენი დროა!**

**— მართლა, ტო? შენც ეგრე ფიქრობ?**

**— კიდე ვინ ფიქრობს?**

**— რავი, აგე, დათო კირკიტაძემ მითხრა გუშინ, ასაფრენად მოემზადე, მწვერვალზე უნდა ახვიდეო... ბოტკოველმა კიდე, პრეზიდენტად გამზადებთ, ამ ქვეყანას შენ თუ უშველიო. გამოგიტყდები, ძალიან ძნელი ყოფილა პოპულარობა, გეგონება, მხრებზე მთელი ქვეყანა მაწევს, მაგრამ ეს სასიამოვნო სიმძიმეა.**

**— ვიცი, ეგ მომენტი გამომიცდია,** — ჩაილაპარაკა კეზერამ და ტელეფონი გათიშა.

ხაბემ გაცვეთილ სახტუნაო თოკს ზიზღით დახედა, ზედა ტუჩი აიტმუკნა, ეგეთი აღარ მეკადრებაო. მიხვდა, მის ცხოვრებაში ახალ ფლოსტებთან ერთად ახალი ერა იწყებოდა. **ხაბეს თვალწინ დაუდგა, როგორ ავიდოდა მთაწმინდაზე, როგორ დაადგამდნენ თავზე დაფნის გვირგვინს, როგორ დაეშვებოდა „ჩეროკი" ოქროყანა, როგორ ჩამოსრიალდებოდა სოლოლაკში, როგორ წალეკავდა ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციას და ჩაიტანდა თავისუფლების მოედნის ხევხუვებში.** სიამოვნებისგან მორიგჯერ გააჟრიალა, შემდეგ კი თვალწინ კინოფირივით გაურბინა, უფრო მაღალ მწვერვალებს რომ დაიპყრობს, ევროპის პარლამენტში თავის დაკვრებით მიესალმებიან, აშუშუს სენატსა და კონგრესში წითელ ხალიჩას დაუგებენ... ალბათ, შორს აღარ არის დრო, როცა ჰოლივუდში მის მოღვაწეობაზე ფილმსაც გადაიღებენ, ჯერ დოკუმენტურით დაიწყებენ, შემდეგ მხატვრულზე გადავლენ.

**— ლევანიიიიი!** — გაისმა სამზარეულოდან ხანში შესული ქალის ხმა.

**— ჰამეეეე?!** — გასძახა დაბნეულმა ხაბემ.

**— მოდი, შვილო, გოგლი-მოგლი და კარაქიანი პური მზად არი!**

**— ისევ გოგლი და მოგლი, ადამიანო?**

**— ჰო, შვილო, ისევ გოგლი და მოგლი, მა რააა, ეხლა შენ ხმაზე უნდა იზრუნო, ოპრი მომღერალივით უნდა გქონდეს, არ მიყვარს, პოლიტიკოსებს ხმები რო არ უვარგათ.**

**— ჰოოო, კარგი, მოვდივარ!** — ჩაიდუდღუნა ხაბემ და უხალისოდ წამოიზლაზნა.

***ნოველა ნამდვილ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა***

***გელა ზედელაშვილმა***

## კვირგვინოსნები

**მამუკა ტუსკაძე**
*მოძრაობა „სოლიდარობა საქართველოსთვის" ლიდერი*



ნაცმოძრაობაში ახლა **ჯამბაზების დროა.** რაც დღეს ნაცმოძრაობაში ხდება, **დაშლის წინაპირობაა!**

„ახალი თაობა"

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაცმოძრაობის წევრი*



მეხმარება თუ არა **ვანო მერაბიშვილი** საარჩევნო კამპანიაში? მე მეხმარება ყველა, ვისაც აინტერესებს ენმ-ის გაძლიერება.

„ახალი თაობა"

**ნანუკა ჟორჟოლიანი**
*ტელეჟურნალისტი*



**მიშა თუ არ იქნება** ნაციონალურ მოძრაობაში, **ასი წელი მაგ პარტიას არ შემოვხაზავ!**

„ჯორჯიან თაიმსი"

**ირაკლი ნადირაძე**
*თბილისის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ჩვენი პარტიის წევრები ფიქრობენ, რომ **დღეს ვართ „ნაციონალური უძრაობა" და არა ნაციონალური მოძრაობა!**

„პალიტრანიუსი"

# განხეთქილების ბავშვი

***ბერძნული მითოლოგია გვიყვება, რომ ქალღმერთმა ერიდამ პელევსისა და თეტიდას ქორწილში შეაგდო ოქროს ვაშლი წარწერით — „უმშვენიერესს“, რომელიც სამი ქალღმერთიდან ერთს — ჰერას, ათენას ან აფროდიტეს უნდა რგებოდა. ქალღმერთმა აფროდიტემ მსაჯულის როლში მყოფ ტროას უფლისწულ პარისს აღუთქვა — ვაშლსა და უმშვენიერესის ტიტულს თუ მარგებ, ცოლად ულამაზეს ქალს შეგრთავო! ასე დაისაკუთრა აფროდიტემ ოქროს ვაშლი, სანაცვლოდ კი პარისს დაეხმარა, მიკენის მეფე მენელაოსის ულამაზესი ცოლი ელენე ტროაში წაეყვანა. სწორედ ამას მოჰყვა უდიდესი განხეთქილება ბერძნებსა და ტროელებს შორის, რაც 10 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და საბოლოოდ ტროას დაცემით დამთავრდა.***

აქედან არის დაბადებული ფრთიანი გამონათქვამი — **„განხეთქილების ვაშლი“**, რომლითაც ორ მხარეს შორის დაპირისპირების გამომწვევ კონკრეტულ მიზეზს ან საგანს მოიხსენიებენ.

რაც შეეხება **განხეთქილების ბავშვს,** ეს მითი კი არა, ჩვენი თანამედროვე რეალობაა.

საქმე ის არის, რომ **2022 წლის 15 ნოემბერს** დედამიწაზე დაიბადა ბავშვი, რომელმაც ჩვენი პლანეტის მოსახლეობის რაოდენობა **8 მილიარდამდე** დაამრგვალა!



## სად დაიბადა დედამიწის მერვამილიარდე მცხოვრები – სომხეთში თუ დომინიკელთა რესპუბლიკაში?


ARMENPRESS
В роддоме Мартуни в Гегаркуникской области родился 8-миллиардный житель планеты Земля


АЗЕРТАДЖ
8-миллиардный житель планеты родился в Доминиканской Республике

სხვანაირად რომ ვთქვათ, **2022 წლის 15 ნოემბერს** დაბადებული ბავშვი **მერვამილიარდე ადამიანია!**

და რატომ არის **2022 წლის 15 ნოემბერს** შობილი **მერვამილიარდე** ადამიანი **განხეთქილების ბავშვი?**

აი, რა: **სომხური საინფორმაციო სააგენტო „არმენპრესი“ იუწყება, რომ ბავშვი, რომელიც დედამიწის მერვამილიარდე მცხოვრებია, სწორედ სომხეთში, გეღარქუნიქის ოლქის ქალაქ მარტუნში დაიბადა.** „არმენპრესის“ ცნობით, მერვამილიარდე ადამიანი დედამიწას გეღარქუნიქის ოლქის სოფელ წოვინარის მკვიდრებმა — **კარენ ზაქარიანმა და ანა ქოჩარიანმა** მოუვლინეს. გოგონა, რომელსაც სახელად **არპი** დაარქვეს, 2,9 კილოგრამი და 49 სანტიმეტრი დაიბადა.

იგივე „არმენპრესი“ აქვეყნებს სოფელ წოვინარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **არაიკ ტარპოშიანის** სიტყვებს, რომელთა მიხედვითაც ახალდაბადებული **მერვამილიარდე ადამიანის** — არპის მამა საზღვარგარეთ მუშაობს, ხოლო დედა დიასახლისია. ზაქარიან-ქოჩარიანის წყვილისათვის არპი მესამე შვილი ყოფილა, მანამდე კი ორი ვაჟი გაუჩენიათ.

მოკლედ, ჩვენს მეზობელ და მოძმე სომხებს, რომლებსაც ყოველთვის გააჩნიათ საკმარისი მონდომება, თავიანთი უნიკალურობისა და კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების შესახებ არამხოლოდ ისაუბრონ, არამედ სქელტანიანი ნაშრომებიც კი შექმნან, ვერც ახლა დაუშლის ვინმე, რომ იამაყონ — **დედამიწის მერვამილიარდე ადამიანი სომეხიაო!**

თითქოს მართლაც ღირსშესანიშნავი და საისტორიო ფაქტია, რომ დედამიწის მერვამილიარდე ადამიანი სომხეთში დაიბადა!

ან ასე: **მართლაც ღირსშესანიშნავი და საისტორიო ფაქტია, რომ დედამიწის მერვამილიარდე ადამიანი თითქოს სომხეთში დაიბადა!**

ოჰ, ეს ოხერი **„თითქოს“!** რა უშნოდ და უადგილოდ იცის ხოლმე გამოკვეხება!

**ცნობა იმის შესახებ, რომ დედამიწის მერვამილიარდე ადამიანი სომხეთში დაიბადა, სომხურმა საინფორმაციო სააგენტო „არმენპრესმა“ 2022 წლის 15 ნოემბერს, 13 საათსა და 32 წუთზე, გამოაქვეყნა, მაგრამ სულ ცოტა ხანში — 2022 წლის 15 ნოემბრის 19 საათსა 51 წუთზე აზერბაიჯანულმა საინფორმაციო სააგენტო „აზერტაჯმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბავშვი, რომელიც დედამიწის მერვამილიარდე მცხოვრები გახდა, არა სომხეთის გეღარქუნიქის ოლქის ქალაქ მარტუნში, არამედ დომინიკელთა რესპუბლიკის დედაქალაქ სანტა დომინგოში, ალტაგრასიას სამშობიაროში დაიბადა.** აზერბაიჯანულ სააგენტოს ეს ინფორმაცია საკუთარმა კორესპონდენტმა **ნიზიარ ჯაფარლიმ** ესპანეთის დედაქალაქ მადრიდიდან მიაწოდა.

რაშია საქმე? **აქაც სომხურ-აზერბაიჯანული განხეთქილების კუდი უნდა ვეძებოთ?** ორ მეზობელს შორის არსებული ისტორიული დაპირისპირება, რომელიც დღეს მთიან ყარაბაღში ცხელი კონფლიქტის სახით გრძელდება, დედამიწაზე მერვამილიარდე ადამიანის დაბადებასთან დაკავშირებულ ცნობებშიც ვლინდება? **ნუთუ სომხურ-აზერბაიჯანული საინფორმაციო ომის საცეცები ასე შორს არის გასული?**

კი, შეიძლებოდა, ასეც გვეფიქრა, თუკი სომხური საინფორმაციო სააგენტოს ცნობას — დედამიწის მერვამილიარდე ადამიანი სომხეთში იშვაო, მხოლოდ აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო გააბათილებდა, **მაგრამ რა ვუყოთ მსოფლიოს დანარჩენ საინფორმაციო საშუალებებს — ევროპულ და ამერიკულ სააგენტოებს, რომლებიც იუწყებიან, რომ დედამიწას მერვამილიარდე ადამიანი არა სომხეთში, არამედ დომინიკელთა რესპუბლიკაში მოევლინა?** თანაც, მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ მსოფლიოს მერვამილიარდე ადამიანი გოგონა კი არ არის, როგორც ეს სომხურმა სააგენტომ გაავრცელა, არამედ ბიჭია და სახელად **დამიანი** დაარქვეს.

მოკლედ, **ფაქტია, რომ დედამიწის მერვამილიარდე მცხოვრები დაბადებისთანავე იქცა „განხეთქილების ბავშვად“ სომხურ და აზერბაიჯანულ საინფორმაციო საშუალებებს შორის!**

იმედს ვიტოვებთ, ეს განხეთქილება სომხურ-აზერბაიჯანული საინფორმაციო ომის ფარგლებს არ გასცდება და ჩვენს მეზობლებს შორის ყარაბაღის გარშემო არსებულ უთანხმოებას მსოფლიოს მერვამილიარდე მცხოვრების საკითხი კიდევ უფრო არ გააღრმავებს!

### რაც შეგვეხება ჩვენ – ქართველებს, ნაციონალური მოძრაობის შიგნით მიმდინარე მძიმე პროცესების ფონზე, როცა სააკაშვილის პარტიას მისი წევრები ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ, შეგვიძლია, თავი იმით დავიმშვიდოთ, რომ ნაცსექტის შემცირების პარალელურად დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა!

ხოლო დედამიწის მერვამილიარდე ადამიანი სომხეთში დაიბადა თუ დომინიკელთა რესპუბლიკაში, ამას ჩვენთვის — ქართველებისათვის — ისევე არა აქვს მნიშვნელობა, როგორც იმას, გახდება თუ არა ნაცმოძრაობის თავმჯდომარე **დავით კეზერაშვილის გოშია ლევან ხაბეიშვილი!**

ისე კი, სტატისტიკის თვალსაზრისით, ასეთ სურათს ვიღებთ: თუ 2022 წლის 15 **ნოემბრის გამთენიამდე ლევან ხაბეიშვილი დედამიწის 7 999 999 999 მცხოვრებს შორის ყველაზე დიდი პოლიტიკური დეგენერატი იყო, 2022 წლის 15 ნოემბრის გამთენიისას ის გახდა ყველაზე დიდი პოლიტიკური დეგენერატი დედამიწის 8 000 000 000 მცხოვრებს შორის!**

სტატისტიკის მოყვარულებს შეუძლიათ, ჩაინიშნონ!

***ჯაბა ხუბუა***

**თუ 2022 წლის 15 ნოემბრის გამთენიამდე ლევან ხაბეიშვილი დედამიწის 7 999 999 999 მცხოვრებს შორის ყველაზე დიდი პოლიტიკური დეგენერატი იყო, 2022 წლის 15 ნოემბრის გამთენიისას ის გახდა ყველაზე დიდი პოლიტიკური დეგენერატი დედამიწის 8 000 000 000 მცხოვრებს შორის!**

## კვირგვინოსნები

**თაკო ჩარკვიანი**
ოპოზიციონერი პარლამენტარი



**მელიას** და „ოცნების“ ტროლები ერთად ღლიცინებენ! დიახ, **ჩვენი სტრატეგიული გეგმა,** ეს არის რუსთაველი!

„ახალი თაობა“

**ალეკო ელისაშვილი**
პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი



**„დეოლიგარქიზაციის შესახებ“** კანონი საშინელი კანონია, ჩვენ მხარს არ ვუჭერთ, **სისულელეა, რაც ოპოზიციის ნაწილმა ჩაიდინა.**

„რეზონანსი“

**ლადო საღლობელაშვილი**
სამოქალაქო აქტივისტი



„ნაცმოძის“ არსებობა არის „ოცნების“ არსებობის გარანტი! **არ იქნება ნაცმოძრაობა, არ იქნება „ოცნება“!**

„ალია“

**გედევან ფოფხაძე**
ყოფილი პარლამენტარი



**4-5 თვეში** ჩვენ ყველას მაინც მოგვიწევს მიტინგზე ერთად დგომა... **რევოლუციური პროცესები გარდაუვალია!**

„ალია“

# როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე,

***ეს ყველამ უნდა იცოდეს: როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე, როცა მას ან ქვეითად მიმავალს, ან ავტომანქანაში მყოფს პოლიციელი აჩერებს? სად გადის პოლიციელის მხრიდან კანონიერ ქმედებათა ზღვარი და რა უნდა მოიმოქმედოს მოქალაქემ, როცა კანონის დამცველი მის უფლებას არღვევს? ვაგრძელებთ ინტერვიუების ციკლს უფლებადამცველთან და პრაქტიკოს ადვოკატთან გელა ნიკოლაიშვილთან:***




## გელა ნიკოლაიშვილი:

## ქუჩაში შეჩერებულმა ადამიანმა, უპირველესად, პოლიციელს შეჩერების მიზეზის განმარტება უნდა მოსთხოვოს!

— პატრულს ყოველთვის აქვს მოქალაქის გადამოწმების უფლება, თუ მოქალაქე კანონს ან ავტომანქანით მოძრაობის წესებს დაარღვევს; ანდა, თუ რაიმე გარემოებას საეჭვოდ მიიჩნევს, ვთქვათ, მძღოლს თუ ქვეითად მიმავალს რომელიმე ძებნილს მიამსგავსებს. ასეთ შემთხვევაში პატრულს აქვს მოქალაქის გაჩერების და მისი ზედაპირულად დათვალიერების უფლება. ეს არ ნიშნავს ჩხრეკას, **თუმცა, აუცილებლად უნდა შედგეს ოქმი და გაირკვეს „ზედაპირული დათვალიერების“ საფუძველი.**

პატრულს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ობიექტური მიზეზი, თუ რატომ გააჩერა მოქალაქე; ხოლო, თუ მოქალაქის შეჩერება არ არის დაკავშირებული რაიმე სპეციალურ ოპერატიულ ოპერაციასთან, მოქალაქეს, თავის მხრივ, აქვს სრული უფლება, გაიგოს მისი შეჩერების და „ზედაპირული დათვალიერების“ საფუძველი, რადგან **ამ საფუძვლის გარეშე პოლიციელს მოქალაქის „ზედაპირულად დათვალიერების“ უფლება არ გააჩნია.**

**იმ შემთხვევაში, თუ სიტუაცია მოქალაქის ჩხრეკას მოითხოვს, საამისოდ უნდა არსებობდეს სასამართლოს განჩინება; ანდა პოლიციელი ვალდებულია, უახლოესი 24 საათის განმავლობაში სასამართლოს გადაწყვეტილებით დააკანონოს მის მიერ ჩატარებული ჩხრეკის ღონისძიება.**

**— რას ნიშნავს „ზედაპირული დათვალიერება“ და სად გადის ამ ღონისძიების ზღვარი ჩხრეკასთან?**

— **„ზედაპირული დათვალიერება“** ტარდება თვალის შევლებით და დაშვებულია მხოლოდ ტანსაცმელზე გარედან პოლიციელის მიერ ხელით შეხება. **თუ „ზედაპირული დათვალიერება“ უტარდება მანდილოსანს, ამის გამკეთებელი პოლიციელი, შესაბამისად, აუცილებლად მდედრობითი სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს.** რაც შეეხება ჩხრეკას, ეს უკვე სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული პროცედურაა, რომელსაც, როგორც უკვე გითხარით, სასამართლოს შესაბამისი განჩინება სჭირდება.

**— „ზედაპირულ დათვალიერებას“ არ სჭირდება სასამართლოს მხრიდან დაკანონება?**

— არ სჭირდება, მაგრამ დათვალიერების შემთხვევაშიც, **აუცილებლად უნდა შედგეს ოქმი, ხოლო, თუ მოქალაქეს ამ პროცედურასთან დაკავშირებით პროტესტი ექნება, მისი პოზიცია ოქმში უნდა აისახოს.** მოქალაქეს შეუძლია, თავისი პოზიცია ოქმში დააფიქსიროს შენიშვნის სახით, შემდეგ ჩაიბაროს ოქმის ასლი და **სასამართლოშიც** გაასაჩივროს.

**— თუ მოქალაქეს „ზედაპირული დათვალიერებისას“ ჯიბეში აქვს მყარი საგანი, აქვს თუ არა პოლიციელს უფლება, მოქალაქეს მისი ამოღება და ჩვენება მოსთხოვოს?**

— მყარი საგანი თუ, პოლიციელის ვარაუდით, ცივ ან ცეცხლსასროლ იარაღს წარმოადგენს, პოლიციელს აქვს უფლება, მოქალაქეს მოსთხოვოს მისი ჩვენება, ხოლო, თუ მოქალაქე ამ საგანს ჯიბიდან ნებით არ იღებს და პატრული საგნის ამოღებას ძალით ცდილობს, ჯიბეში ხელს უყოფს — ეს უკვე ჩხრეკაში გადადის. **მაგრამ, თუ მყარი საგანი „აკრძალული ნივთების“ სიას არ მიეკუთვნება და მოქალაქე პოლიციელის ქმედებას გაასაჩივრებს, პოლიციელს კანონის წინაშე სერიოზული პრობლემები შეექმნება.** რაც შეეხება ავტომანქანას, პოლიციელს უფლება აქვს, მძღოლს მოსთხოვოს საბარგულის გახსნა და მანქანის სალონშიც შეიხედოს, თუმცა, ასეთ დროსაც, სასურველია, მას სამხრე კამერა ჰქონდეს ჩართული.

**— თუ მოქალაქეს არანაირი აკრძალული ნივთი არა აქვს, მაგრამ ჯიბეში უდევს, ვთქვათ, არასტანდარტული ფორმის სანთებელა, აქვს თუ არა უფლება, დათვალიერებისას პოლიციელს არ გაუმხილოს, თუ რა უდევს ჯიბეში?**

— მთავარი ის არის, თუ რა გახდა მოქალაქის შეჩერების და მისი „ზედაპირული დათვალიერების“ მიზეზი, ამიტომ **შეჩერებულმა ადამიანმა, უპირველესად, პოლიციელს შეჩერების მიზეზის განმარტება უნდა მოსთხოვოს. ამასთან პოლიციელს შეახსენოს და მოუწოდოს, რომ მისი მოქმედება და მთელი საუბარი დააფიქსიროს სამხრე კამერის საშუალებით, რომელიც პატრულის თანამშრომელს აუცილებლად უნდა გააჩნდეს.**

ადვოკატები და უფლებადამცველები არცთუ იშვიათად ვაწყდებით სიტუაციას, როდესაც პოლიციელი ვერ წარმოადგენს ხოლმე ვიდეოკადრებს, ბანალური მიზეზის მოშველიებით, თითქოს კამერის ელემენტი იყო დამჯდარი. ყველა შემთხვევაში, იმისგან დამოუკიდებლად, ახდენს თუ არა პოლიციელი კადრების დაფიქსირებას, **მოქალაქეს უფლება აქვს საკუთარი საშუალებებით, ვთქვათ, საკუთარი მობილური ტელეფონით, პარალელურ რეჟიმში თავად აწარმოოს ვიდეოგადაღება და შემდგომში ეს მასალა გამოიყენოს იმის დასამტკიცებლად, რომ მის მიმართ კანონი დაირღვა, ანდა თავი დაიზღვიოს იარაღის ან ნარკოტიკის ჩადებისგან.** ვერ ვიტყვი, რომ ასეთი მოვლენა მასობრივ ხასიათს ატარებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად მაინც ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სათანადოდ კანონში არ ასახულა, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ **2021 წლის ივლისიდან პოლიციელი ვალდებულია, ნებისმიერი ჩხრეკა სამხრე კამერით დააფიქსიროს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჩხრეკის დროს მოწმე დაისწროს.** თუ შემთხვევა ხდება უდაბურ ადგილზე, სადაც ადამიანები არ იმყოფებიან, ვთქვათ, ტყეში — რა თქმა უნდა, პოლიციელს ვერავინ დაავალდებულებს მოწმის პოვნას. თუმცა,

**ხშირად მქონია შემთხვევა, როდესაც პოლიციელები ჩხრეკენ**




## კვირგვინოსნები

### შალვა ოგბაიძე

*თბილისის საკრებულოს წევრი, საავტომობილო სფეროს სპეციალისტი*



უცხონომრიანი ავტომობილების მფლობელებმა თავი პრივილეგირებულად ვერ უნდა იგრძნონ ქართველ მძღოლებთან შედარებით. **ქვეყანაში შემოსვლისთანავე აღრიცხვაზე უნდა დადგნენ და ნომერი ჰქონდეთ მითითებული.** შესაძლებელია, ქვეყანა ისე დატოვონ, ჯარიმა არ გადაიხადონ და შემდეგ აღარც კი დაბრუნდნენ საქართველოში. **ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში არამხოლოდ ქვეყანაში შემოსვლა ვერ უნდა შეძლონ, არამედ ქვეყანაც ვერ უნდა დატოვონ!**

„რეზონანსი“

### ნანა კაკაბაძე

*არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



სასამართლოს დღესაც აქვს გარკვეული პრობლემები, მაგრამ იმის არდანახვა, **თუ რა სისტემური ცვლილებები გატარდა სასამართლოში,** თვალების დაბრმავება და ქვიშაში თავის ჩაყოფა იქნებოდა.

„იმედინიუსი“

### გიორგი გუგავა

*ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი*



ჩამოატარონ ერთი **ნათელაშვილი, ვაშაძე და ანა დოლიძე** და ათიდან სამმა კაცმა თუ იცნოს **დოლიძე ან ვაშაძე,** პოლიტიკიდან წავალ საერთოდ. **შალვა ნათელაშვილს** ათიდან ათივე იცნობს და ამაში დარწმუნებული ვარ.

„ალია“

# როცა მას პოლიციელი აჩერებს?

**მოქალაქის ბინას, ხოლო მახლობლად მეზობლები, ასევე თავად გასაჩხრეკი სუბიექტი ამაოდ ითხოვენ ჩხრეკაზე დასწრებას. ეს უკვე პოლიციელის მხრიდან დიდი დარღვევაა.**




ისეც მომხდარა, რომ მათი ამ უკანონო საქციელის ამსახველი კადრები მეზობლებს გადაუღიათ, რაც შემდგომში სასამართლოს გამოუკვლევია.

**— როდის აქვს პატრულს მოქალაქის გაჩხრეკის უფლება?**

— როდესაც გააჩნია სასამართლოს გადაწყვეტილება; ან, ვთქვათ, კონფიდენტისგან მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ მოქალაქეს აქვს აკრძალული ნივთი — იარაღი ან ნარკოტიკი და მოძრაობს ამა და ამ მიმართულებით. ოღონდ ხშირად ისეც მომხდარა, რომ პოლიციელს ოპერატიული ინფორმაცია ფორმალურად მოუშველიებია, რადგან უფლება აქვს, კონფიდენტის ვინაობა არ გაამხილოს.

**— ვთქვათ, პოლიციელები მაჩერებენ მანქანით მიმავალს და მოითხოვენ ჩემს „ზედაპირულ დათვალიერებას“, თან ვხედავ, რომ დროს შეგნებულად ჭიმავენ, არადა, ტელევიზიაში გადაცემაზე მისვლა მაგვიანდება. ამის გამო პასუხისგება ელოდებათ?**

— ძნელად წარმოსადგენია, რადგან პატრულს ყოველთვის აქვს საშუალება, ასეთ შემთხვევებში თავი იმართლოს, რომ თქვენ მიგამსგავსათ, ვთქვათ, ვინმე ძებნილს და ამიტომ დაგათვალიერათ.

**— „ბრელოკის“ მსგავსი დანის ტარების გამო შეიძლება მოქალაქე დაჯარიმდეს? რა ზომის უნდა იყოს დანა, მის პატრონს პოლიციასთან პრობლემა რომ შეექმნას?**

— **ცივი იარაღის ტარების გამო პირველ ჯერზე მოქალაქე 200 ლარით ჯარიმდება, მეორე ჯერზე — 100 ლარით, მესამე ჯერზე კი, უკვე სისხლის სამართლის პასუხისგების საკითხი დგება.** თუმცა, თუ მოქალაქე ნასამართლევია, პირველ ჯერზევე სისხლის სამართლის ფარგლებში მოუწევს პასუხისგება. მოქალაქე არ დაჯარიმდება, თუ ცივი იარაღი უდევს ჩანთაში ან საბარგულში. ამასთან, მოქალაქემ დამაჯერებლად უნდა აუხსნას კანონის დამცველს, რისთვის სჭირდება მას ეს დანა. შეიძლება, მოქალაქეს არა აქვს კბილები და პატარა დანა საკვების დასანაწევრებლად ან სოკოს დასაკრეფად სჭირდებოდეს, მაგრამ არ უნდა დაარღვიოს მისი ტარების წესი. დანაშაულად არ ითვლება აგრეთვე ცივი იარაღი, რომელიც შედის ნაციონალური ტანსაცმლის (ჩოხა და ქამარ-ხანჯალი) ფარგლებში.

**მოქალაქემ იარაღად შეიძლება მარტო დანა კი არა, კომბალი, ჩაქუჩი და შრომის სხვა იარაღიც გამოიყენოს, თუმცა, მისი გადატანის გამო არ დაჯარიმდება. ერთი ეგ არის, მოქალაქეს მოუწევს დასაბუთება, რატომ ატარებს ქუჩაში ამ ნივთს.**

> „თუ მყარი საგანი „აკრძალული ნივთების“ სიას არ მიეკუთვნება და მოქალაქე პოლიციელის ქმედებას გაასაჩივრებს, პოლიციელს კანონის წინაშე სერიოზული პრობლემები შეექმნება!“

**— ვთქვათ, მანქანით მიმავალს მაჩერებს პატრული, მაგრამ მართვის უფლება და მანქანის ტექნიკური პასპორტი სახლში დამრჩა. ამის გამო უსიამოვნება მელის?**

> **„შეჩერებულმა ადამიანმა პოლიციელს უნდა შეახსენოს და მოუწოდოს, რომ მისი მოქმედება და მთელი საუბარი დააფიქსიროს სამხრე კამერის საშუალებით, რომელიც პატრულის თანამშრომელს აუცილებლად უნდა გააჩნდეს!“**

— არა. თქვენ არ ხართ ვალდებული, თან გქონდეთ მართვის უფლება ან ტექნიკური პასპორტი, თუ მანქანა თქვენს სახელზეა რეგისტრირებული და პატრულს წარუდგენთ თქვენი ვინაობის დამადასტურებელ ფოტოსურათიან დოკუმენტს, როგორიც არის პასპორტი. პატრულის ყველა მანქანა აღჭურვილია კომპიუტერით, სადაც პატრულს შეუძლია, გადაამოწმოს თქვენი ავტომანქანის შესახებ ინფორმაცია და დაადგინოს — გაქვთ თუ არა მართვის უფლება. **თუ მანქანა თქვენს სახელზე არ არის რეგისტრირებული, მაშინ პატრულს შეუძლია, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად მოგთხოვოთ მანქანის ტექნიკური პასპორტის წარდგენაც, რადგან შეიძლება ეს მანქანა მოპარული ან გატაცებული იყოს.** სხვა შემთხვევაში, თუ პატრული გემუქრებათ, რომ მართვის უფლების დამადასტურებელი საბუთის არქონის გამო მანქანას ჩამოგართმევთ და საჯარიმო სადგომზე გადაიყვანს — ის უკანონო ქმედებას სჩადის! **უკიდურეს შემთხვევაში, თუ თქვენ მართავთ სხვის სახელზე რეგისტრირებულ მანქანას და თან არ გაქვთ ტექნიკური პასპორტი, პატრულს შეუძლია, წამოვიდეს დათმობაზე და მანქანის მფლობელთან დაგარეკინოთ იმის დასაზუსტებლად, მან მანქანა გათხოვათ თუ მისი თანხმობის გარეშე წამოიყვანეთ.** ამის დაზუსტების შემდეგ კი, სიმბოლური თანხით — 10 ლარით დაგაჯარიმოთ, თუმცა, მანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის უფლება მაინც არა აქვს!




**— აბა, რა შემთხვევაში გადაჰყავთ მანქანა საჯარიმო სადგომზე?**

— როდესაც მანქანა პარკირებულია არასათანადო ადგილზე, რის გამოც მოძრაობას ხელს უშლის ან მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. თუმცა, როდესაც ავარიაში მოხვედრილი მძღოლებიდან რომელიმე აღიარებს, რომ დაარღვია მოძრაობის წესები, პატრული მათ უწერს 250-ლარიან ჯარიმებს, ოღონდ აძლევს ერთმანეთთან მორიგების საშუალებას, ვინ უნდა აიღოს თავზე მანქანების რემონტი, სამაგიეროდ, ავტომანქანები საჯარიმო სადგომზე აღარ გადაჰყავს, ხოლო, თუ მძღოლები ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, მაშინ დგება მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ამსახველი ნახაზი, ინიშნება ექსპერტიზა და სასამართლო ადგენს დამნაშავეს, მანამდე კი ავტომანქანები საჯარიმო სადგომზე გადაჰყავთ.

**— ქვეითად მიმავალ მოქალაქეს ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა სისხლის სამართლის დანაშაულად ეთვლება?**

— დგება მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. **ამჟამინდელი კანონმდებლობით, დანაშაულად მხოლოდ ნარკოტიკის შეძენა-შენახვა ეთვლება. ცოტა არ იყოს, ეს უცნაურია, რადგან ვიდრე ნარკოტიკის ზემოქმედებაში მოექცევა, მოქალაქეს მისი შეძენა-შენახვა უწევს.**



**— რა ელის მოქალაქეს, თუ ავტომანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავს? 2 კათხა ლუდის დალევის შემდეგ ავტომანქანის მართვა შეიძლება?**

— მთავარია, მის ორგანიზმში ალკოჰოლის დოზა ნორმის ფარგლებში იყოს. რაც შეეხება მიღებული ალკოჰოლის რაოდენობას, გააჩნია ორგანიზმს — ზოგს 1 კათხა ლუდზეც უდგინდება დოზის გადაჭარბება, სხვას კი 1 ბოთლი ღვინის დალევის შემდეგაც დოზა ნორმაში ექნება. ალკოჰოლის დოზის გადაჭარბებით საჭესთან მყოფ მოქალაქეს წინ სერიოზული პრობლემები ელოდება — **მართვის უფლების ჩამორთმევა და მის დასაბრუნებლად გამოცდის ხელახლა ჩაბარება, ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანა და დიდი ჯარიმა!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

> **„თქვენ არ ხართ ვალდებული, თან გქონდეთ მართვის უფლება ან ტექნიკური პასპორტი, თუ მანქანა თქვენს სახელზეა რეგისტრირებული და პატრულს წარუდგენთ თქვენი ვინაობის დამადასტურებელ ფოტოსურათიან დოკუმენტს, როგორიც არის პასპორტი!“**

## კვირგვინოსნები

**ანზორ საკანდელიძე**
*ორგანიზაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ თავმჯდომარე*



რეალურად, **დღეს შენობები 7 ბალსაც ვერ გაუძლებს,** ამიტომ ცათამბჯენების აშენება სეისმურად აქტიურ ზონაში კანონის დარღვევა და პირდაპირ ხალხის გაწირვაა, რაზეც თვალის დახუჭვა არ შეიძლება.

„რეზონანსი“

**სოსო არჩვაძე**
*ეკონომიკის პროფესორი*



**მათხოვრები სიღატაკის მაჩვენებელია.** ეს კატეგორია სოციალური ნიშნის მიხედვით ღატაკებს უნდა მივაკუთვნოთ, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში **მათი დღიური შემოსავალი შესაძლოა, გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე შედარებით მაღალანაზღაურებადი და სოლიდური სამსახურის მქონე პირისა.**

„კვირის პალიტრა“

**სოფო ჯაფარიძე**
*თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



**ნიკა მელიას** ინიციატივა იყო არჩევნები, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დრო, ადგილი და ფორმა — წარმოუდგენელია, **დღეს, როცა სააკაშვილს კლავენ,** სხვა რამეზე ვისაუბროთ.

„ინტერპრესნიუსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



ჩვენი ახალი მოძრაობა ვაპირებთ, **პასუხი ვაგებინოთ ხელისუფლებას,** თუ კანდიდატის სტატუსი არ გვექნება.

„ინტერპრესნიუსი“

**თენგიზ ფხალაძე**
*ექსპერტი*



გაგახსენებთ გერმანიის კანცლერის განცხადებას — **მე ვხედავ დიდ ევროპას ლისაბონიდან თბილისამდეო!** ევროკავშირში ჩვენთან დაახლოების მზადყოფნა არის!

„კვირის პალიტრა“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში ქება-დიდებას არ აკლებს თურქეთის პრეზიდენტს და დაუფარავად ამაყობს მასთან საქართველოს პრეზიდენტად ყოფნის დროს ჩამოყალიბებული ახლო პირადი ურთიერთობებით და არც მალავს, რომ ჩვენს რეგიონში თურქეთს დიდი გავლენა აქვსო:

***„ჩვენს რეგიონში თურქეთი დიდ როლს თამაშობს. ჩემი პირადი ურთიერთობები თურქეთის ლიდერთან საკმაოდ სწრაფად დამყარდა. ერდოღანი ძალიან მკვახე და იმავდროულად ძალიან კორექტული პიროვნებაა...***

***ერდოღანი მუდამ იგებს არჩევნებს. ბევრი თვლის, რომ პრესაზე ზეწოლისა და რეპრესიების ხარჯზე. მთლად ასეც არ არის. ერდოღანი ყოველი მცირე ბიზნესისა და ყოველი უბრალო ადამიანის ბედითაა დაინტერესებული. ყოველთვის მიკავშირდებოდა, როდესაც პატარა თურქულ რესტორანს საქართველოში პრობლემა ექმნებოდა — ეს კი თითქმის ყოველ კვირას ხდებოდა. იგივე მეორდებოდა, როდესაც ჩვენი მესაზღვრეები თურქ მეთევზეებს ჩვენს წყლებში აკავებდნენ. შემდეგ მირეკავდა თურქი პატიმრების თაობაზე, მათ შორის, მკვლელობის მუხლით გასამართლებულ მსჯავრდებულებზე და მათ თურქეთის ციხეებში გადაყვანას ითხოვდა“** (მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 222).*

ანუ სააკაშვილი თავადაც ვერ ხვდება, რა წამოაყრანტალა: **მე საქართველოში პრეზიდენტად კი არა, ერდოღანის ვასალად და თურქული რესტორნების ღამის დარაჯად ვმუშაობდიო!**

დიახ, სააკაშვილმა პირდაპირ აღიარა, რომ **სწორედ ერდოღანის ლობირებით დაპარპაშებდნენ შავი ზღვის ქართულ წყლებში მეკობრეებივით თურქული სათევზაო ტრაილერები და, პრაქტიკულად, დაუსჯელად ბრაკონიერობდნენ,** რადგან იცოდნენ, რომ, თუ მათ დააკავებდნენ, თვით ერდოღანი დაურეკავდა და სააკაშვილიც ცუციკივით „სწორდით, სმენაზე“ დადგებოდა!

და რაც ძალიან საგულისხმოა, **სააკაშვილი დაუფარავი აღტაცებით საუბრობს ერდოღანის მიერ მოგებულ ყველა არჩევნებზე** — არა, ის დიქტატორი კი არ არის და რეპრესიებითა და მედიაზე ზეწოლით კი არ იმარჯვებს, არამედ, ხალხზე მზრუნავი ლიდერიაო! ჰოდა, **სწორედ ეს ერდოღანისეული მოდელი** გადმოიღო მართვის სტილად სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობისას, ოღონდ, მთავარი ნიუანსის გამოკლებით — თურქეთის უპირობო პატრიოტი ერდოღანისაგან განსხვავებით, მას უბრალო ხალხი, ბოდიში და, სულ ფეხებზე ეკიდა!

შემდეგ სააკაშვილი ისევ უბრუნდება ეგრეთ წოდებულ „არაღიარების პოლიტიკას“. იხსენებს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარების კვალობაზე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოუწია აქტიურობა, რათა არაღიარების პოლიტიკის ლობირება მოეხდინა:

***„რუსეთმა მიაღწია აფხაზეთის აღიარებას: ტუვალუსგან, ნაურუსგან, ნიკარაგუასა და ვენესუელასგან. ახლახან** (ანუ ამ წიგნის გამოცემის დროს, 2015 წელს — გ.გ.) **ამას დაემატა პუტინისაგან დავალებული ასადის სირია, რომელსაც ჩვენი ხელისუფლების დროს ამ განზრახვაზე წარმატებით ავაღებინეთ ხელი. ამით დამთავრდა ყველაფერი. აფრიკის ქვეყნების დარწმუნება მათ ვერ შეძლეს...***

***აფრიკელები ძალიან მგრძნობიარედ ეკიდებიან საზღვრების საკითხს. საზღვრები, რომლებიც კონტინენტზე კოლონიზატორების შემდეგ დარჩა, იმდენად ხელოვნურია, რომ მათი გადახედვა ძალიან იოლია. ლავროვი ორჯერ სპეციალურად ჩავიდა აფრიკაში, ჩაჭქონდა ბევრი საჩუქარი, აღიარება რომ მიეღო, მაგრამ სრული ფიასკო განიცადა“** (იქვე, გვ. 232).*

რა შეეხება შუა აზიას, ამ რეგიონში, არაღიარების პოლიტიკაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა ყაზახეთის პრეზიდენტმა **ნურსულთან ნაზარბაევმა** და, რა თქმა უნდა, ჩინეთმა, რომელსაც თავისი თავის ტკივილი აქვს — სეპარატისტული ტაივანისა და იმავე მუსლიმი უიგურების სახით:

***„შუა აზიაში მნიშვნელოვანი დახმარება ჩინეთმა გაგვიწია. პეკინის ძალისხმევით, ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ცენტრალური აზიის ლიდერები შეკრიბა და განაცხადა:** „თუკი ვინმე აღიარებაზე ფიქრს დაიწყებთ, ყველა ჩვენთან გამოუშვით, ჩვენ აგიხსნით, თუ რატომ არ უნდა გააკეთონ ეს. და თუ ეს გეცოტავებათ, წახვალთ ჩინელებთან, ისინი აგიხსნიან, რა როგორ არის“. **ანუ ჩინელებმა თავისი როლი ითამაშეს ყაზახეთის მეშვეობით“** (იქვე, გვ. 233).*

როგორც მემუარისტი წერს, ყველაზე დიდი მუშაობა ბელარუსის პრეზიდენტ **ლუკაშენკოსთან** დასჭირდათ, რადგან თავად რუსეთს ძალიან ეიმედებოდა, რომ მათ შემდეგ ბელარუსი პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა იქნებოდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და სეპარატისტული რეგიონების აღიარებას რომ მხარს დაუჭერდა:

***„თავიდან ჩვენ ბელარუსზე ზემოქმედება ევროპელების საშუალებით ვცადეთ. ამერიკელებმა მინსკთან ლაპარაკზე უარი თქვეს — მაგათთან ლაპარაკი არ ღირსო. სოლანა შეეცადა, დალაპარაკებოდა ბელარუსს და გადმოგვცა, ვერაფერს გავხდიო და დარწმუნებული ვარ, აღიარებას აპირებსო. შემდეგ იქ გაემგზავრა სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი მიროსლავ ლაიჩეკი — ისევ უშედეგოდ.***

*რამდენჯერმე გავაგზავნე მინსკში ჩვენი დიპლომატები, ორჯერ თავად ჩავედი, მაგრამ საბოლოო პასუხი მაინც ვერ მივიღე. ბელარუსის ხელისუფლებაში არსებული სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფები სხვადასხვა პოზიციას ემხრობოდნენ. **მაშინ გავფრინდი ყირიმში იანუკოვიჩის დაბადების დღეზე. ამ ღონისძიებაზე ყველაზე მეტად ლუკაშენკო მაინტერესებდა. მასთან რამდენიმე საათი ვილაპარაკე. ბოლოს მან ასეთი რამ მითხრა: „ვინც რა არ უნდა გითხრათ, მე ვიცავ ჩემს პოზიციას — ჩვენ არ ვცნობთ ამ ტერიტორიებს“** (იქვე, გვ. 234).*

რა თქმა უნდა, სააკაშვილი აშკარად ტრაბახობს, თითქოს ყირიმულ ნადიმზე რამდენიმესაათიანი საუბრისას სწორედ მან შთააგონა **ლუკაშენკოს,** რომ არ ეღიარებინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობა!“ **ლუკაშენკოს** სააკაშვილის სიყვარულის ან ლამაზი თვალების გამო არ უთქვამს უარი სეპარატისტების „კვაზი-სახელმწიფოების“ აღიარებაზე — მან სწორედ ევროპასთან და ამერიკასთან კიდევ უფრო დაპირისპირების შიშით აირჩია ეს ნეიტრალური პოზიცია, რადგან აფხაზეთისა და ცხინვალის თემა ნამდვილად არ უღირდა მთელ დასავლეთთან კონფრონტაციისთვის!

ამის შემდეგ სააკაშვილი აშკარად არ იშურებს საქებარ სიტყვებს **ლუკაშენკოს** მისამართით:

***„ლუკაშენკოსთვის ეს მძიმე გადაწყვეტილება იყო. რუსეთი მასზე უზარმაზარ ზეწოლას ახდენდა. ჰპირდებოდა, რომ ბელარუსის ეკონომიკაში, რომელიც კრიზისს განიცდიდა, ორმილიარდიან ტრანშს განახორციელებდა. არაღიარების შემთხვევაში კი, რუსეთი პრობლემების შექმნით ემუქრებოდა.***

***რა თქმა უნდა, ბელარუსს დემოკრატიის სფეროში აქვს დიდი პრობლემები, ამავე დროს ბელარუსის ლიდერი იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნის, ვინც სხვის დაკრულზე ცეკვავს“** (იქვე, გვ. 234).*

შემდეგ მემუარისტი ბელარუსის პრეზიდენტის დამოუკიდებელ პოლიტიკოსობასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო კულუარულ ისტორიას იხსენებს, რომელიც **ლუკაშენკოსა და პუტინის** არცთუ მარტივ ურთიერთობებს უკავშირდება:

***„მახსოვს, როგორ შევხვდით ერთმანეთს 2006 წელს დსთ ქვეყნების სამიტზე, საიდანაც ლონდონში უნდა გავფრენილიყავი. ალექსანდრე ლიტვინენკოს** (რუსეთიდან დასავლეთში გაქცეული სპეცსამსახურების ოფიცრის — გ.გ.) **მოწამვლიდან დიდი დრო არ იყო გასული. იმ მომენტისთვის ითვლებოდა, რომ ის პოლონიუმით მოწამლეს, რომელიც სუშიში იყო დამატებული. მხოლოდ შემდეგ გაირკვა, რომ საწამლავი ჩაიში იყო.***

*მიმდინარეობს ბანკეტი. **ლუკაშენკო** პუტინის მარცხნივ ზის, მე — მარჯვნივ. ლუკაშენკო ხუმრობას იწყებს: **„მიშა, შენ აქედან ლონდონში მიფრინავ. გირჩევ, იქ არაფერს გაეკარო, განსაკუთრებით, არ ჭამო სუში. აი, თევზი გადაიღე, იქ რომ აღარ მოგინდეს. და საერთოდაც, ყველაზე უსაფრთხოა, საჭმელი ვლადიმერ ვლადიმერის ძესთან მდგარი თეფშიდან მიირთვა. ასე ჩვენ ნამდვილად არავინ მოგვწამლავს“. იღებს თეფშს, რომელიც პუტინის სიახლოვეს იდო, მე მაწვდის და ამის შემდეგ ერთი ხუთი წუთი კიდევ ამ თემაზე ღადაობს“** (იქვე, გვ. 234).*

ეს სიმართლეა თუ მემუარისტის ფანტაზიის ნაყოფი, ღმერთმა იცის, თუმცა, ეს ამბავი, სააკაშვილის მტკიცებით, აქ არ დასრულებულა:

***„უცებ გაბრაზებული პუტინი ჩანგალს მაგიდაზე ახეთქებს და აცხადებს, რომ მას არ მოუკლავს ლიტვინენკო და საერთოდაც, ვის რად სჭირდებოდა ეგ კაცი? თუმცა, არავის ლიტვინენკო არ უხსენებია. ლიტვინენკო, პუტინის სიტყვებით, რუსეთში ციხეებს დარაჯობდა, რატომ უნდა მოეკლათ ის? ნათქვამია „ქურდს ქუდი ეწვისო“** (იქვე, გვ. 235).*

აი, ასე „გახსნა“ სააკაშვილმა ლიტვინენკოს სკანდალური და მთელ მსოფლიოში გახმაურებული მოწამვლის საქმე — მას თუ დავუჯერებთ, თურმე, პუტინმა აი, ასე პრიმიტიულად გასცა თავი!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



## *მიხეილ სააკაშვილი:*




## 39 ბანკეტზე ლუკაშენკოს ხუმრობისას უცებ პუტინმა ჩანგალი მაგიდაზე დაახეთქა და განაცხადა, რომ მას არ მოუკლავს ლიტვინენკო!

სააკაშვილი თავადაც ვერ ხვდება, რა წამოაყრანტალა:

## მე საქართველოში პრეზიდენტად კი არა, ერდოღანის ვასალად და თურქული რესტორნების ღამის დარაჯად ვმუშაობდიო!



***დიდი ალექსანდრე ალადაშვილი საქართველოში სამედიცინო განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ და ივანე ჯავახიშვილის დაარსებულ უნივერსიტეტში შინაგანი მედიცინის კათედრას ხელმძღვანელობდა. ოჯახის პროფესიულ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი ალექსანდრე ალადაშვილი (უმცროსი), რომელიც ქართული კარდიოლოგიის ფლაგმან კლინიკაში — ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში ინტერვენციული მედიცინის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.***

**„2022 წლისათვის ჩვენთან ჩატარებულია 37 000-ზე მეტი კორონაროგრაფია და 14000-ზე მეტი კორონარული სტენტირება!“**



## ალექსანდრე ალადაშვილი:

# სტენტირების რევოლუციურმა მეთოდმა მწვავე ინფარქტების შემთხვევაშიც კი სიკვდილიანობა 3-5 პროცენტამდე დაიყვანა!

*— მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოებამ ორიოდე წლის წინ გულის იშემიური დაავადებისგან პაციენტების ხსნის რევოლუციური მანიპულაციის —* ***სტენტირების*** *40 წლისთავი აღნიშნა. მანამდე მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც გულის შეტევით უამრავი ადამიანი იღუპებოდა. საქართველოში ეს მანიპულაცია პირველად 1998 წელს ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში პირადად მე ჩავატარე და აქედან მოყოლებული ამ მეთოდის წყალობით ჩვენს კლინიკაში უამრავი ადამიანი გადარჩა და გაიხანგრძლივა სიცოცხლე! —* ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ალექსანდრე ალადაშვილმა (უმცროსმა):***

— ტკივილი გულმკერდის არეში, ზეწოლის შეგრძნება, ქოშინი, შრომისუნარიანობის დაქვეითება გულის იშემიური დაავადების სიმპტომებია. ზოგჯერ გულმკერდის არეში ტკივილი ქრონიკულია და ფიზიკური დატვირთვისას (მაგალითად, მე-3 სართულზე ფეხით ასვლისას) ან ფსიქოემოციური სტრესის შედეგად აღმოცენდება ხოლმე. ამას **„სტაბილურ სტენოკარდიას“** ეძახიან, პაციენტების შესაბამისი ჯგუფი სტაბილური მდგომარეობის პაციენტებად მიიჩნევა. თუ არ ნერვიულობენ და ფიზიკურ დატვირთვას არ განიცდიან, შესაძლოა, ტკივილი არც კი გამოუვლინდეთ! სხვა შემთხვევაში ტკივილი მწვავედ, ერთი ან რამდენიმე შეტევის ფორმით ვითარდება, რაც სასწრაფო და გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარებას მოითხოვს. **წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, განვითარდეს ერთი ძლიერი შეტევა, რომელიც 10-15 წუთის განმავლობაში გაგრძელდება, მიოკარდიუმის ინფარქტში გადაიზრდება და პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნება.** ისიც შესაძლებელია, პაციენტს არანაირი ჩივილი არ ჰქონდეს და უეცრად დაეწყოს ძლიერი ტკივილი, თუმცა, უფრო ხშირად ტკივილს გარკვეული მაპროვოცირებელი ფაქტორები მაინც გააჩნია. **ტკივილის განვითარება მოსალოდნელია არამხოლოდ ფსიქოემოციური სტრესის მიღების მომენტში, არამედ ამ მომენტიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგაც.**

თუ ტკივილი გადაეცემა ზემო ან ქვედა კიდურებზე, მკერდის ძვალზე, ზურგის არეში, კისერში ან ქვედა ყბაზე — პაციენტმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიაკითხოს ექიმს, რადგან ასეთი მწვავე ტკივილი, როგორც წესი, წინ უძღვის მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებას! პაციენტი ასეთ დროს უნდა მოთავსდეს ინტენსიური მეთვალყურეობის განყოფილებაში, სადაც ჩაუტარდება ელექტროკარდიოგრაფია, სისხლში ფერმენტების გამოკვლევა, გულის კუნთის მარკირება და სხვა გამოკვლევები იმის დასადგენად, ხომ არ არის გულის კუნთში რაიმე დაზიანება.

**მწვავე კორონალური სინდრომის მქონე პაციენტებს იშემიის შედეგად შესაძლოა, სიცოცხლისათვის საშიში არითმიები განუვითარდეთ, რომელიც რამდენიმე წუთში ფატალურად დასრულდება, თუ შესაბამისი ღონისძიებებით დროულად არ ალიკვეთა.** ასეთი არითმიების დროს გული ძალიან დიდი სიხშირით იკუმშება, თუმცა, თავის ფუნქციას — სისხლის გადატყორცნას — ვეღარ ასრულებს, რის გამოც პაციენტი იღუპება!

თანამედროვე სტანდარტები მოითხოვს, რომ ასეთ ლაბორატორიებში აუცილებლად იყოს გულის კათეტერიზაციის, ანუ გულის ინვაზიური მეთოდებით გამოკვლევის განყოფილება. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ინტერვენციული მედიცინის დეპარტამენტის ექიმების მაღალი კვალიფიკაცია და თანამედროვე მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობა ინტერვენციული პროცედურების თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ჩატარების წინაპირობაა. **ჩვენს დეპარტამენტს გააჩნია საქართველოში პრაქტიკული მუშაობის ყველაზე დიდი გამოცდილება. 2022 წლისათვის ჩვენთან ჩატარებულია 37 000-ზე მეტი კორონაროგრაფია და 14000-ზე მეტი კორონარული სტენტირება!**

**— რას ნიშნავს გულის კათეტერიზაცია?**

— ეს არის ინვაზიური მეთოდებით გულის ფუნქციის და კორონალური არტერიების მდგომარეობის დადგენა. როგორც წესი, რომელიმე პერიფერიული, ზემო კიდურის არტერიიდან კეთდება მცირე ნაჩხვლეტი, მასში ხდება სპეციალური კათეტერის შეყვანა, რომელიც გულისკენ მიემართება. მისი მოძრაობა რენტგენის კონტროლის ქვეშ ხდება. მოგეხსენებათ, გულის კუნთს კვებავს ორი კორონალური — მარჯვენა და მარცხენა არტერია, საბოლოოდ იქ უნდა მოხვდეს კათეტერი. ამ მიზნით არტერიებში შეგვყავს საკონტრასტო ნივთიერება, რათა მივიღოთ რენტგენული „კინოგადაღება“. ასეთ მეთოდს **სელექტიური კორონაროგრაფია** ეწოდება. მისი საშუალებებით ვგებულობთ, არის თუ არა გულის მკვებავ არტერიებში დაზიანებები და თუ არის — როგორია მათი გავრცელება; ან რა ხარისხს მიეკუთვნება ეს დაზიანებები. ასეთი გამოკვლევები იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, თუ როგორ უნდა მოხდეს პაციენტის მკურნალობა. გამოკვლევის მთავარი მიზანია, დადგინდეს — არის თუ არა გულის მკვებავ სისხლძარღვებში შევიწროებები, რომლებიც, ძირითადად, ათეროსკლეროზული ხასიათისაა. იშვიათად შეიძლება იყოს სპაზმიც, თუმცა, როგორც წესი, იგი 0,5-1,5 წუთის განმავლობაში გრძელდება და ვიდრე პაციენტი კლინიკაში აღმოჩნდება, მანამდე გაივლის ხოლმე. რაც შეეხება ათეროსკლეროზულ შევიწროებებს — ის ამა თუ იმ ლოკაციაში სხვადასხვა ხარისხით ვლინდება, ამასთან, შეიძლება იყოს ერთეული ან მრავლობითი. როგორც ცნობილია, იშემიას იწვევს ისეთი შევიწროება, რომელიც 50%-ს აღემატება. 50-დან 70%-მდე შევიწროება — ზომიერად, დაძაბვის სტენოკარდიად ითვლება. 70%-ზე მეტად თუ არის შევიწროებული, სისხლი უკვე ძალიან ცუდად მიეწოდება გულის კუნთს, რის გამოც შეიძლება, განვითარდეს როგორც დაძაბვის, ასევე მოსვენების სტენოკარდია; შეიძლება, შევიწროების ადგილზე გაჩნდეს თრომბი, რაც შევიწროების ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის და მწვავე იშემიით, ან სულაც, მიოკარდიუმის ინფარქტით დაგვირგვინდება.






კორონარული არტერიის ბალონური ანგიოპლასტიკის ეტაპები



კორონარულ არტერიაში სტენტის ინპლანტაციის ეტაპები

**— მკურნალობა რაში გამოიხატება?**

— თუ სისხლძარღვის შევიწროება 50%-ს არ აღემატება, პაციენტს ეძლევა რეკომენდაცია, ჯანსაღად ცხოვრების ფონზე გააგრძელოს მედიკამენტური თერაპია, რის შედეგადაც დაირეგულირებს ცხიმების ცვლის პროცესს; ასევე უმკურნალებს ჰიპერტონიას და სხვა თანმხლებ დაავადებებს. თუ შევიწროება 50%-ს სჭარბობს, უკვე დგება კორონალური სტენტირების ან შუნტირების საკითხი, ან უნდა მოხდეს მიოკარდის რევასკულარიზაცია — სისხლძარღვების დაზიანებული უბნების ქირურგიული ან კათეტერული მეთოდით გაუმჯობესება, რისთვისაც იყენებენ პაციენტის ქვემო კიდურიდან ამოჭრილი ვენის ფრაგმენტს. არსებობს სხვა, კათეტერული მეთოდი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სისხლძარღვში შევიწროებულ ადგილამდე შედის სპეციალური ბალონური კათეტერი, რომელიც ჯერ აფართოებს შევიწროებულ ადგილს, შემდეგ იქ დგამს სტენტს.

**— რა არის სტენტი?**

— სტენტი გახლავთ ბადისმაგვარი კონსტრუქცია, რომელიც, როგორც გვირაბში არმატურა, სისხლძარღვის სანათურში იმგვარად ჩაიდგმება და გაფართოების ეფექტის სტაბილიზაციას ახდენს. თანამედროვე სტენტები სპეციალური, უჟანგავი ფოლადისგან დამზადებულ ბადეს წარმოადგენს, რომელზეც ისეთი წამლებია დატანილი, რაც განმეორებითი შევიწროების განვითარებას უშლის ხელს. თუ კორონაროგრაფიის პროცესში დგინდება, რომ შევიწროებები არ არის მრავლობითი, შეიძლება ამ პროცედურას პირდაპირ გადაებას სტენტირება. სტენტირებას ექვემდებარება ისეთი კორონარული არტერიები, რომელთა დიამეტრი 2,5-4 მილიმეტრამდეა. თუ არტერიებში დაზიანებები მრავლობითი ხასიათისაა, მაშინ განიხილება ქირურგიული ჩარევის საჭიროებაც. ადრე, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დროს, ლეტალობა 17-20% გახლდათ, თანამედროვე მედიკამენტურმა მკურნალობამ მაშინდელი სტატისტიკა 13-14%-მდე შეამცირა, ხოლო სტენტირების რევოლუციურმა მეთოდმა მწვავე ინფარქტების შემთხვევაშიც კი სიკვდილიანობა 3 %-მდე დაიყვანა!

**— რა რჩევას მისცემთ პაციენტებს?**

**— გულმკერდის არეში ნებისმიერ დისკომფორტს — ზეწოლის, სიმძიმის, მოხრჩობის, ჰაერის უკმარისობის შეგრძნებას, რომელიც ლოკალურია ან გადაეცემა ხელებს, კისერს, ზურგს — ყურადღება დროულად უნდა მიექცეს!** სასურველია, გამოიძახონ სასწრაფო დახმარების ბრიგადა ან მიმართონ სპეციალურ სამედიცინო განყოფილებას. საავადმყოფოში მიყვანამდე შეიძლება ენის ქვეშ დაიდოს ერთი ტაბლეტი ნიტროგლიცერინი. **გვახსოვდეს: ყოველი წუთი გადამწყვეტია, რათა დროულად აღიკვეთოს მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარება, რაც სიცოცხლისათვის საშიში არითმიებით შეიძლება გართულდეს და ფატალური შედეგი მოიტანოს.** თუ პაციენტს ასეთი არითმია კლინიკაში დაემართება, გადარჩენის მეტი შანსი აქვს, პარალელურად ჩაუტარდება ისეთი ღონისძიებები, რაც მიოკარდიუმის ინფარქტის მიმდინარეობას აფერხებს, მაგრამ, თუ პაციენტი სიმპტომებს ყურადღებას არ მიაქცევს და მხოლოდ ვალიდოლის მიღებით დაკმაყოფილდება, დაკარგავს იმ დროს, რაც შეიძლება სიცოცხლის გადასარჩენად გადამწყვეტი იყოს!

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

## „ჩვენს დეპარტამენტს გააჩნია საქართველოში პრაქტიკული მუშაობის ყველაზე დიდი გამოცდილება!“

# კიბოს პროფილაქტიკა გოგრის ნაყოფით

***საკვების ის ჩამონათვალი რომელთა სისტემატური გამოყენებაც, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მკვლევარები ამტკიცებენ, გარკვეული პროფილაქტიკური ღონისძიებაა კიბოთი დაავადების რისკის თავიდან ასაცილებლად.***

ადამიანის ჯანმრთელობისათვის, სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, აუცილებელს წარმოადგენს **კვებითი რეჟიმის საკითხის მოგვარება.** ეს აუცილებლობა ყოველთვის საგულისხმოა, მაგრამ ის მაშინ ხდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, როდესაც ადამიანი დასნებოვნებულია ნებისმიერი ფორმისა და ტიპის დაავადებით. ნებისმიერი ფორმის დაავადების განვითარებისათვის მრავალ ფაქტორთა ერთიანობა წარმოჩინდება, რომელთა შორისაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება **კვებითი რეჟიმის სრულფასოვნებას. რთული პროცესია ცოცხალ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის საკითხი. სწორედ ეს ცვლა უშუალოდაა დამოკიდებული კვებით რეჟიმთან.** თუ ცოცხალ ორგანიზმში ირღვევა სრულფასოვანი კვების რეჟიმი, ამის შესაბამისად ირღვევა ამ სისტემაში ნივთიერებათა ცვლის ნორმალური მსვლელობის პროცესიც. ამ მხრივ, არც ონკოლოგიური დაავადება არ უნდა იყოს გამონაკლისი და ამ სენით დაავადებულ ადამიანთა ორგანიზმებისათვის კვებითი რეჟიმისა და ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესის მსვლელობა და მათი მკაცრი კორელაციური ურთიერთდამოკიდებულება კიდევ უფრო მწვავე ფორმით უნდა იქნეს წარმოჩენილი.

**აქვე წარმოდგენილია ასევე ისეთი რეცეპტებიც, რომელთაც გააჩნიათ ორმხრივი დატვირთვა,** კერძოდ, მათი ზემოქმედებით,

## ერთი ნაყენით ერთსა და იმავე დროს მკურნალობენ როგორც ონკოლოგიურ, ისე არაონკოლოგიურ დაავადებებს.

ასეთი დატვირთვის რეცეპტების დასამზადებლად მრავალი სახის მცენარეები სახელდება, კერძოდ, **ქრისტესისხლა, უკვდავა, ალოე; სიმსივნეების სისხლმდენი ფორმებისათვის კარგ შედეგს იძლევა წყლის წიწაკა და დედაფუტკარას ერთობლივი ნაყენი.** საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული მონაცემების დამუშავებით დღეისათვის ნებისმიერი პროფილის (ხალხური, ტრადიციული და არატრადიციული) მკურნალები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ **მცენარე გოგრის კულტურაზე და აღიარებენ, რომ გოგრის ნაყოფის რბილობის საკვებად გამოყენება, ერთი მხრივ, ორგანიზმს სძენს უნარს, აიცილოს თავიდან ამ დაავადებით დასნებოვნება,** ანუ ის ასრულებს პროფილაქტიკურ როლს და თუ ეს რეალურია, მაშინ ის იმუნომოდულატორის ფუნქციასაც უნდა ასრულებდეს, რაც მისი სასარგებლოდ გამოყენების შანსს ზრდის, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია **გოგრის ნაყოფის რბილობისაგან სხვადასხვა რეცეპტებით საკმაოდ გემრიელი საკვების მომზადება და აქ ის მეორე ფუნქციასაც ასრულებს,** ადამიანი ერთი მხრივ, ნაყრდება, მაგრამ ამასთანავე გოგრისაგან საკვებად დამზადების ტექნოლოგია მას არ უკარგავს სამკურნალო თვისებებს და **ორგანიზმს ამარაგებს ეკოლოგიურად სუფთა საკვებით, რომელსაც სამკურნალო დანიშნულებაც აქვს.**





### 1. სალათა გოგრის, ჭარხლისა და ჭერმის ჩირისაგან

**საჭირო ინგრედიენტები:** უმი გოგრა, გათლილი — **100 გ.;** მოხარშული ჭარხალი — **50 გ.;** ჭერმის ჩირი — **30 გ.**

**მომზადების წესი:** უხეშ სახეხზე გახეხილ **გოგრასა** და **ჭარხალს** დავამატოთ **დამბალი ჭერმის ჩირი** და **არაჟანი** გემოვნებით. კარგად ავურიოთ ერთმანეთში. სასურველია რამდენიმე საათით მაცივარში შენახვა.

### 2. წვნიანი სადილი რძითა და გოგრით



**საჭირო ინგრედიენტები 1 ულუფისათვის:** გოგრის გათლილი რბილობი — **250 გ;** ბრინჯი — **10 გ;** რძე — **350 გ;** ნაღების კარაქი — **10 გ;** შაქარი და მარილი გემოვნებით.

**მომზადების წესი: გათლილ გოგრას** ვჭრით საშუალო ზომის ნაჭრებად და ვფარავთ **ცივი წყლით. ბრინჯს** ნახევრად ვხარშავთ ცალკე, გამზადებულ **გოგრას** ვადუღებთ **20-25 წუთი,** რის შემდეგაც ამავე ქვაბში ვამატებთ **მცენარეულ ზეთს, შაქარს** და **მარილს,** ვახურებთ სახურავს და ვადუღებთ **20-25 წუთი.**

### 3. რძიანი, წვნიანი სადილი გოგრითა და კაკლით



**საჭირო ინგრედიენტები:** გოგრა — **120 გ;** კაკალი ან თხილის გული — **12 ცალი;** ბრინჯი — **20 გ;** ნაღების კარაქი — **10 გ; ნიახური; მარილი** და **შაქარი** გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ვიღებთ **კაკალს ან თხილს,** ვხალავთ დაბალ ცეცხლზე და ვატარებთ ხორცსაკეპში. ამის შემდეგ ვასხამთ ზედ **წყალგარეულ ცხელ რძეს** და მიგვყავს დუღილამდე. ცალკე ვიღებთ წვრილ ნაჭრებად დაჭრილ **გოგრას,** ვამატებთ მას **წყალგარეულ რძეს** და ვხარშავთ დაბალ ცეცხლზე **5-10 წუთი.** ამის შემდეგ ემატება მოხარშული **ბრინჯი, შაქარი და მარილი.** მირთმევის წინ ემატება **ნაღების კარაქი** და წვრილად დაჭრილი **ნიახური.**

### 4. გოგრის სალათა



**საჭირო ინგრედიენტები:** გათლილი გოგრა — **200 გ;** დიდი ზომის ვაშლი — **1 ცალი;** ბერძნული კაკალი — **7 ცალი; ნახევარი ლიმონი;** თაფლი — **1 სუფრის კოვზი.**

**მომზადების წესი: გოგრის** რბილობს ვხეხავთ სახეხზე, მასში ვურევთ წვრილ ნაჭრებად დაჭრილ, გულამოცლილ **ვაშლს,** ნახევარი ლიმონიდან გამოწურულ **წვენს და თაფლს;** ვურევთ კარგად ერთგვაროვანი მასის მიღებამდე და ზემოდან ვაყრით წვრილად დაჭრილ **ბერძნული კაკლის გულს.**

### 5. ჩათუშული გოგრა ბრინჯით და ქიშმიშით

**საჭირო ინგრედიენტები:** გოგრის რბილობი, კანის გარეშე — **500 გ;** ბრინჯი — 1 ჩაის კოვზი; რძე — **100 გ; წყალი; შაქრის ფხვნილი; ქიშმიში;** ნაღების კარაქი — **100 გ.**

**მომზადების წესი:** კანგაცლილ **გოგრის რბილობს** ვჭრით პატარა ნაჭრებად. ვათავსებთ ქვაბში, ვასხამთ მდუღარე **წყალს** და თავდახურულ ქვაბში ვხარშავთ **15 წუთი.** ამის შემდეგ ვამატებთ **რძეს, ნაღების კარაქს, მოხარშულ ბრინჯს, შაქარს** და ვთუშავთ **3 წუთის** განმავლობაში მორევით. საკვებად შეიძლება მიირთვათ ცხელი.

### 6. გოგრის პიურე

**საჭირო ინგრედიენტები გათვლილია ნახევარი კილოგრამი გოგრის პიურეს დასამზადებლად.** გოგრის ნაყოფის რბილობი — **400 გ;** რძე — **110 გ;** პურის ფქვილი — **15 გ;** ნაღების კარაქი — **20 გ;** მარილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ვიღებთ გასუფთავებულ **გოგრის რბილობს,** ვჭრით დაახლოებით **25-30-გრამიან** ნაჭრებად, ვალაგებთ ქვაბში და ვაყოვნებთ **2-3 საათი** თავდახურულ ჭურჭელში. ამის შემდეგ ვატარებთ ხორცსაკეპში. მიღებულ მასაზე ვამატებთ **ნაღების კარაქში მოხალულ და რძეში გახსნილ ფქვილს** იმ რაოდენობით, რომ პიურემ მიიღოს დაახლოებით არაჟნის ანალოგიური კონსინსტენცია. რაც შეეხება **რძეს, ვიყენებთ პიურეს კონსისტენციის დარეგულირებისათვის,** ვამატებთ **მარილს, კარაქს,** ვურევთ ენერგიულად და ვადუღებთ მორევით **5-6 წუთის** განმავლობაში. გამზადებულ პიურეს სუფრაზე მისატანად გადავიტანთ ლანგარზე.

### 7. კვერცხთან ერთად გამომცხვარი გოგრა

**საჭირო ინგრედიენტები:** კანგაცლილი გოგრის რბილობი — **300 გ;** კვერცხი — **2 ცალი;** მცენარეული ცხიმი — **60 მლ;** მარილი.

**მომზადების წესი:** ვიღებთ **გოგრის გათლილ რბილობს** და ვწვავთ ცხელ, ზეთიან ტაფაზე, ვაყრით **მარილს** გემოვნებით. ვასხამთ **ათქვეფილ კვერცხს** და ვაცხობთ შემწვარ გოგრასთან ერთად.

### 8. გოგრის ბლინები

**საჭირო ინგრედიენტები:** გოგრის რბილობი გათლილი — **170 გ;** პურის ფქვილი — **35 გ;** რძე — **50 გ;** ნაღების კარაქი — **5გ;** კვერცხი — **1;** საფუარი — **3 გ;** ცხოველური ცხიმი, ან მცენარეული ზეთი — **5გ;** არაჟანი — **30 გ.** ან ნაღების კარაქი — **10 გ.**

**მომზადების წესი:** ვიღებთ პატარა ნაჭრებად დაჭრილ **გოგრის რბილობს,** ვხარშავთ, ვხეხავთ, მიღებულ პიურეში ვასხამთ ისეთ **თბილ რძეს,** რომელსაც დამატებული აქვს წყალში გახსნილი **3 გ. საფუარი,** ვამატებთ უმ **კვერცხს** და **პურის ფქვილს,** რომელშიც შერეულია **საფუარი.** ნარევს ენერგიულად ვზელთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე და ვაყოვნებთ თბილ ადგილას **2 საათის** განმავლობაში. ამის შემდეგ ნარევს ვამატებთ **მდნარ კარაქს, შაქარს და მარილს,** ცომს კიდევ ერთხელ გადავზელთ და კვლავაც ვდგამთ თბილ ადგილას, რათა გააგრძელოს აფუება და ვაცხობთ ცხელ, ზეთიან ტაფაზე. მირთმევის დროს შეიძლება მივაყოლოთ **არაჟანი, ან მდნარი ნაღების კარაქი.** ასევე სასიამოვნოა მისი მირთმევა მაწონთან ერთად, რომელსაც დამატებული ექნება შაქრის ფხვნილი.



### 9. გოგრის კრემი



**საჭირო ინგრედიენტები:** გოგრის რბილობი — **500 გ;** კვერცხი — **2 ცალი;** ჟელატინი — **1 ჩაის კოვზი;** ვანილი — მცირე რაოდენობით; ნაღები — **200 გ.**

**მომზადების წესი:** ვიღებთ **გოგრის კანგაცლილ რბილობს,** ვხეხავთ სახეხზე ბურბუშელას ფორმებით და ვთუშავთ უწყლოდ; ცალკე, წყალში გაჯირჯვებულ **ჟელატინს** ვხსნით 1 სუფრის კოვზ ცხელ **ნაღებში,** ხოლო **კვერცხის გულს** ვხეხავთ შაქრის ფხვნილთან ერთად. **ჟელატინსა და კვერცხის გულს ვაერთიანებთ მოთუშული გოგრის რბილობთან;** ამავე ჭურჭელშივე მთელ მასას ვამატებთ კარგად ათქვეფილ **კვერცხის ცილას, ნაღებს და მცირეოდენ ვანილს.** მომზადებულ მასას გადავზელთ კარგად ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, ვაცივებთ მაცივარში და სასმელ წვენთან ერთად ვუმასპინძლდებით სტუმრებს.

### 10. გოგრა თაფლით

**საჭირო ინგრედიენტები:** ვიღებთ **გოგრის ნაყოფს** და დანისა და ხერხის გამოყენებით ვჭრით შუაზე იმის გათვალისწინებით, რომ ეს ნაჭრები ქერქიანად უნდა მივიტანოთ სუფრაზე, შესაბამისად, უნდა ვეცადოთ, დავჭრათ იმ ფორმით, რომ ნაჭრები თავისუფლად მოთავსდეს საშუალო ზომის თეფშებზე. საჭიროა ასევე **თაფლის** დამატება.

**მომზადების წესი: ნაჭრებად დაჭრილ გოგრას თავისივე კანით ერთ ფენად ვალაგებთ ქვაბში. ვასხამთ იმდენ წყალს, რომ გოგრის ნაჭრები ნახევრად დაიფაროს წყლით.** სასურველია, ქვაბს სახურავი მორგებული ჰქონდეს ჰერმეტულად. ვდგამთ ქვაბს ცეცხლზე და ვადუღებთ **20-30 წუთის განმავლობაში.** ცეცხლიდან გადმოდგმამდე ქვაბს ვხდით სახურავს და დუღილს ვაგრძელებთ **10-15 წუთის განმავლობაში.** ამ უბრალო პროცედურით გოგრის ნაჭრები გარკვეული ხარისხით ზედმეტ წყალს კარგავს და საკვებად გამოსაყენებლად უფრო მოსახერხებელია. შემდეგ გოგრას ვიღებთ ქვაბიდან და გასაგრილებლად **ერთ ფენად ვალაგებთ თეფშებზე, ვიღებთ ქილიდან თაფლს და თითოეულ ნაჭერს ვუსვამთ თაფლს.** უმჯობესია, მიირთვათ თბილი.

## კვირგვინოსნები



**გია კორკოტაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*

ახლა ვიტყვი იმას, დღეს რა ხდება — **ადრე თუ ძალადობრივი მეთოდებით აუპატიურებდნენ ქვეყანას, დღეს აუპატიურებენ მოფერებით!** ქართველი ხალხის დაჩმუჩვნა **სააკაშვილმა** დაიწყო და **ბიძინას** ბრიგადამ, დიახ, ბრიგადამ გააგრძელა.

„ალია“



**კობა ხაბაზი**
*ყოფილი პარლამენტარი*

ალბათ, **ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც დაჯილდოებულია ღირსების ორდენით როგორც საქართველოს, ისე უკრაინის მხრიდან.** მშიშარა არასდროს ვყოფილვარ. მაიდანი, აჭარის რევოლუცია, „ვარდების რევოლუცია“... მშიშარა რომ ვიყო, ეს ყველაფერი არ იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში.

„თბილისელები“



**კახა ზოიძე**
*ჯანდაცვის ექსპერტი*

ზედა ზღვრის დაწესებამ **მედიკამენტებზე ფასების 30-40-პროცენტიანი შემცირება** უნდა გამოიწვიოს.

„რეზონანსი“



**ხათუნა ლაგაზიძე**
*ექსპერტი*

წესით, **პუტინმა** უნდა იცოდეს, რომ **ბირთვული იარაღის გამოყენებას** რუსეთისთვის უმძიმესი შედეგი მოჰყვება, პირადად მისთვის კი ჰარაკირის ტოლფასია.

„კვირის პალიტრა“



**ვაჟა ბერიძე**
*ანალიტიკოსი*

თუ რუსეთი **ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს** გამოიყენებს, მიგრაციის პროცესი კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება.

„საერთო გაზეთი“

***წინა კვირას სტამბოლის ცენტრში, რომელიც ტურისტებისთვის მეტად მიმზიდველი ადგილია, აფეთქება მოხდა. გარდაიცვალა — 6, ხოლო დაშავდა 81 ადამიანი. თვითმკვლელმა ქალმა, რომელიც თურქეთში სირიიდან შეიპარა, ასაფეთქებელ მასალად ტროტილი გამოიყენა და შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის სულეიმან სოილუს განცხადებით,*** *„სტამბოლში მოწყობილი ტერაქტის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის ალიანსი კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს. უფრო მეტიც, თურქეთი არ იღებს ამერიკის საელჩოს სამძიმარს და უარყოფს მას, რადგან შეერთებული შტატების სენატი ფინანსურ დახმარებას უწევს ქურთ მებრძოლებს, რომლებიც თურქეთში მშვიდობას არღვევენ!“* ***კიდევ უფრო შორს წავიდა თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი, რომელმაც განაცხადა —*** *„52 წლის განმავლობაში ევროკავშირის კართან გვაყურყუტეს და არ გვიშვებდნენ შენგენის ზონაში, თუმცა, სრულიად უსარგებლო ქვეყნებს სიამოვნებით იღებდნენ! მათი ნამოქმედარის შედეგად ლტოლვილთა ტვირთი ჩვენს ქვეყანას აწვება!.. ჩვენ ვართ ნატოში სიდიდით მეორე არმია, რომელიც ევროპის საზღვრებს საიმედოდ იცავდა. როგორც ჩანს, ჩვენ გვიყენებენ და თან არ გვენდობიან, თუმცა, ჩვენ ამას ვუპასუხებთ, როცა დრო მოვა!“* ***პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში, პროფესორი ვახტანგ მაისაია მიიჩნევს, რომ ერდოღანი ამერიკასთან დაპირისპირებას ამომრჩევლის გულის მოსაგებად თამაშობს, სინამდვილეში კი თურქეთის ერთპიროვნული მმართველი ვაშინგტონთან რადიკალურ ნაბიჯებზე არ წავა, რადგან კარგად იცის, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, ხელისუფლება დაკარგოს:***

## ვახტანგ მაისაია:

# კავკასიაში რუსეთისა და თურქეთის ჯახი გარდაუვალია!





— 1952 წლიდან თურქეთი ნატოს წევრია, მაგრამ 1987 წლიდან მოყოლებული ევროკავშირის კართან მართლაც აყურყუტებენ და ორგანიზაციაში არ იღებენ, რის გამოც ოფიციალური ანკარა გაბრაზებულია... სწორედ ამიტომ თურქეთი უნგრეთთან, აზერბაიჯანთან, ყაზახეთთან, თურქმენეთთან, ყირგიზეთთან და უზბეკეთთან ერთად ქმნის და აყალიბებს თურქულენოვან სახელმწიფოთა კავშირს.

**— რამდენად უქმნის საფრთხეს თურქულენოვანი ქვეყნების ერთობა რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს?**

— საფრთხე, ცხადია, არსებობს, რადგან რუსეთში მთელი თათარისტანი, ვოლგისპირეთი, ურალისპირეთი და ციმბირი სწორედ თურქულენოვანი ხალხებით არის დასახლებული! **რუსეთის დასუსტების ფონზე, თურქეთი თურქულენოვანი ხალხების, დაახლოებით 500 მილიონამდე ადამიანის პილიტიკური და იდეური ლიდერის როლში მოგვევლინა!**

**— ანუ ერდოღანმა „დიდი თურანის“ იდეის განხორციელება დაიწყო?**

— შეიძლება ითქვას, რომ ერდოღანის პოლიტიკის მიზანი მართლაც „დიდი თურანის“ იდეის ფრთაშესხმაა! ამავდროულად თურქეთს ძალიან უნდა, გახდეს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრიც...

**— ნატოს წევრი თურქეთი არ იღებს ამერიკის სამძიმარს, ერდოღანი ეძმაკაცება პუტინს და ამ დროს იმავე ერდოღანის სიძე უკრაინას აწვდის „ბაირახტარებს“ და სამარეს უთხრის რუსეთის არმიის წარმატებებს... ეს რა პოლიტიკაა?**

— უფრო მეტიც, სულ ახლახან თურქეთმა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე მხარი დაუჭირა უკრაინას და დასტური მისცა რეპარაციების მოთხოვნას, რომელიც რუსეთმა უკრაინას ომის მიერ მიყენებული ზიანის გამო უნდა გადაუხადოს! თურქეთმა კარგად იცის, რომ დღეს რუსეთს ძალიან უჭირს და შექმნილი მდგომარეობით სარგებლობს!

**— ერდოღანმა ხაზგასმით განაცხადა, რომ ნატოში მას ჰყავს სიდიდით მეორე არმია!**

— თურქეთის არმია დაახლოებით 700 ათას კაცს ითვლის. ეს არის ძალიან მძლავრი და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული, კბილებამდე შეიარაღებული სამხედრო ძალა, რომლის შეჩერებაც რთულია. ამასთან, თურქეთი უკვე გახდა ენერგეტიკული ჰაბი, ხოლო მისი სავალუტო რესურსები ოქროზე 63 მილიარდ დოლარს შეადგენს. აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში თურქეთის პოზიციები სულ უფრო და უფრო ძლიერდება. თურქეთი ქმნის ახალ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს, მაგალითად, თურქეთ-პაკისტან-აზერბაიჯანის სამხედრო ბლოკს.

**— ერდოღანისა და თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუს განცხადებების შემდეგ თურქეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაფუჭებას არ ელოდებით?**

— 2016 წელს ერდოღანმა ამერიკას პირდაპირ ხელი დაადო — გადატრიალებას მიწყობდითო! — მაგრამ თურქეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობა მაშინაც კი არ გაფუჭებულა. **ერდოღანი საკმაოდ ცბიერი და ჭკვიანი კაცია, მან იცის ამერიკის ძალა და ისიც იცის, რომ ამერიკასთან ურთიერთობისას წითელ ხაზს არ უნდა გადავიდეს, თორემ ხელისუფლებას დაკარგავს!** გამოვრიცხავ, რომ თურქეთმა თავი დაიღუპოს და ამერიკას დაუპირისპირდეს!

**— თუ ასე გაგრძელდა, თურქეთი რუსეთს კავკასიიდან განდევნის?**

— ჯერჯერობით რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს მეგობრობას ეფიცებიან, მაგრამ რუსეთის დასუსტების ხარჯზე თურქეთი კავკასიასა და შუა აზიაში ძლიერდება, რაც ქმნის მათი დაპირისპირების საფრთხეს! თურქეთმა ყაზახეთთან სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულება გააფორმა და „ოდეკაბეს“ ალტერნატიული ორგანიზაციის შესაქმნელად ემზადება, სადაც, ალბათ, ყველა თურქულენოვან სახელმწიფოს შეიყვანს. თუ ეს მოხდა, ამას რუსეთისთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვება და კავკასია მთლიანად თურქეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცევა! ასე რომ,

**თურქეთის ამბიციები ძალიან მზარდია და თუ ახლა პუტინი და ერდოღანი ერთმანეთს ძმობას ეფიცებიან, ცოტა ხანში თურქეთი რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგედ და კონკურენტად გადაიქცევა!**

**— რა პერსპექტივა აქვს ამ ყველაფრის გათვალისწინებით რუსეთს, რომელიც უკრაინაში საშინელ ომშია ჩათრეული?**

— უკრაინის ავანტიურა რუსეთს ძალიან ძვირი უჯდება და მომავალში კიდევ უფრო ძვირი დაუჯდება. **რუსეთის არმიაში უკვე ზუსტად ის პროცესებია დაწყებული, რაც 1916 წელს ნიკოლოზ მეორის არმიაში ხდებოდა — რიგითები არათუ ლეიტენანტებს, კაპიტნებსა და მაიორებს, არამედ პოდპოლკოვნიკებსაც აღარ ემორჩილებიან და დედას აგინებენ!** ამ ფონზე დიდია იმის ალბათობა, რუსეთის რეგიონებში აჯანყებები დაიწყოს და კრემლმა პერიფერიებზე კონტროლი დაკარგოს! ცხადია, ეს ყველაფერი თურქეთის გეოპოლიტიკურ სტატუსსა და ინტერესებს უფრო აძლიერებს და ამტკიცებს. ამიტომ, თუ ასე გაგრძელდა, კავკასიაში რუსეთისა და თურქეთის ჯახი გარდაუვალია!



**„რუსეთის დასუსტების ფონზე, თურქეთი მთელი თურქულენოვანი ხალხების, დაახლოებით 500 მილიონამდე ადამიანის პოლიტიკური და იდეური ლიდერის როლში მოგვევლინა!“**

**„რუსეთის არმიაში უკვე ზუსტად ის პროცესებია დაწყებული, რაც 1916 წელს ნიკოლოზ მეორის არმიაში ხდებოდა — რიგითები არათუ ლეიტენანტებს, კაპიტნებსა და მაიორებს, არამედ პოდპოლკოვნიკებსაც აღარ ემორჩილებიან და დედას აგინებენ!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**გიორგი მუმლაძე**
*ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი*

**ნიკა მელიამ,** როგორც პარტიის **შიდა განახლებისთვის** მებრძოლმა ლიდერმა, ვერ ივარგა.

„ახალი თაობა“



**შოთა გლურჯიძე**
*მხატვარი*

ჩემს ერთ წინასწარმეტყველებას გაგანდობთ — **მელია შეიძლება „ქართულ ოცნებაში“ აღმოჩნდეს!**

„საერთო გაზეთი“



**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*

ნაცმოძრაობაში ყველა მხარე კამათობს, **ვინ არის ახლოს სააკაშვილთან — კაკო ბოხოხიძემ** სწორად გაიხსენა: **ლენინი ქმედითუუნარო რომ იყო, შიდა ბრძოლა დაიწყო და ყველა მის სახელს იყენებდა!**

„პალიტრანიუსი“



**აკაკი ბობოხიძე**
*„ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი*

ნაციონალური მოძრაობა ჩვენმა გასვლამ არათუ დაასუსტა, **უსახურ, უიდეოლოგო პარტიად** გადაიქცა.

„პალიტრანიუსი“



**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

ეს ხელისუფლება იმდენად არის დაზიანებული, რომ **შეკეთებას არ ექვემდებარება** — ჯართია!

„პალიტრანიუსი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

**სააკაშვილის, კეზერაშვილის მეგობრები ვერ იქნებიან საქართველოს მეგობრები!**

„პირველი არხი“

***მედიცინის დოქტორი და ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ მეთოდებისა და რეცეპტურის შესახებ გვესაუბრება, რომლის გამოყენებითაც საოჯახო პირობებში არათუ გულის მკურნალობა, არამედ მწვავე სტენოკარდიული შეტევისა და ინსულტის წინარე სიტუაციის დროებით განეიტრალებაც კი შესაძლებელია:***





**„წონის ერთი კილოგრამით დაკლება წნევას ერთი ერთეულით დაბლა სწევს!“**

**„მაღალი წნევის მქონე ადამიანმა ცერა თითის ბალიშზე ნემსი უნდა იჩხვლიტოს და სისხლი მაქსიმალურად გამოიდინოს! თავიდან სქელი, მუქი ფერის სისხლი წამოვა და წნევაც ნელ-ნელა დაიწევს!“**

# კახა საბახტარიშვილი:

# გულის შეტევის დროს პირში კონიაკი დავიგუბოთ!




— გულ-სისხლძარღვთა დაავადებით გარდაცვლილთა რიცხვი მსოფლიოში კატასტროფული სისწრაფით მატულობს. **გულისთვის ყველაზე უარყოფითი პერიოდი სწორედ გვიანი შემოდგომა და ზამთარია, რადგან სიცივე, უმოძრაობა, ატმოსფერული წნევის ცვალებადობა და მზის შუქის ნაკლებობა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ძალიან ცუდად აისახება.** არსებობს ასეთი საშიში სტატისტიკაც — შემოდგომა-ზამთარში ავადმყოფობით გარდაცვლილთა დაახლოებით 70 პროცენტი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე მოდის!

**— ბატონო კახა, შესაძლებელია თუ არა, ადამიანი თავს იდეალურად გრძნობდეს, მაგრამ არ იცოდეს, რომ გულსა და სისხლძარღვებზე სერიოზული პრობლემები აქვს?**

— ბევრს მიაჩნია, რომ მაღალი არტერიული წნევა, ანუ ჰიპერტონია, რომელიც სხვათაშორის, ამ ბოლო დროს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გახშირებული და გაახალგაზრდავებული სენია, მხოლოდ თავბრუხვევით, თავის ტკივილითა და თვალების დაწითლებით გამოვლინდება. სინამდვილეში **არტერიული ჰიპერტონია შესაძლოა, აბსოლუტურად უსიმპტომოდ, ყოველგვარი ჩივილების გარეშე მიმდინარეობდეს და ადამიანმა მხოლოდ წნევის შემთხვევით გაზომვის შედეგად გაიგოს, რომ მაღალი წნევის მატარებელია.** გვახსოვდეს — წნევა არ იწვევს თავის ტკივილს, პირიქით, თავის ტკივილი იწვევს წნევას! საერთოდ, ნებისმიერი ტკივილის დროს ორგანიზმში გამოიყოფა ნივთიერება **კორტიზოლი,** რომელიც მაღალი არტერიული წნევის უძლიერესი მაპროვოცირებელია...

**— ოჯახურ პირობებში როგორ უნდა მივხვდეთ, რომ გული გვაწუხებს?**

— არსებობს **„მარტინესის ტესტი“** — *მოსვენებულ მდგომარეობაში 30 წამის განმავლობაში ოცჯერ ჩავიბუქნოთ და გავიმართოთ და ბოლოს გავიზომოთ პულსი, რომელიც, რა თქმა უნდა, აჩქარებული იქნება. შევისვენოთ ორი წუთი და ისევ გავიზომოთ. ჯანმრთელი ადამიანისთვის ორი წუთი სავსებით საკმარისია, რომ პულსი ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდეს, ხოლო, თუ გული პრობლემურია, მაშინ პულსი ისევ მაღალი იქნება...*

**— თუ ადამიანს ჩაბუქვნა არ შეუძლია?**

— მაშინ არსებობს სხვა წესიც, რომელსაც **„შტანგეს-ტესტი“** ეწოდება... *სამჯერ ღრმად შევისუნთქოთ და ამოვისუნთქოთ... შემდეგ კვლავ ღრმად შევისუნთქოთ და შევეცადოთ, სუნთქვა შევიჩეროთ... თუ სუნთქვის შეჩერება 40-50 წამით შევძელით, ეს ძალზე კარგი მაჩვენებელია და გვეუბნება, რომ ჩვენი გული ჯანმრთელია, მაგრამ თუ სუნთქვის შეკავება მხოლოდ 40 წამზე ნაკლებ დროში შევძელით, მაშინ სასწრაფოდ კარდიოლოგს უნდა მივაშუროთ და გამოკვლევები ჩავიტაროთ!*



**— ბევრი მკერდის არეში ტკივილს გრძნობს და ჰგონია, რომ გულზე პრობლემები აქვს. როგორ უნდა გამოვიცნოთ, სინამდვილეში რისგან არის გამოწვეული ეს ტკივილი?**

— თუ ტკივილი მომენტალური და უეცარია, მას გულთან კავშირი არა აქვს! ის შესაძლოა, გამოწვეული იყოს ფიზიკური ტრავმით, გადაღლით ან ნევრალგიით. გულთან დაკავშირებული ტკივილი, როგორც წესი, ხანგრძლივია, მან რამდენიმე წუთი და უფრო მეტი ხანიც შეიძლება გასტანოს, ერთნაირად ძლიერია და აუტანელი. **რაც ყველაზე მთავარია, ამ დროს ტკივილი გვეწყება არა მარცხენა მხარეს, არამედ ზუსტად მკერდის შუაში, ე.წ. გულის ფიცრის უკან, რომელიც შეიძლება გავრცელდეს მარცხენა ხელზე, მარცხენა მხარზე და თვით მარცხენა ყბა-სახის მიდამოზეც კი...** თუ ამ ყველაფერს თან დაერთო ქოშინი და ჰაერის უკმარისობა, დაუყოვნებლივ სასწრაფო უნდა გამოვიძახოთ!



**„გარგარი დედამიწაზე ერთ-ერთი საუკეთესო ხილია, რომელიც გულზე საუცხოო გავლენას ახდენს!“**

**— სანამ სასწრაფო მოვა მანამდე ოჯახის პირობებში რა უნდა გავაკეთოთ?**

— მანამდე ენის ქვეშ ამოვიდოთ **ნიტროგლიცერინის აბი,** რომელიც სისხლძარღვებს მომენტალურად გააფართოებს, წნევას დაბა დასწევს და ადამიანს ინფარქტისგან იხსნის! **თუ წნევა 100 მილიმეტრზე დაბალია, ნიტროგლიცერინის გამოყენება არ შეიძლება!**

**— დავუშვათ, ოჯახში არ გვაქვს ნიტროგლიცერინი, მაშინ რას ვშვრებით?**

— **გულის შეტევის თავიდან ასაცილებლად გულის არეში ტკივილის წარმოშობისთანავე რეკომენდებულია ერთი მომცრო კბილი გაფრცქვნილი ნივრის გადაყლაპვა.** ეს ერთჯერადი საშუალებაა, რომელიც ნიტროგლიცერინს შეცვლის. ნიორზე უფრო ეფექტური და სწრაფია **კონიაკი.** გულის შეტევის დროს პირში კონიაკი დავიგუბოთ! ის სისხლძარღვებს მაშინვე გააფართოებს... **თუ ინსულტის საფრთხეა, ენის ქვეშ ნიტროგლიცერინის აბის ამოდება კატეგორიულად დაუშვებელია. ნიტროგლიცერინმა სტენოკარდიული შეტევის დროს ადამიანი შესაძლოა, სიკვდილისგან იხსნას, მაგრამ ინსულტის დროს მოკლას!**

**„გულის შეტევითი ტკივილის დროს, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ხელზე სწორედ ამ წერტილს უნდა დავაწვეთ მთელი ძალით და გადარჩენის შანსს გავზრდით!“**

## კვირგვინოსნები

**კახი მაღულაშვილი (მაღულიჩა?)**
*პროდიუსერი*



იერუსალიმში არის ცნობილი ჯვრის ეკლესია, სადაც **ლიმონის ხე დგას და ამბობენ, რომ მისი ნაყოფი უნაყოფო ადამიანებს შველის.** ჩემთან ერთად იყო **დათო გომართელი** მეუღლესთან მარიშასთან ერთად და **გუკა რჩეულიშვილი ნუცა კუხიანიძესთან** ერთად. არცერთს არ ჰყავდა შვილი. ავძვერი ამ ხეზე, მოვწყვიტე ორი ლიმონი, ჩამოვიტანე და ერთი ერთს მივეცი, მეორე — მეორეს. **იმ წელსვე ერთსაც ბავშვი ეყოლა და მეორესაც.** „თბილისელები“

**ანი ბუყეჩავა?**
*მსახიობი*



როგორც ქალმა, **საკუთარი თავის განებივრება** საკმაოდ გვიან დავიწყე და საერთოდ, გვიან მივხვდი, რომ ქალი ვარ. „თბილისელები“

**მარი (ნანა) მახარაძე**
*ყოფილი ემიგრანტი, გოგონა შავი დროშით, ოთხი მეჩიოთვის? მიერ 1989 წლის 9 აპრილს გადაღებული კადრიდან*



**11-წლიანი ემიგრაციის შემდეგ მე დავბრუნდი!** მიუხედავად ყველაფრისა, დღეს უბედნიერესი ვარ, რომ დავბრუნდი. ალბათ, ვიპოვი ჩემს ადგილს სამშობლოში. ასე ვიტყოდი — **იტალია არის ქვეყანა,** რომელმაც ცხოვრება შემაძლებინა, **საქართველო კი არის ქვეყანა,** რომლისთვისაც ყოველთვის ვიცოცხლებ. „კვირის პალიტრა“

**ირინა ონაშვილი**
*ავტომრბოლელი*



ათწლეულში ერთხელ ჩემს ცხოვრებაში ახალი წარმატება მოდის. ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის, **37 წლის ასაკში ავტოსპორტის მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვებო,** ძალიან გამეცინებოდა. „სარკე“

**ლიანა სეთიაშვილი**
*მომღერალი*



ყოველთვის ვოცნებობდი **ერთ და მარადიულ სიყვარულზე,** მაგრამ არ გამოვიდა. 49 წლის გავხდი და ძალიან მომწონს ჩემი ასაკი. „სარკე“

# „ნიტროგლიცერინმა სტენოკარდიული შეტევის დროს ადამიანი შესაძლოა, სიკვდილისგან იხსნას, მაგრამ ინსულტის დროს მოკლას!“




— როგორ უნდა გავარჩიოთ ინსულტი გვემუქრება თუ ინფარქტი?

**– თუ ადამიანს მოულოდნელად განუვითარდა მარცხენა ან მარჯვენა ხელისა და ფეხის სისუსტე, მარცხენა ან მარჯვენა ხელის უეცარი დაბუჟება, ტუჩის არეში დაბუჟება, თავბრუხვევა მწოლიარე მდგომარეობაში, რომელიც სიარულის დროს კიდევ უფრო ძლიერდება, ეს უკვე ინსულტის წინარე ნიშნებია.**

შეგვიძლია, ჩავატაროთ უმარტივესი ტესტი — ასეთ ადამიანს ვთხოვოთ, გაიღიმოს! *თუ ტუჩის ერთ-ერთი მხარის კუნთები გაღიმებისას ჩვეულებრივად შეიკუმშება, ხოლო მეორე ნახევარი უმოძრაოდ იქნება, ეს უკვე ინსულტის დასაწყისია.* არსებობს მეორე ტესტიც — **ასეთ ადამიანს ვთხოვოთ, ორივე ხელი ერთდროულად ასწიოს და ჰორიზონტალურად გააჩეროს!** ერთ-ერთი ხელი აუცილებლად დაბლა იქნება დაშვებული... როგორც კი ამ ნიშნებს დავაფიქსირებთ, პაციენტი მაშინვე უნდა წამოვაწვინოთ და სასწრაფო დახმარება გამოვიძახოთ!

**სასწრაფო დახმარების მოსვლამდე პაციენტს კეფაზე დავადოთ ყინულიანი პარკი და ფეხები დავუზილოთ მზესუმზირის ან სიმინდის ზეთისა და სპირტის ნაზავით პროპორციით 2:1-ზე.** ძალიან კარგი იქნება, თუ ავადმყოფს ამ დროს ფეხებს თბილ წყალში ჩავაყოფინებთ!

**საერთოდ, ინსულტს ხშირად ახასიათებს განმეორება. ამიტომ ყველას, ვინც ინსულტი გადაიტანა, ვურჩევ, ჯიბით ატაროს**





# „წნევიანი ადამიანებისთვის არაჩვეულებრივია ნიახური, წიწმატი და კამა. გულისთვის საუკეთესოა კუნელი, ფეიხოა და ლეღვი!“

**პრეპარატი „გლიცინი“. ინსულტის წინარე სიტუაციის დროს პაციენტს ექიმის**



შევეცადოთ წნევის სწრაფად დაწევას. **წნევა თუ სწრაფად დავწიეთ, თავის ტვინს შესაძლოა, სისხლი არ მიეწოდოს და ისევ ინსულტი განვითარდეს, ოღონდ იშემიური ხასიათის.** კორეულ მედიცინაში, სუ-ჯოკ თერაპიაში, მაღალი წნევის რბილად, ნელ-ნელა დასავასთან ერთად სისხლის შეფერილობაც შეიცვლება და ალისფერი გახდება. **წნევა ბუნებრივად გაჩერდება ზუსტად იმ წერტილში, რაც ადამიანს სჭირდება!** ამ მეთოდის გამოყენებით პირადად მე არაერთი ადამიანი ინსულტისგან გადამირჩენია!

**— როგორ ვუმკურნალოთ დაავადებულ გულს სახლის**

# „ძროხის, ხბოს, ღორის, ფრინველის მოხარშული გული გულით დაავადებულთათვის საუკეთესო წამალია!“

**პირობებში?**

— გვახსოვდეს, წონის ერთი კილოგრამით დაკლება წნევას ერთი ერთეულით დაბლა სწევს, ანუ ჭარბწონიანებმა 10 კილო თუ დაიკელით, წნევაც 10 ერთეულით დაბალი გექნებათ! **მიეჩვიეთ უმარილო საჭმელს, კვირაში თუნდაც ხუთჯერ, 30 წუთის განმავლობაში, იარეთ სწრაფი ნაბიჯებით** (წამში ორი ნაბიჯი). ასეთ დროს ორგანიზმი გამოყოფს ნივთიერებებს, რომლებიც სისხლძარღვებს აფართოებს, რათა კუნთებთან ბევრი სისხლი მივიდეს. **ვისაც წნევა აწუხებს, აუცილებლად მიიღოს ნედლი ჭარხალი ან მისი წვენი, დღეში დაახლოებით 100 გრამი!** ჭარხლის წვენი ნამდვილი „ვიაგრაა“! ჭარხალი შეიცავს აზოტის ოქსიდს, რომელიც სისხლძარღვებს აფართოებს და წნევას დაბლა სწევს! **წნევიანი ადამიანებისთვის არაჩვეულებრივია ნიახური, წიწმატი და კამა. გულისთვის საუკეთესოა კუნელი, ფეიხოა და ლეღვი...** გულის პროფილაქტიკისთვის ოჯახურ პირობებში სისტემატურად მიიღეთ შემდეგი რეცეპტურა: *200 გრამ გარგარის ჩირს დაუმატეთ 200 გრამი თაფლი, 200 გრამი ქერმის ჩირი და 200 გრამი ქიშმიში. ყველაფერი კარგად აურიეთ და დღეში 1 სუფრის კოვზი ორ-სამჯერ ჭამამდე 1 საათით ადრე მიიღეთ!* ეს ნარევი იმდენ მიკროელემენტს, ვიტამინსა და სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს, არამარტო გულის, არამედ ნებისმიერი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო წამალია.

ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე მცხოვრები მცირე ხალხი — ხუნძები, რომლებიც აბსოლუტურად კავკასიურ რასას განეკუთვნებიან და ალექსანდრე მაკედონელის ჯარისკაცების შთამომავლები არიან, გამოირჩევიან განსაკუთრებული დღეგრძელობით. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 100-110 წელს აღწევს. მეცნიერები ამ ფენომენს იმით ხსნიან, რომ ხუნძები ზამთარ-ზაფხულ **გარგარით** იკვებებიან! გარგარი დედამიწაზე ერთ-ერთი საუკეთესო ხილია, რომელიც გულზე საუცხოო გავლენას ახდენს! იგივე შეიძლება ითქვას **ფინიკზეც...** ებრაელი პროფესორის **მიხაილ ავირამის** კვლევით, ფინიკი სისხლში შაქრის დონის მატებას არ იწვევს და ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებასა და სისხლძარღვების დახშობას! ასე რომ, **100 გრამი ფინიკის მიღება თვით დიაბეტიანებსაც კი შეუძლიათ.**

გულით ავადმყოფ პაციენტებს შევახსენებ, რომ სუ-ჯოკ თერაპიასა და ჰომეოპათიაში არსებობს პრინციპი — **„მსგავსი იკურნება მსგავსით!“** ეს ბუნების საერთო კანონია... ამ პრინციპიდან გამომდინარე, ადამიანმა უნდა მიირთვას ფიზიკურად იმის მსგავსი საკვები, რომელი ორგანოც აწუხებს... **ძროხის, ხბოს, ღორის, ფრინველის მოხარშული გული გულით დაავადებულთათვის საუკეთესო წამალია!**

**მოსვლამდე ენის ქვეშ 10 აბი „გლიცინი“ უნდა ამოვუდოთ!**

„გლიცინი“ თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას მკვეთრად აუმჯობესებს და ზუსტად იმ როლს ასრულებს, რასაც ნიტროგლიცერინი ინფარქტის წინარე სიტუაციაში ანდა სტენოკარდიული შეტევის დროს!

**— მოგეხსენებათ, ინსულტის მიზეზი შესაძლოა, გახდეს ძალზე მაღალი არტერიული წნევა. როგორ მოვიქცეთ ასეთ დროს სახლის პირობებში, სანამ ექიმი მოვა?**

— არავითარ შემთხვევაში არ წევად იდეალური მეთოდი არსებობს — **მაღალი წნევის მქონე ადამიანმა ცერა თითის ბალიშზე ნემსი უნდა იჩხვლიტოს და სისხლი მაქსიმალურად გამოიდინოს!** თავიდან სქელი, მუქი ფერის სისხლი წამოვა და წნევაც ნელ-ნელა დაიწევს... წნევის დაწე-



# „ებრაელი პროფესორის მიხაილ ავირამის კვლევით, ფინიკი სისხლში შაქრის დონის მატებას არ იწვევს და ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებასა და სისხლძარღვების დახშობას!“

**— დავუშვათ, ადამიანი მარტოა და ისეთ სიტუაციაშია, არც წამალი აქვს, არც მშველელი ჰყავს და დაეწყო საშინელი გულისტკივილი, რა უნდა გააკეთოს?**

— მარცხენა ხელის ცერა თითის ფუძეს, რომელიც ხელისგულს უერთდება, აქვს ერთი წერტილი, რომელიც სტენოკარდიული შეტევის დროს თითით ზემოქმედებისას ძალზე მტკივნეული ხდება. **სწორედ ეს არის გულის პროექცია ხელისგულზე.** გულის შეტევითი ტკივილის დროს, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ხელზე სწორედ ამ წერტილს უნდა დავაწვეთ მთელი ძალით და გადარჩენის შანსს გავზრდით!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ნუგზარ კვაშალი**
*მომღერალი*



მე და **ალექსანდრე ბასილაიამ** თელავში **მფრინავი თეფში ვნახეთ.** მის გარშემო სამხედრო ვერტმფრენები დაფრინავდნენ, მაგრამ შეტევაზე არ გადასულან. მერე ეს უცხო ობიექტი გაქრა.

„სარკე“

**მიხეილ ზაქარიაშვილი**
*მომღერალი, კომპოზიტორი*



ერთი წელია, **სიმღერების წერას თავი დავანებე** და კლასიკაში გადავეშვი, **უფრო განათლებული მსმენელი შევიძინე** და უფრო საინტერესოა!

„ახალი თაობა“

**მაცაცო თოხაძე**
*სიმღერების ავტორ-შემსრულებელი*



მეგობარი დიდი ხანია, მეხვეწება, დავწერო სიმღერა ჩვენს მეგობრობაზე, სადაც ტექსტში გამოვიყენებ სიტყვებს **„ტრუსიკის მეგობრები“,** მაგრამ აბა, როგორ გინდა, დაწერო ქართული სიმღერა და იქ გააჟღერო სიტყვა **„ტრუსიკი“?**

„სარკე“

**ქრისტი ყიფშიძე**
*მოდელი*



თუ რამის კეთება არ მინდა, **ვერანაირი ჰონორარით ვერ „დამკერავთ“.** მე ძალიან მომწონს ის, რომ 1977 წელს დავიბადე საქართველოში და ძალიან საინტერესო ეტაპები გამოვიარე **საბჭოთა საქართველოდან დამოუკიდებელ საქართველომდე.** რაც მთავარია, ორ საუკუნეს მოვესწარი, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენების მომსწრე ვარ.

„თბილისელები“

**ნინო ბაჩიჩილაძე**
*მსახიობი*



რეალური ცხოვრება **40 წლის** შემდეგ იწყება.

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი: ცხოველები ჩვენს სახლში და ასტროლოგია

*— ჰოროსკოპში არსებული მონაცემების მიხედვით რა შემთხვევაში არის მნიშვნელოვანი ადამიანისთვის არა სახლში მყოფი ცხოველის წარმომავლობა, არამედ მისი კეთილგანწყობა, მხიარული ხასიათი, კონტაქტურობა? ვის სახლში იხილავთ ხშირად მოლაპარაკე თუთიყუშებს? რა შემთხვევაში გამოირჩევა ადამიანი განსაკუთრებული გულმოწყალებით ცხოველის მიმართ, სახლში მოჰყავს უპატრონო ცხოველი, უვლის და ზრუნავს მასზე; ვინ გრძნობს მის ენერგეტიკას და დადებით ზემოქმედებას საკუთარ განწყობასა თუ ფსიქიკაზე? ვისი სურვილია, იამაყოს თავისი ცხოველით და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგვარეულო ნუსხას, გარეგნობასა და შეფერვას? ვის სახლში უნდა იყოს ყველა ცხოველი მშვიდი, დინჯი, დისციპლინირებული ანდა ვის მოჰყავს სახლში ცხოველი, ძირითადად პრაქტიკული მიზნით, ძაღლი, როგორც კარმიდამოს დამცველი, კატა კი, როგორც მღრღნელების გამანადგურებელი? რომელ ცხოველებს ანიჭებდნენ უპირატესობას მარკ ტვენი, ვივიენ ლი, ჯონ ლენონი ანდა ვინ ბინადრობდა ემანუელ მაკრონის, კეტრინ ზეტა-ჯონსის ან შაკირას სახლში და რატომ? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— როგორც აღნიშნეთ, ადამიანის პირად ჰოროსკოპში მე-6 ასტროლოგიური სახლის ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში ან რომელიმე ციური სხეულის მე-6 სახლში განლაგების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის შესაბამისობასა და სიყვარულზე ამა თუ იმ ცხოველის მიმართ. ამგვარად, განვაგრძოთ ჰოროსკოპში სხვადასხვა ასტროლოგიური კონფიგურაციების განხილვა...**

— **3. მე-6 სახლი ტყუპის ზოდიაქოში ან პლანეტა მერკური მე-6 სახლში.** პირად ჰოროსკოპში ამგვარი ასტროლოგიური კონფიგურაციის მქონე ადამიანებს სურვილი აქვთ, ცხოველი თავად ასეირნონ. თვალსაწიერი მათი დახმარებით გაიფართოონ, ახალი და საინტერესო ადამიანებიც გაიცნონ, ამიტომ, ძირითადად, სახლში მოჰყავთ ძაღლები, რომელთა საგვარეულო ნუსხასა და ჯიშს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. მთავარია, ძაღლი არ იყოს აგრესიული, მაგრამ იყოს აქტიური, მხიარული, კეთილგანწყობილი და კონტაქტური. მართლაც, ამგვარი პატრონის ცხოველები მეტად გონიერნი და კომუნიკაბელურები არიან. მათ სახლში ხშირად შეხვდებით ძაღლების გარდა მოლაპარაკე თუთიყუშებს, იქნება ეს მცირე ზომის ტალღოვანები, კორელები თუ დიდი ზომის არა. ასეთი ადამიანი დროს სიამოვნებით ატარებს თუთიყუშებთან, თავის ბინადრებს ხშირად ესაუბრება, ამიტომ ისინიც მალე სწავლობენ ლაპარაკს და, როგორც სჩვევიათ, ნასწავლ ტექსტებს იმეორებენ. მაგალითად, **კეტრინ ზეტა-ჯონსი,** რომელსაც ჰოროსკოპში ამგვარი კონფიგურაცია გააჩნია, ხშირად თავად ასეირნებს თავის ძაღლს ბოლონიიეზს.

**4. მე-6 სახლი კირჩხიბის ზოდიაქოში ან მთვარე მე-6 სახლში.** ამგვარი კონფიგურაციის მქონე ადამიანები ძალიან სენტიმენტალურები არიან, ცხოველები ეცოდებათ და ხშირად სახლში უპატრონო ძაღლი ან კატა მოჰყავთ, მკურნალობენ, უვლიან და პატრონობენ. თავად იტოვებენ ან იმ ახლობლებს ჩუქნიან, ვისი იმედიც აქვთ და ვისაც ცხოველი ჭეშმარიტად სჭირდებათ. ამიტომ ჰოროსკოპში ამგვარი პლანეტური განლაგების მქონე ადამიანებისთვის ცხოველის წარმომავლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მათთვის უმთავრესი გულისხმიერება და სიყვარულია. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ცხოველი არააგრესიული, მშვიდი, მოსიყვარულე იყოს და ბავშვები უყვარდეს. სხვა შემთხვევაში, დიდი გულისტკივილით ცხოველის გაჩუქება მოუწევთ. ნიშანდობლივია, რომ ასეთ ადამიანებს ცხოველთან ღრმა სულიერი კავშირი უყალიბდებათ, ცხოველის ენერგეტიკასა და მის დადებით ზემოქმედებას საკუთარ თავზე, განწყობაზე, შეგრძნებებსა და ფსიქიკაზე აშკარად გრძნობს. მაგალითად, **მარკ ტვენს,** რომელსაც **მთვარე** მე-6 სახლში ჰქონდა განლაგებული, ძალიან უყვარდა ცხოველები, განსაკუთრებით კი კატები. ამავე კონფიგურაციის მქონე **ემანუელ მაკრონს** სახლში უსახლკაროთა თავშესაფრიდან წამოყვანილი ძაღლი ჰყავს. ასევე ქუჩიდან მოყვანილი ძაღლი ჰყავს სახლში **ორლანდო ბლუმსაც.**

**5. მე-6 სახლი ლომის ზოდიაქოში ან მზე მე-6 სახლში.** ჰოროსკოპში ამგვარი პლანეტური განლაგების ადამიანებს სურვილი აქვთ, თავისი ცხოველით იამაყონ, ამიტომ ყველაზე გამორჩეულს, ჯიშიანს, განსაკუთრებული გარეგნობის, შეფერილობის, საუკეთესო საგვარეულო ნუსხის მქონე ცხოველს ირჩევენ. მათ სახლში დიდი იშვიათობაა უჯიშო ძაღლი ან კატა (თუ ჰოროსკოპში **მზესთან** ერთად მე-6 სახლში არ მოხვდა **მთვარეც** და პლანეტა **ნეპტუნიც).** ასეთ ადამიანებს უფრო მეტად მოსწონთ ჟღალი შეფერილობის, ფუმფულა ბეწვის მქონე დიდი ზომის ცხოველები, რომლებიც რაღაცით ლომებს ემსგავსებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ ძაღლებზე უფრო მეტად კატები იზიდავთ. მათი ცხოველები ძალიან აქტიურები არიან, ბევრს თამაშობენ, თუმცა, ზოგჯერ სიჯიუტესაც ავლენენ და იბუტებიან კიდეც. მაგალითად **ჯონ ლენონს** ძალიან უყვარდა კატები და სახლში მუდმივად ერთი ან რამდენიმე ჰყავდა. მის ჰოროსკოპში მე-6 სახლი **ლომის** ზოდიაქოში იყო განლაგებული. კატები ასევე უყვარდა **ვივიენ ლის.** განსაკუთრებით სიამის ჯიშისა. მის მე-6 სახლში კი განლაგებული იყო **მზე.**

**6. მე-6 სახლი ქალწულის ზოდიაქოში ან პლანეტა მერკური ანდა უხილავი პლანეტა პროზერპინა მე-6 სახლში.** ჰოროსკოპში ამგვარი მონაცემის მქონე ადამიანის სახლში, შესაძლოა, სიცოცხლის მანძილზე არაერთი სახეობის ცხოველი ან ფრინველი ბინადრობდეს, იქნება ეს ძაღლი, კატა, ზაზუნა, გოჭი, ჩიტი ან მცირე ზომის ეგზოტიკური არსება, მაგრამ უმეტესწილად, მის სახლში ცხოველები არა საკუთარი, არამედ ოჯახის წევრთა სურვილით ჩნდებიან. თუმცა, თავად მეტად მოწესრიგებული და პასუხისმგებლიანი პატრონია და მუდამ აკონტროლებს ცხოველის კვების, ჯანმრთელობის თუ განვითარების საკითხებს. თავისი ნებით კი სახლში ცხოველი მხოლოდ პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე მოჰყავს. მაგალითად, ძაღლი — საცხოვრებლის დასაცავად, კატა — მღრღნელების გასანადგურებლად და სხვა. ამავდროულად, მის სახლში, ყველა ცხოველი მშვიდი და დისციპლინებულია. მაგალითისათვის, **შაკირას,** რომლის ჰოროსკოპშიც მე-6 სახლი **ქალწულის** ზოდიაქოშია განლაგებული, ერთ დროს **ორი პუდელი** ჰყავდა.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 21 – 27 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**სერიოზული დაფიქრება გმართებთ არამარტო საქმეზე, არამედ სამომავლო ცხოვრებისეულ მიზნებზე და მათი მიღწევის გზებზე. გადაადგილებებისა და შეხვედრების რაოდენობა გაიზრდება, შემოსავლის მიღების ახალი პერსპექტივა გამოჩნდება, თუმცა, უმჯობესია, ძველი ხერხებით იმოქმედოთ. ნათესავთან ან მეგობართან, შესაძლოა, საქმიანი ურთიერთობა ჩამოაყალიბოთ. საყვარელი ადამიანი სიამოვნების წყაროდ იქცევა, შვილებთან ურთიერთობა კი სიმშვიდეს შეგმატებთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**ეცადეთ, ძალები მოიკრიბოთ, ყველაფერი კარგად გააანალიზოთ და დასახულ მიზანს არ გადაუხვიოთ. გეგმის განსახორციელებლად ბევრ ადამიანთან კონტაქტი მოგიწევთ, რაც დამღლელი, მაგრამ მომგებიანი იქნება თქვენი ფინანსური მდგომარეობისა და კარიერისთვის. ეცადეთ, ოჯახში კომფორტული გარემო შექმნათ, რათა მოდუნება და ძალების აღდგენა შეძლოთ. შეყვარებულთან ჰარმონიული ურთიერთობა თავდაჯერებას შეგმატებთ. მოგზაურობას მოერიდეთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**არსებული საქმეების გადახედვა, კორექტირება და გაფართოება გაგიძლიერებთ თავდაჯერებასა და იმედს. ახალი საქმე კი ჯობს, უახლოესი მომავლისათვის გადადოთ. ინფორმაციის მოპოვებაში ახლო მეგობრები დაგეხმარებიან. დაღლა ძილითა და დასვენებით აინაზღაურეთ. კარგია სადმე ახლომახლო გამგზავრებაც. ფარული სასიყვარულო ურთიერთობა კი შესაძლოა, მომავალში ნერვიულობის საბაბი გახდეს.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**თქვენი ყურადღება ოჯახისა და პირადი ცხოვრებისაკენ იქნება მიმართული. ახალგაცნობილი ადამიანების მიერ შემოთავაზებულ ცდუნებებს ნუ აჰყვებით და ავანტიურას თავი აარიდეთ. ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად დახმარებისთვის ახლო ნათესავებს მიმართეთ. უცხოელებთან კავშირი, მუშაობა მათთან ერთად და ცხოვრება გაგიჭირდებათ. კარგი იქნება, თუ ხშირად დაისვენებთ და ჯანმრთელობას გაუფრთხილდებით.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ეს კვირა პირადი და ოჯახის პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყენეთ. ახალ შენაძენსა და გართობაზე ბევრ ფულს ნუ დახარჯავთ. ბიზნესის აწყობაში, ახალი სამსახურის მოძიებაში ან შემოსავლის მიღებაში კი ნათესავები დაგეხმარებიან. პირად საკითხში კარდინალურ ცვლილებებს ჯერ ნუ მოახდენთ. შეყვარებულს შანსი მიეცით, პირველმა გააკეთოს არჩევანი. კარგი იქნება ბუნების წიაღში დასვენება, თუმცა, შორეული მოგზაურობა რეკომენდებული არ არის.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**კონტაქტები, გადაადგილებები და შეხვედრები გაგახალისებთ, თუმცა, თქვენი განწყობა ცვალებადი იქნება. მოსალოდნელია ცვლილებები საოჯახო და სანათესაო ურთიერთობებში, კარიერასა და პროფესიულ საქმიანობაში. თქვენს მონდომებასა და შრომას დაგიფასებენ. ავტორიტეტიც მოგემატებათ. მიუხედავად ამისა, ეცადეთ, ყველა საქმე ერთად არ შეასრულოთ და არ გადაიღალოთ, რათა სიმხნევე და მყარი ჯანმრთელობა შეინარჩუნოთ.**

## 21 – 27 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**სირთულეები პირად საკითხში აქტიურობისა და მოქმედების სურვილს დაგიქვეითებთ, ამიტომ ეცადეთ, ახლობლებზე ნაკლებად გაბრაზდეთ და საქმეს მეტი დრო დაუთმოთ. განმარტოებისა და დასვენებისას შეძლებთ მოვლენების რეალურად დანახვას და გეგმების დასახვას. ეცადეთ, არც ბიზნესში და არც ურთიერთობებში არაფერი შეცვალოთ. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ, რათა სახიფათო სიტუაციები აირიდოთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**სწრაფად იმოქმედეთ და აუცილებლად უსმინეთ ინტუიციას. ამგვარად ბევრ საფრთხეს აიცილებთ და შეძლებთ, სხვებზე ადრე დაიკმაყოფილოთ ცნობისმოყვარეობა. კარგი პერიოდია ახალი კავშირების დასამყარებლად და საქმიანი თანამშრომლობისთვის. კომერციაც მოგებას მოგიტანთ. პირადი ურთიერთობისას კი ჯობს, უკმაყოფილება არ გამოხატოთ, თუ სასურველის მიღება გარკვეული გარემოებების გამო შეფერხდება. კარგი პერიოდია დასვენებისა და ახლო მანძილზე მოგზაურობისთვის.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**კარგი პერიოდია ახალი იდეების დასამუშავებლად და კავშირების დასამყარებლად. აზარტულ თამაშებსა და ხრიკებს ერიდეთ, რადგან ეს თქვენს ავტორიტეტს დააქვეითებს. ტაქტიანი იყავით ახლობლებთან ურთიერთობისას, რათა ჩხუბს თავი აარიდოთ. საქმეები და ხშირი გადაადგილებები დამღლელი, მაგრამ ინფორმაციული თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდება. უსმინეთ ინტუიციას და გამოცდილი ადამიანების რჩევები გაითვალისწინეთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**შესაძლოა, ახალი საქმიანი შემოთავაზებები მიიღოთ, რომელიც სოციალურ სტატუსსა და მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ, ფინანსური საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს. კონტაქტურობა, ავტორიტეტი და პოპულარობა იმატებს. ახალი სასიყვარულო კავშირი შესაძლოა, სხვა წრის ადამიანთან ჩამოგიყალიბდეთ, რაც ახალ ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოგცემთ. ალკოჰოლის მიღებას მოერიდეთ და მოგზაურობისას ნუ იჩქარებთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**პროფესიულ საქმეში ახალ მნიშვნელოვან გამოცდილებას მიიღებთ, რაც მომავალ საქმიანობაში დაგეხმარებათ. სახლისა და ოჯახის წევრთა საქმეები მთლიანად თქვენს პასუხისმგებლობას დაეყრდნობა. შეყვარებულთან ურთიერთობა შესაძლოა, საიდუმლოებით მოსილი, მაგრამ მეტად სასიამოვნო იყოს. გადაადგილებების რიცხვი შემცირდება, თუმცა, ეს თქვენს კონტაქტებსა და ფინანსურ მდგრადობას ზიანს არ მოუტანს.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ეცადეთ, საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისი მიზნები დაისახოთ, რათა მათი განხორციელება არ გაგიჭირდეთ. შეყვარებულზე ნუ იეჭვიანებთ და მისი სურვილებიც გაითვალისწინეთ. ფსიქოსომატური ბალანსის დაქვეითება ხშირ გაღიზიანებებს გამოიწვევს, რაც გარშემო მყოფებთან უსიამოვნებათა რაოდენობას გაზრდის. მოგზაურობა შესაძლოა, ჩაიშალოს, სამაგიეროდ კი, უცხოეთში მყოფი მეგობრები დაგეხმარებიან.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 21, 23, 24, 25 და 27 ნოემბერი

**8 ნოემბერი – სავსემთვარეობა (15.03), მთვარის დაბნელება (15.00); 24 ნოემბერი – ახალმთვარეობა (02.58).**




**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

## 21 ნოემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.57 საათზე, ჩადის 16.36 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.17) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 03.44 საათზე, ჩადის 15.09 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 05.35 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.14 საათიდან 21.17 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სიფრთხილე გმართებთ სველ ზედაპირთან მიმართებით. ასევე სასურველია, ყველა საკამათო საკითხი მშვიდად გაარკვიოთ, მოლაპარაკებების ჩატარება კარგია არაფორმალურ გარემოში. ეცადეთ, თქვენი პარტნიორი წაახალისოთ, შეაქოთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, მკურნალობის დასაწყებად, თანამშრომლობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ავეჯის აქსესუარების, მუსიკალური აპარატურის, პარფიუმერიის შესაძენად. მოერიდეთ ცეცხლთან, მჭრელ საგნებთან, ლითონის კონსტრუქციასთან ურთიერთობას, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, აკვამარინი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 22 ნოემბერი, სამშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (12.22) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 06.58 საათზე, ჩადის 16.36 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 04.55 საათზე, ჩადის 15.35 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 07.05 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები: მზის** გადანაცვლება **ღრიანკალიდან მშვილდოსნის** ზოდიაქოში გააძლიერებს აქტიურობას, ოპტიმიზმს, ლიდერულ, ორგანიზატორულ მონაცემს, კომუნიკაბელურობას, გონებამახვილობას, მოგზაურობისკენ მიდრეკილებას და ასევე სარკასტულობას, ეგოიზმს, უყაირათობას, სულსწრაფობას, დიქტატორულ ტენდენციებს. დღეს შემოწმება მოხდება სანდოობაზე, მლიქვნელები გამოვლინდება. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, სხივური თერაპია, ინტიმური კონტაქტები, ბინის შეცვლა, მოგზაურობა, სესხის აღება, ნოტარიუსთან საბუთის გაფორმება. კარგი დღეა გეგმების დასახვისთვის, თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, ავტომობილის, ანტიკვარიატის, ცხოველების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ობსიდიანი, ტოპაზი, იასპი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 23 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 06.59 საათზე, ჩადის 16.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.17) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 06.11 საათზე, ჩადის 16.06 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 08.40 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.16 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ პროვოკაციებს. აკონტროლეთ ემოციები. წვრილმანებს ნუ მიაქცევთ ყურადღებას. დაიოკეთ ეჭვიანობა, სარკაზმი, აგრესია. არ არის სასურველი მგზავრობა, ნოტარიუსთან საბუთის გაფორმება, სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, სესხის აღება, ბინის შეცვლა, სხივური თერაპია, ინტიმური კონტაქტები. კარგი დღეა გეგმების დასახვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, თვითშემეცნებისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, სიგნალიზაციის დასაყენებლად, ანტიკვარიატის შესაძენად, დაკარგული ნივთის მოძიებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, გიშერი, ობსიდიანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 24 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.00 საათზე, ჩადის 16.34 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 07.29 საათზე, ჩადის 16.45 საათზე **(ახალმთვარეობაა,** პიკი — 02.58 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა. მე-2 დღე იწყება 10.20 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მძიმე კოსმოსური ენერგიები განაპირობებენ ტრავმებს, ავარიებს, შეცდომებს, კონფლიქტებს, აგრესია-დეპრესიის გამოვლენას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. ყურადღება გამოავლინეთ. ემოციები აკონტროლეთ. **სასიკეთოა ლოცვა!** მოერიდეთ ფულის სესხება-გასესხებას, კამათს, წვრილმანში ჩაძიებას. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა, ახალი საქმის დაწყება, ბავშვების ქუჩაში მარტო დატოვება, იმატებს მოუსვენრობა, თავგადასავლებისკენ მიდრეკილება. კარგი დღეა სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის. ეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ, არ გადაიღალოთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ბარძაყის სახსარი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, გიშერი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 25 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.02 საათზე, ჩადის 16.34 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 08.47 საათზე, ჩადის 17.36 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 11.56 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.22 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოიწყვეთ პატარა ოჯახური დღესასწაულები და საყვარელი ადამიანები გაახარეთ. ხელი შეეწყობა შემოქმედებითი და საქმიანი კავშირის ჩამოყალიბებას. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიშები, წყლის პროცედურები, ეფექტურია ფილტვების, მხრების, ხელების, მეტყველების დარღვევის მკურნალობა, მასაჟი. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ხელშეკრულებების დასადებად, იურიდიული საქმეებისთვის, ხელოვნების ნიმუშებისა და სამგზავრო ბილეთების შესაძენად. კულინარიული საქმიანობისთვის, სველი წესით დასუფთავებისთვის. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა. ბავშვები ქუჩაში ყოფნისას აკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, ლაზურიტი, საფირონი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 26 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.03 საათზე, ჩადის 16.33 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.19) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 09.59 საათზე, ჩადის 18.39 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 13.14 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 01.19 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ურთიერთობისას სიტყვები აკონტროლეთ და ზედმეტად ჯიუტი ნუ იქნებით. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, კუჭ-ნაწლავის, მკერდის, ფილტვების სამკურნალოდ, უძრავი ქონების, მანქანის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის. არ არის სასურველი ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება, სტომატოლოგიური პროცედურები, სიმძიმეების აწევა, კისრის მკვეთრი მოძრაობა, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა. ხელი შეეწყობა სარესტავრაციო სამუშაოებს, დიზაინის შეცვლას, საოფისე ნივთების შეძენას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კანი, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 27 ნოემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.04 საათზე, ჩადის 16.33 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 10.59 საათზე, ჩადის 19.52 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 14.05 საათზე, I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.11 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა მოგზაურობისა და სეირნობისთვის, მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, კოლექციის შესავსებად, სამეცნიერო კვლევისთვის, უძრავი ქონების შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის, ეპილაციისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის. ხელი შეეწყობა კანის მოვლას. არ არის სასურველი ქორწინება, ვაჭრობა, გაცვლითი ოპერაციები, სიმძიმის აწევა, სტომატოლოგიური პროცედურები, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მარგალიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## საეკლესიო კალენდარი

✝ **21 ნოემბერი. ორშაბათი.** კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და გაბრიელისა და სხვათა წმიდათა უხორცოთა ზეცისა ძალთა. მთავარანგელოზთა: რაფაელისა, ურიელისა, სელაფიელისა, იეგუდიელისა, ვარახიელისა და იერომიელისა. მთავარანგელოზების ეკლესიების დღესასწაული: ქუთაისის მწვანეყვავილას, მენჯის, ალგეთის, ჯუმათის, დიმის, ერკეთის, გრემის, შუამთის; მთავარანგელოზობა.

✝ **22 ნოემბერი. სამშაბათი.** მოწამეთა ონისიფორესი და პორფირისა; ღირსისა მატრონასი; ღირსისა თეოქტისტასი; მოწამისა ალექსანდრე თესალონიკელისა; მოწამისა ანტონისა; ღირსისა იოანე კოლოვისა; ღირსთა ევტოლიასი და სოსიპატრასი; ნექტარისა, პენტაპოლელი მიტროპოლიტისა, ეგინაზე მოღვაწე სასწაულმოქმედისა; დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „მსწრაფლშემსმენელი“.

✝ **23 ნოემბერი. ოთხშაბათი.** წმიდისა დიდებულისა დიდმოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისა, რაჟამს დაჭკრეს ურმის თვალსა; დიდმოწამისა კოსტანტი კახისა, ქართველთა მთავრისა; მოციქულთა: ერასტისა, ოლიმპისა, როდიონისა, სოსიპატრესი, კუარტისა და ტერტისა, 70-თაგანთა; მოწამისა ორესტი მკურნალისა; მღვდელმოწამისა მილისა, სპარსელი ეპისკოპოსისა და ორთა მოწაფეთა მისთა; ღირსისა არსენი კაპადოკიელისა.

✝ **24 ნოემბერი. ხუთშაბათი.** დიდმოწამისა მინასი; მოწამეთა ბიქტორისა და სტეფანიდასი; ღირსისა თეოდორე სტუდიელისა, აღმსარებელისა; მოწამისა სტეფანე დეჩანელისა.

✝ **25 ნოემბერი. პარასკევი.** იოანე მოწყალისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა; ღირსისა ნილოს მმარხველისა; წინასწარმეტყველისა აქიასი; ღირსისა ნილოს მირონმდინარისა, ათონელისა.

✝ **26 ნოემბერი. შაბათი.** იოანე ოქროპირისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამეთა: ანტონინესი, ნიკიფორესი და გერმანესი; მოწამისა მანეფასი.

✝ **27 ნოემბერი. კვირა.** მოციქულისა ფილიპესი, 12-თაგანისა; კეთილმსახურისა მეფისა იუსტინიანესი და დედოფლისა თეოდორასი; გრიგოლ პალამასი, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა.







### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ტაქსა; 5. მასხარა; 12. როდეო; 14. ტრუმენი; 15. ბენუარი; 16. რანჟირი; 17. რინგი; 18. პრომილე; 19. ეკალა; 20. კრებული; 21. ტუმბო; 22. უტევანი; 24. იმამი; 27. ნაცია; 28. კაფე; 30. რაინი; 32. აგა; 33. ალეგრო; 34. მაგი; 37. კისტა; 38. ჯერმი; 39. ფასადი; 42. ლორია; 43. მაია; 45. ნიჭი; 47. ზვავი; 48. ნარკოზი; 49. პაბი; 51. ტარო; 52. ცენტი; 53. ბინი; 55. ამოცანა; 59. ცურვა; 61. გალა; 63. დაბლობი; 64. დემენცია; 65. ბაზა; 66. ჯართი; 67. ლალიონი; 68. ბოტიჩელი; 69. ორბი.

შვეულად: 1. ტაბლეტი; 2. ქანქარა; 3. არარატი; 4. ადინამია; 5. მორიკონე; 6. სენტენცია; 7. ალიბუხარი; 8. ატიპიური; 9. ტუპოლევი; 10. ბერიკა; 11. ჩინეთი; 13. ორი; 23. ნაგანი; 25. მელუა; 26. მაგმა; 28. კოკი; 29. ფისკი; 31. ნორმალი; 34. მალი; 35. გორდა; 36. ლიმიტი; 38. ჯაზი; 39. ფანტა; 40. სურდო; 41. დროშა; 44. აპოკრიფი; 45. ნიცა; 46. ჭინკა; 49. პიცა; 50. ბურდა; 53. ბადალი; 54. ნობელი; 56. მდელო; 57. ცხენი; 58. ნიცშე; 60. გოდოს; 61. გაჯი; 62. ლირა; 65. ბიო.

**ჯაფარაპორტიშიფერიავერსიაგურიელიავატარიელი**
**კუპერიფიბრაილიადათიკუნისინიორაძედუნიამური**

ჩხიკვი | უნგრელი მოჭადრაკე | ზღაპრული გრძნეული ქალი | ამბის ერთ-ერთი ახსნა | მწერალი მამია ... | ჯ. კამერონის ფილმი | ინგლისური ლუდი

მძიმე შრომა | პატაკი | მოდელი კლაუდია ... | მედლის წინა მხარე | სამშენებლო მასალა | მსახიობი ლია... | ნესტან-დარეჯანის სატრფო



თარაზულად: 1. ნიხრი; 5. ცირკის კომიკური პერსონაჟი; 12. კოვბოების შოუ; 14. აშშ-ის პრეზიდენტი (1945-53); 15. ქვედა იარუსის ლოჟები თეატრში; 16. ჯარისკაცების დაწყობა მწკრივში; 17. კრივის მოედანი; 18. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი (პროცენტის მეათედი); 19. ერთგვარი სამხალე მცენარე; 20. ერთად თავმოყრილი და გამოცემული ნაწარმოებები; 21. სითხის ამოსაღები (საიდანმე) ხელსაწყო; 22. სიგრძის საზომი ერთეული ძველად; 24. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი; 27. ეროვნება (ზოგად); 28. პატარა რესტორანი, სასაუზმე; 30. მდინარე გერმანიაში; 32. დიდი, შხამიანი გომბეშო; 33. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ჩქარი ტემპი; 34. მკითხავი, გულთმისანი; 37. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 38. იტალიელი რეჟისორი; 39. შენობის წინა მხარე; 42. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 43. წუნეთელი გმირი ქალი; 45. ტალანტი; 47. ზემოდან დიდ გროვად წამოსული თოვლი; 48. წინასაოპერაციო ხელოვნური ძილი; 49. ინგლისური ლუდხანა; 51. ყვავილედის ერთ-ერთი ტიპი; 52. დოლარის მეასედი; 53. ინგლისელი კომიკოსი; 55. გაანგარიშებით ამოსახსნელი საკითხი; 59. სპორტის სახეობა; 61. დიდი კონცერტი; 63. დაბალი, დაცემული ადგილი; 64. შეძენილი ჭკუასუსტობა; 65. მთავარი საწყობი; 66. ლითონის ძველი, გადასაყრელი ნივთები; 67. ქართველი მწერალი. 68. იტალიელი ფერმწერი; 64. მტაცებელი ფრინველი.

შვეულად: 1. წამლის მყარი ფორმა, აბი; 2. საათის ბორბალი, რომელიც თანაბარი მოძრაობით აწესრიგებს საათის სვლას; 3. სომხეთის საფეხბურთო კლუბი; 4. ძალ-ღონის გამოცლა, სისუსტე; 5. იტალიელი კომპოზიტორი; 6. ზნეობრივი დარიგება; 7. ქლიავის ჯიში; 8. არატიპური; 9. რუსი თვითმფრინავების კონსტრუქტორი; 10. ბერიკაობის მონაწილე; 11. აზიის სახელმწიფო; 13. შემსრულებლების რიცხვი დუეტში; 23. ხელით სასროლი იარაღი; 25. ქართველი მომღერალი ქალი; 26. ვულკანის მოქმედების შედეგად დედამიწის სიღრმიდან ამოტყორცნილი გამდნარი მასა; 28. მზარეული გემზე; 29. სახელმწიფოს ხაზინა; 31. დადგენილი ნიმუშის დეტალი; 34. ფრანგი რეჟისორი; 35. მოკლე, უვადო ხმალი; 36. ზღვრული ნორმა; 38. შერეული შემადგენლობის ორკესტრი; 39. ხილის გამაგრილებელი სასმელი; 40. რინიტი; 41. ბაირაღი, ალამი; 44. ისეთი ბიბლიური თხზულება, რომელსაც არ ცნობს ეკლესია; 45. ქალაქი საფრანგეთში; 46. ავი სული; 49. იტალიური ღვეზელი; 50. გერმანული მოდების ჟურნალი; 53. ტოლი, სწორი; 54. დინამიტის გამომგონებელი; 56. მწვანით მოსილი მინდორი; 57. შინაური ცხოველი; 58. გერმანელი ფილოსოფოსი; 60. ს. ბეკეტი — „... მოლოდინში"; 61. სამშენებლო მასალა; 62. ფულის ერთეული იტალიაში; 65. სიცოცხლესთან დაკავშირებული სიტყვის ნაწილი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

მწერალი ფენიმორ ... | ბოჭკო, ძარღვი | ჰომეროსის პოემა | იგივეა, რაც მეტსახელი | იტალიაში – ქალბატონი | მაო ... | სიყვარულის ღმერთი

განყოფილება მატარებელში | წყალქვეშა კლდე | უსინათლოთა შრიფტი | მამა-პაპისგან დამკვიდრებული ჩვეულება | მსახიობი მილა ... | ქართველი ბალერინა | მთელი ქვეყანა | ჭვარტლი

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2022 წლის 21 - 27 ნოემბერი №48 (1460)
გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეძიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი"**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**

